პენსიონერებისთვის ახლა თებერვალია A4

აშშ-მ 50 ქვეყანას სამხედრო დახმარება შეუწყვიტა A5

TV პროგრამა A8

24 საათი

www.24hours.ge

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ოთხშაბათი, 2 ივლისი, 2003 წელი. №179 (391)

ფასი 30 თეთრი

# არეულობა ცხინვალში

## კოკოითის სპეცოპერაციას შეიარაღებული შეტაკება მოჰყვა

ინგა ალავიძე

*ცხინვალი გუშინ არეულობის ალში გაეხვია. გუშინწინ მოსკოვიდან ცხინვალში დაბრუნებულმა ედუარდ კოკოითმა, შუაღამისას, გადაწყვეტილება მიიღო და, ყველასთვის მოულოდნელად, საკადრო ცვლილებები განახორციელა.*

სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტის ედუარდ კოკოითის ბრძანებით, მილიციის "ომონმა" რამდენიმე მაღალჩინოსნის დაპატიმრების ოპერაცია ჩაატარა. სპეცრაზმელთა შეტევის ობიექტი თავიდანვე უშიშროების სამინისტრო გახდა, თუმცა, უშიშროების მინისტრმა რობერტ ტაბუევმა გაქცევა მაინც მოასწრო და მას ამჟამად კოკოითის ხელისუფლება ეძებს. ასევე ძებნილადაა გამოცხადებული უშიშროების საბჭოს მდივანი იბრაგიმ თედეევი, მეტსახელად „დიკი".

კოკოითმა თანამდებობიდან გაათავისუფლა თავდაცვის მინისტრი ალან თედეევი, იუსტიციის მინისტრი ალან ჯიკაევი, თავდაცვის მინისტრი ვალერი თედეევი, ცხინვალის საბაჟოს უფროსი რობერტ კოკოევი. ძალოვანებიდან ერთადერთი ოფიციალური

გაგრძელება A2 გვერდზე

# რას გააკეთებს პრეზიდენტი „მშვიდობიანი მომავლისათვის„?

ლელა მჭედლიძე

*2003 წელი ქართველებსა და ოსებს შორის ნდობის წლად გამოცხადდა. ამაზე, თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტი ედუარდ კოკოითი და საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერი, ცხინვალის საკითხებში პრეზიდენტის რწმუნებული ვახტანგ რჩეულიშვილი, თურმე, კარგა ხანია, შეთანხმდნენ. თუმცა ფაქტია, საზოგადოების დიდმა ნაწილმა ამის შესახებ მხოლოდ გუშინ, ოპერისა და ბალეტის თეატრის შენობაში გამართულ ფორუმზე შეიტყო.*

ვიცე-სპიკერი რჩეულიშვილი, პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძესთან ერთად, ცხინვალში მცხოვრებთა საზოგადოებრივი

გაგრძელება A2 გვერდზე



*ხელისუფლების წარმომადგენელთა მტკიცებით, გუშინ გამართული ფორუმი საპარლამენტო არჩევნებს არ უკავშირდება.*

# თბილისში წყალი, შესაძლოა, გაიაფდეს

მაია ურუშაძე

*"გაერთიანებული დემოკრატები" წყლის ტარიფის დიფერენციაციის ინიციატივით გამოდიან. გუშინ საკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკის კომისიის სხდომაზე ფრაქციის თავმჯდომარემ დავით ხუციშვილმა განაცხადა, რომ მოსახლეობამ წყლის ტარიფი მისი მიწოდების ხანგრძლივობიდან გამომდინარე უნდა იხადოს.*

"გაერთიანებული დემოკრატები" მოითხოვენ, რომ მათ, ვისაც დღის განმავლობაში წყალი მხოლოდ ექვსი საათი მიეწოდება, თვიურად, ერთ სულ მოსახლეზე 30 თეთრი გადაიხადონ; მათ, ვისაც წყალი 6-დან 12 საათის განმავლობაში მიეწოდებათ – 60 თეთრი; ხოლო მათთვის, ვისაც წყალმომარაგების 24-საათიანი გრაფიკი აქვს, ამჟამად არსებული ტარიფი - 1 ლარი და 20 თეთრი დარჩეს. **"დღეს თბილისის ყველა მოქალაქე წყალზე ერთსა და იმავე ფიქსირებულ ტარიფს იხდის. ამ დროს კი, ქალაქის ზოგიერთ უბანს წყალი შეზღუდული გრაფიკით მიეწოდება. ბუნებრივია, ამ უბნების მოსახლეობის გულისწყრომა სავსებით სამართლიანია,"** – განაცხადა დავით ხუციშვილმა.

"გაერთიანებული დემოკრატების" ინიციატივას საკრებულოს ყველა ფრაქციამ დაუჭირა მხარი. "ლეიბორისტები" კი იმან აღაშფოთა, რომ საკრებულომ გასული წლის ბოლოს უარყო მათი ინიციატივა წყლის ტარიფის განახევრების შესახებ, რაც, "წყალკანალის" ხელმძღვანელობის ინფორმაციით, კომპანიას სერიოზულ ფინანსურ დარტყმას მიაყენებდა.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ახალი კანონი ცივი იარაღის ტარებას კრძალავს

ხათუნა ჯანგირაშვილი

პარლამენტის მიერ უპრობლემოდ მიღებული ახალი კანონი, რომელიც ცივი იარაღის ტარებას კრძალავს, გუშინ ძალაში შევიდა. ახალი კანონი მოქალაქეებს, ეგრეთ წოდებული, "კნოპკიანი" დანების, ბებუთების, ქარქაშიანი დანების, და ასევე ცივი სასროლი იარაღის - არბალეტის ტარებას უკრძალავს. "იარაღის შესახებ" კანონში შეტანილი ცვლილებების თანახმად, იკრძალება გაზის ისეთი ტიპის იარაღის ტარება და გამოყენება, რომელიც ნერვული სისტემის პარალიზებას იწვევს. იკრძალება, ეგრეთ წოდებული, კასტეტის ტარებაც. გუშინ ძალაში შესული ახალი კანონი ავტომატური იარაღისა და ასაფეთქებელი მოწყობილობების რეგისტრაციასაც ითვალისწინებს.

ახალმა კანონმა უნდა დაარეგულიროს საქართველოში იარაღის ბრუნვა. ამიერიდან, იარაღის ექსპორტზე, იმპორტზე, რეექსპორტზე, ტრანზიტზე, ვაჭრობასა და წარმოებაზე ლიცენზიას იუსტიციის სამინისტრო გასცემს.

გაგრძელება A4 გვერდზე

# მოგზაურობა ღამეში ლურჯი ფრინველის მოსაძებნად

## პატარა ბალერინების პრემიერა ოპერისა და ბალეტის თეატრში

A7



*პატარა ბალერინების პრემიერა დიდი თეატრის სცენაზე შედგა.*

# პატიმრების გაქცევის სერიალი კვლავ გრძელდება

თამარ კაციტაძე

*გუშინ იუსტიციის სამინისტროში ევროსაბჭოს ექსპერტები სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლებს ციხეთა განტვირთვაზე ესაუბრებოდნენ. თუმცა, ვიდრე უცხოელი ექსპერტები სემინარის მონაწილეთ ამ საკითხზე ევროპულ გამოცდილებას გაუზიარებდნენ, იუსტიციის მინისტრმა როლანდ გილიგაშვილმა იხუმრა, ციხეთა განტვირთვის გზას ჩვენ უკვე მივაგენით, პატიმრები ციხიდან თავისი ნებით გარბიანო.*

გუშინვე, გვიან ღამით იუსტიციის მინისტრს ხუმრობა რეალობად გადაექცა. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის რუსთავის №2 დაწესებულებიდან კიდევ ერთი გაქცევა მოხდა, თუმცა ამჯერად უფრო მძიმე შედეგით, პატიმრებმა დაწესებულების თანამშრომელი და ერთი მოქალაქე დაჭრეს.

ჩვენი ინფორმაციით, გაქცევა ღამის შემოვლის დროს დაიწყო. შემოვლაზე მყოფ გუშაგს ოთხი პატიმარი მიუახლოვდა. ერთ-ერთმა მსჯავრდებულმა მას თავში ბლაგვი საგანი ჩაარტყა და ავტომატი წაართვა. ჩვენი ინფორმაციით, მსჯავრდებულებს თავადაც ჰქონდათ ავტომატი, რადგან გუშაგი "აკმ"-ის ტიპის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით არის დაჭრილი. დაწესებულების თანამშრომლები კი მხოლოდ "აკს"-ის ტიპის ავტომატებით ყოფილან შეიარაღებულნი. გასასვლელისკენ გაქცეულ პატიმრებს გუშაგებმა წინააღმდეგობა გაუწიეს და ცეცხლი გაუხსნეს. მიუხედავად ამისა, მსჯავრდებულებმა დაწესებულებიდან გასვლა მაინც მოახერხეს. მათ გააჩერეს ქალაქისკენ მიმავალი მიკროავტობუსი, საიდანაც ხუთი მგზავრი ჩამოსვეს, მძღოლი მძევლად აიყვანეს და, სავარაუდოდ, გარდაბნის მიმართულებით გაიქცნენ.

სროლის შედეგად მძიმედ არის დაჭრილი კოშკურაზე მდგომი ჯაოშვილი, რომელსაც სამი ტყვია აქვს მოხვედრილი. გუშაგი რუსთავის საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც ოპერაცია გაუკეთდა. ჩვენი ინფორმაციით, სროლა დაწესებულების გარეთაც გაგრძელდა. ორმხრივი სროლის დროს დაიჭრა დაწესებულების გარეთ მყოფი მწყემსი, რომელიც იქვე საქონელს აძოვებდა.

გაქცევიდან რამდენიმე წუთში სამძებრო საქმიანობაში ჩაერთო სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სპეცრაზმი და პოლიცია. ისინი გაქცეულებს სწორედ გარდაბნის მიმართულებით ეძებენ.

ჯერჯერობით, უცნობია გაქცეულთა ზუსტი რაოდენობა. სავარაუდოდ, დაწესებულება დატოვა ათამდე პატიმარმა.

იმისათვის, რომ გაქცეულთა ზუსტი რაოდენობა დაედგინათ, წუხელ გვიან ღამემდე იუსტიციის მინისტრი, მისი მოადგილეები და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელობა №2 მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში დარჩენილ პატიმრებს ითვლიდნენ. რა ციფრამდე დაკონკრეტდება გაქცეულ მსჯავრდებულთა რაოდენობა, ძნელი სათქმელია. როგორც სასჯელაღსრულების დეპარტამენტში ამბობენ, ზოგჯერ გაურკვეველი რჩება ამა თუ იმ გახმაურებული შემთხვევისას გაქცეულ პატიმართა ზუსტი რაოდენობა, რადგან დაწესებულების ხელმძღვანელობა ხშირ შემთხვევაში ჩუმად გაპარულ მსჯავრდებულთა შესახებ ინფორმაციას თავის დროზე არ ავრცელებს და მათ რაოდენობას ბოლოს, გახმაურებული გაქცევისას ერთიანად ასახელებს.

ამის დასტურია, ბოლო პერიოდის გაქცევებიდან დაპატიმრებული ერთადერთი პატიმრის ყველაშვილის ინფორმაციაც. ყველაშვილი, თურმე, ამტკიცებს, რომ მასთან ერთად მხოლოდ ოთხი პატიმარი გაიქცა. სავარაუდოდ, დანარჩენი ოთხი მსჯავრდებული ავჭალის ციხიდან უფრო ადრე გაიპარა.

## ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 28 | |
| ბათუმი | 29 | |
| სოხუმი | 28 | |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1500 |
| ევრო | 2.4891 |
| გირვანქა სტერლ | 3.5750 |
| რუბლი | 0.0708 |

# საარჩევნო სიები

## რომელშიც ბევრი სიყალბე და უზუსტობაა

თამარ მჭედლიშვილი

*გუშინ იუსტიციის სამინიტრომ ცესკო-ს მსჯავრდებულთა, განსასჯელთა და ბოლო ათი წლის მანძილზე გარდაცვლილთა საერთო მონაცემები წარუდგინა. ეს პროცედურა საქართველოში ამომრჩეველთა სიების შედგენას ემსახურება. გუშინვე კომისიაში ლტოლვილთა და განსახლების და საგარეო საქმეთა სამინისტროების მიერ მომზადებულ ინფორმაციას ელოდნენ. თუმცა, მთავარი მოვლენა ხვალ მოხდება, როდესაც ამომრჩეველთა უფლების მქონე პირთა რეგისტრაციის საბოლოო შედეგებს, შინაგან საქმეთა სამინისტრო ცესკო-ს, დიდუბის გამოფენის ტერიტორიის მეექვსე პავილიონში გადასცემს.*

გაგრძელება A2 გვერდზე



*ამ ტომებს აუცილებლად კარგი გადამოწმება სჭირდება.*

# ოპოზიციური ფრაქციები შეთანხმდნენ

გუშინ პარლამენტის ოპოზიციური ფრაქციები კვლავ ცენტრალური საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების წესზე ბჭობდნენ. გარკვეული კონსენსუსი მიღწეულია. ფრაქციათა საერთო აზრის თანახმად, საარჩევნო კომისია თხუთმეტკაციანი უნდა იყოს. მასში კვოტები კი ასე განაწილდება: საქართველოს პრეზიდენტსა და ბოლო საპარლამენტო არჩევნებში შვიდპროცენტიანი ბარიერის გადამლახავ სამ პარტიას ("მოქალაქეთა კავშირი", "აღორძინება" და "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს") კომისიაში ორ-ორი წევრის, ხოლო ავტონომიებსა და თბილისის საკრებულოს პროპორციულ არჩევნებში ოთხპროცენტიანი ბარიერის დამძლევ ხუთ პარტიას – თითო-თითო წევრის დანიშვნის უფლება ექნებათ.

თუმცა გარკვეული უთანხმოებები მაინც არსებობს: ჯერ კიდევ გაურკვეველია, როგორ უნდა მიიღონ გადაწყვეტილება საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებმა: ხმების ორი მესამედით, უბრალო თუ დამსწრეთა უმრავლესობით. როგორც პარლამენტის ვიცე-სპიკერმა გიგი წერეთელმა "24 საათს" განუცხადა, პარლამენტში ამის თაობაზე განსხვავებული მოსაზრებებია: ზოგიერთი ფრაქციის წარმომადგენელი აცხადებს, რომ მაღალი კვორუმი კულუარული გარიგებების შესაძლებლობას მინიმუმამდე დაიყვანს, თუმცა არსებობს საპირისპირო აზრიც, რომლის თანახმად, ასეთი მაღალი კვორუმი პარტიებს სხდომების ჩაშლისა და პრინციპული გადაწყვეტილებების დაბლოკვის საშუალებას მისცემს.

საგულისხმოა, რომ გუშინდელ კონსულტაციებში მონაწილეობა კვლავ არ მიუღიათ "ნაციონალებს".

ღამით საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შეხვდა ედუარდ შევარდნაძეს. როგორც შეხვედრის შემდეგ ნინო ბურჯანაძემ განაცხადა, პრეზიდენტი გეგმავს, ერთად შეხვდეს ოპოზიციისა და სახელისუფლებო ბლოკის წარმომადგენლებს, განიხილონ მათი პროექტები და მიიღონ შეჯერებული ვარიანტი, თუ ასეთი იარსებებს. აქედან გამომდინარე, საგანგებო სესია, ალბათ, ერთ კვირაში შედგება. დღეს, სავარაუდოდ, პრეზიდენტი სახელისუფლებო ბლოკის წარმომადგენლებს შეხვდება.

*24 საათი*

# ორივე ალიევი პრეზიდენტობის კანდიდატია

ლევან ღირსიაშვილი

აზერბაიჯანელებმა არჩევანი ორ ალიევს შორის უნდა გააკეთონ. აზერბაიჯანის საპრეზიდენტო არჩევნებში ერთმანეთს მამაშვილი ალიევები "დაუპირისპირდებიან." ამის შესახებ გუშინ გახდა ცნობილი, როდესაც ილხამ ალიევმა თავისი კანდიდატურა წამოაყენა. საპრეზიდენტო არჩევნები ა.წ. 15 ოქტომბერს გაიმართება. ეჭვგარეშეა, რომ მამაშვილის "საპრეზიდენტო პაექრობა" კარგად მოფიქრებული, თუმცა ზოგის აზრით, ძალზე უნიჭო საარჩევნო ტრიუკია.

ილხამ ალიევის კანდიდატურა ნახჭევანის ავტონომიურმა რესპუბლიკამ წამოაყენა. ეს არავისთვის გასაკვირი არ ყოფილა. ნახჭევანი ხომ ალიევების ოჯახის "პატრიარქის" – ჰეიდარის სამშობლოა.

1980-იან წლებში, მ. გორბაჩოვის მმართველობის დროს, როდესაც ჰეიდარი იძულებით პენსიაზე გავიდა, მან დროებითი სიმშვიდე სწორედ ნახჭევანში ჰპოვა და პოლიტიკური კარიერის მეორე ეტაპიც სწორედ ნახჭევანიდან დაიწყო, როდესაც აზერბაიჯანის პირველი პრეზიდენტი აბულფაზ ელჩიბეი, სამხედრო გადატრიალების შედეგად, იძულებული გახდა გადამდგარიყო, უპატრონოდ მიტოვებულ ქვეყანას "მხსნელად" ჰეიდარ ალიევი მოევლინა.

ისეთი სერიოზული გადაწყვეტილება, როგორიც ჰეიდარის ვაჟის საპრეზიდენტო კანდიდატად წამოყენებაა, ეჭვგარეშეა, რომ მოქმედი პრეზიდენტის თანხმობის გარეშე ვერ მოხდებოდა. ამრიგად, აზერბაიჯანის მმართველი ჯგუფი მოახლოებულ საპრეზიდენტო არჩევნებში საკმაოდ მომზადებული გამოდის. მმართველ პარტიას ორი ფავორიტი ეყოლება, ორივე ალიევი – ჯანმრთელობაშერყეული მამა და ჯანღონით და ენერგიით აღსავსე, 42 წლის შვილი.

გაგრძელება A5 გვერდზე

A2 ამბები | A3 ამბები | A4 ამბები | A5 უცხოეთი | A6 სპორტი | A7 რევიუ | A8 სხვადასხვა

# არეულობა ცხინვალში - კოკოითის სპეცოპერაციას შეიარაღებული შეტაკება მოჰყვა

პირველი გვერდიდან

პირი, რომელიც სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლებაში დარჩა, ოლეგ ალბოროვია, რომელიც ცხინვალის მილიციას ხელმძღვანელობდა, გუშინ დილით კი, კოკოითის ბრძანებით, უშიშროების მინისტრის მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნა.

არსებული ინფორმაციით, კოკოითმა თავდაცვისა და უშიშროების სამინისტროს მიერ კონტროლირებადი შეიარაღებული რაზმები გააუქმა და სპეციალური ოპერაციის ჩატარება იმიტომ გადაწყვიტა, რომ ძალოვანები კოკოითის ხელისუფლებიდან ჩამოცილებას აპირებდნენ. შეთქმულება გამჟღავნდა და კოკოითმა მათ დაასწრო. არსებობს მეორე მოსაზრებაც, რომ ჩატარებული საკადრო ცვლილებები კრემლის მიერაა ნაკარნახევი. ანუ, მოსკოვში ვიზიტით მყოფმა ედუარდ კოკოითმა რუსეთის დირექტივა შეასრულა.

კოკოითის მიერ ჩატარებულ სპეცოპერაციას შეიარაღებული კონფლიქტი მოჰყვა. გუშინ შუადღისას ორ დაპირისპირებულ ძალას - ძალოვან უწყებათა წარმომადგენლებს შორის დაწყებული შეტაკება რამდენიმე საათის მანძილზე მიმდინარეობდა. გავრცელებული ინფორმაციით, ინციდენტი უშიშროების ყოფილი მინისტრის რობერტ ტაბუევის მომხრეებსა და ალბოროვის რაზმელებს შორის მოხდა. შეტაკების შედეგად მძიმედ დაიჭრა თავდაცვის სამინისტ- [illegible] მიზნით განხორციელდა.

**გავრცელებული ინფორმაცია, ცხინვალში შეიარაღებული კონფლიქტის არსებობის შესახებ, არარეალურია. რესპუბლიკაში სრული სიმშვიდეა და განცხადებები იმის თაობაზე, რომ პრეზიდენტის წინააღმდეგ გამოსვლას აპირებენ, სიმართლეს არ შეესაბამება, იარაღის გამოყენების საშუალება არავის აქვს,"** – ცხინვალში შექმნილი სიტუაციის შესახებ "24 საათთან" საუბრისას განაცხადა კოკოითის ხელისუფლების საგარეო საქმეთა მინისტრმა მურად ჯიოევმა.

შეიარაღებული კონფლიქტის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას არ ადასტურებს კონფლიქტის ზონაში დისლოცირებული შერეული სამშვიდობო ძალების ქართული დანაყოფის მეთაური მიხეილ ქებაძეც. **"ამის თაობაზე არაფერი ვიცი, არანაირი შეტაკება არ მომხდარა... მე ახლა გაერთიანებულ შტაბში ვარ და ჩვენ ინფორმაცია არ მიგვიღია. ამ წუთას აქ არიან რუსი და ოსი სამხედროებიც და შეტაკების თაობაზე არც ისინი ფლობენ ინფორმაციას,"** – განაცხადა ჩვენთან საუბრისას მიხეილ ქებაძემ.

თუმცა, ლიახვის ხეობის დეპუტატის გურამ ვახტანგაშვილის ინფორმაციით, ცხინვალში სროლის ხმაც ისმოდა და მძიმე ტექნიკაც ამუშავდა. **"მართალია, ცხინვალში ახლა ვერავინ შევა, გადაკეტილია იქაურობა, მაგრამ ჩემი ინფორმაციით, შეტაკებას ადგილი ჰქონდა. სროლების ხმა ცხინვალიდან ნამდვილად ისმის, მეტიც, გამოყვანილია მძიმე ტექნიკა,"** – ასეთია გურამ ვახტანგაშვილის ინფორმაცია.

არსებული ინფორმაციით, ცხინვალში საგანგებო მდგომარეობაა გამოცხადებული. ქალაქის [illegible] მავალი ურთიერთობის შესახებ ისაუბრა ედუარდ კოკოითმაც. მან იმედი გამოთქვა, რომ ცხინვალში ჩატარებული სტრუქტურული ცვლილებები საქართველოსთან ურთიერთობაზე უარყოფით გავლენას არ იქონიებს.

# რას გააკეთებს პრეზიდენტი „მშვიდობიანი მომავლისათვის"?

პირველი გვერდიდან

მოძრაობის დამფუძნებელი ფორუმის "მშვიდობიანი მომავლისათვის" სტუმარი იყო. ცხინვალის მაცხოვრებელთა ნაწილმა მომავლის აშენება, პრეზიდენტ შევარდნაძისა და ვახტანგ რჩეულიშვილის გარდა, მცხეთის მაჟორიტარ დეპუტატ და ცხინვალის პრობლემების შემსწავლელი საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარე ბადრი ხატიძესთან ერთად გადაწყვიტეს. ფორუმს გუშინ სწორედ ხატიძე ხელმძღვანელობდა. რჩეულიშვილის გარდა, პრეზიდენტს სახელმწიფო მინისტრი ავთო ჯორბენაძე, შიდა ქართლში პრეზიდენტის რწმუნებული დავით ქობლიანიძე, კანცელარიის რეგიონული სამსახურის უფროსი ირაკლი ბოჭორიძე და სხვები ახლდნენ. ხატიძის განცხადებით, **"გუშინდელ შეკრებაში, დაახლოებით, 1000 კაცი მონაწილეობდა, როგორც ოსი, ისე ქართველი ეროვნების. გაერთიანების მთავარი მიზანი, რეგიონში მაცხოვრებელთა და იქიდან იძულებით გადაადგილებულთა სოციალურ-ეკონომიკური პრობლემის მოგვარების გარდა, დევნილებისათვის ძველ საცხოვრებელ ადგილზე დასაბრუნებლად პირობების შექმნაა. ორგანიზაცია კონკრეტულად 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებისათვის არ შექმნილა".** ასეთი მტკიცების მიუხედავად, გუშინ ისიც გაირკვა, რომ წინასაარჩევნო პერიოდში ეს გაერთიანება, ნებსით თუ უნებლიეთ, მაინც დაეხმარება როგორც ბადრი ხატიძეს, ისე თავად პრეზიდენტსა და, საერთოდ, ხელისუფლების წარმომადგენლებს.

ბევრი პრეტენზიის, კონკრეტული პრობლემების - ხელფას-პენსიების დაგვიანებით მიღება, სოციალური დახმარების სიმწირე, უმუშევრობა და, საერთოდ, საკუთარი თავის საქართველოს მეორეხარისხოვან მოქალაქედ აღქმა - ჩამოთვლის მიუხედავად, ფორუმზე გამომსვლელები მაინც პრეზიდენტისადმი რწმენასა და მის მხარდაჭერას გამოხატავდნენ. ქათინაურები ისმოდა თავად ხატიძის, და (ცოტა ნაკლებად) რჩეულიშვილის მიმართაც. სხდომის დასასრულს შეკრების მონაწილეებმა საზოგადოებისადმი მიმართვა მიიღეს. სხვა მოთხოვნათა შორის აქ სოციალ-ეკონომიკური პრობლემების გადასაჭრელად სახელმწიფო პროგრამის შექმნის მოთხოვნაც იყო. პრეზიდენტი გუშინ ამ მიმართვის მთლიანად გაზიარების პირობას იძლეოდა: **"ჩემი აზრით, შესაძლებელი იქნება საპარლამენტო წარმომადგენლობის საკითხის გადაწყვეტა. ალბათ, სახელისუფლებო სტრუქტურებისაც, მაგრამ საქმე მხოლოდ სტრუქტურების შექმნით რომ არ გაკეთდება, აშკარაა... ჩვენი საქმე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაა... მაგრამ, სანამ პრეზიდენტი ვარ, იარაღს ოსებისა და აფხაზების წინააღმდეგ არ გამოვიყენებ... რაც შეგვიძლია, თქვენს მიერ დასახელებული პრობლემების მოსაგვარებლად გვერდში დაგიდგებით... ოსების პოლიტიკური ორიენტაცია კი იმაზეა დამოკიდებული, თუ რა პოლიტიკას გავატარებთ მათ მიმართ ჩვენ."**

# სკამი გინდა?.. ფული გადაიხადე

ცესკო უახლოეს მომავალში საქართველოს პრეზიდენტსა და პარლამენტს რამდენიმე საკანონმდებლო ინიციატივით მიმართავს, რომელთაგანაც მთავარი ე.წ. საარჩევნო გირაოს შემოღების იდეაა. პროექტის თანახმად, საარჩევნო სუბიექტებმა, არჩევნებში მონაწილეობისთვის, ცესკო-ს სპეცანგარიშზე გარკვეული თანხა უნდა გადაიხადონ. პრეზიდენტობის კანდიდატისთვის განსაზღვრულია 20 000 ლარი, პარლამენტის არჩევნებში მონაწილე მაჟორიტარობის კანდიდატისთვის – 200 ლარი, პარტიისა და საარჩევნო ბლოკის სიაში შეყვანილი თითოეული პიროვნებისთვის – 200-200 ლარი, საკრებულოს არჩევნებში მონაწილე მაჟორიტარი კანდიდატისთვის – 10 ლარი, ხოლო მსხვილი ქალაქების საკრებულოს წევრობის მსურველთათვის – 100 ლარი.

თუმცა, ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრები აცხადებენ, რომ საპრეზიდენტო და მაჟორიტარულ არჩევნებში პირველ და მეორე ადგილზე გასულ კანდიდატებს ფული უკან დაუბრუნდებათ, ხოლო ხელმოცარულების ფულადი შენატანი კომისიის ანგარიშზე დარჩება. ფულს უკან მიიღებენ ის პარტიებიც, რომლებიც საპარლამენტო არჩევნებში ოთხპროცენტიან ბარიერს გადალახავენ. დანარჩენების შეტანილი თანხა კი, როგორც მიხვდით, ცესკო-ს საკუთრება გახდება. იგივე სურათია ადგილობრივი არჩევნების შემთხვევაშიც: ფულს უკან მხოლოდ გამარჯვებული კანდიდატი მიიღებს.

*24 საათი*

# პრეზიდენტი შეიძლება კრწანისის რეზიდენციაში ჩაკეტონ

ვერიკო თევზაძე

ეროვნულ ძალთა გაერთიანება აღშფოთებულია პრეზიდენტის მიერ რადიოინტერვიუთი გაკეთებული განცხადებით – რომ არჩევნები ძველი საარჩევნო კოდექსითაც შეიძლება ჩატარდეს. გაერთიანების ლიდერი ზვიად ძიძიგური აცხადებს, რომ პროტესტის ნიშნად, მომავალ კვირაში შეიძლება კრწანისის რეზიდენციის პიკეტირება მოახდინოს.

**"საქართველოს ხელისუფლება ცალსახად აფიქსირებს ნეგატიურ პოზიციას დემოკრატიული საარჩევნო კანონის მიღების თაობაზე, რის ოფიციალურ დეკლარირებადაც უნდა ჩაითვალოს პრეზიდენტ შევარდნაძის 30 ივნისის რადიოინტერვიუ. პრეზიდენტის განცხადება არჩევნების ძველი საარჩევნო კანონითა და არსებული საარჩევნო ადმინისტრაციის პირობებში ჩატარების შესახებ შეიცავს საქართველოში ხელისუფლების უზურპაციის და დემოკრატიული პროცესების სტაგნაციის აშკარა საფრთხეს, რაც უმართავ პროცესებს გამოიწვევს,"** - ძიძიგური აუცილებლად მიიჩნევს ახალი დემოკრატიული საარჩევნო კანონის მიღებას, რომლის მიხედვითაც გათვალისწინებული იქნება შემდეგი ძირითადი მომენტები: ამომრჩეველთა მარკირება, საარჩევნო სიების გამჭვირვალობა, საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტება პარიტეტულ საფუძველზე.




ძიძიგური პრეზიდენტს კრწანისის რეზიდენციასთან პიკეტის მოწყობით ემუქრება.

ეროვნულ ძალთა გაერთიანების ლიდერი აცხადებს, რომ იგი დაელოდება ამ კვირას - თუ ამ დღეებში პარლამენტის საგანგებო სხდომაზე დემოკრატიული საარჩევნო კოდექსის მიღების საკითხი არ გადაწყდა, მაშინ იგი მომდევნო კვირაში კრწანისის რეზიდენციაში მყოფ პრეზიდენტს პიკეტს მოუწყობს: **"ეროვნულ ძალთა გაერთიანება მომავალი კვირისთვის აპირებს კრწანისის სამთავრობო რეზიდენციის გზის პიკეტირებას, პრეზიდენტ შევარდნაძეს რეზიდენციიდან გამოსვლის საშუალებას არ მივცემთ. მაინც ქვეყნისთვის წამგებიან და მოღალატურ გადაწყვეტილებებს იღებს და იჯდეს იქ."**

# საარჩევნო სიები

პირველი გვერდიდან

საქართველოს პრეზიდენტის სპეციალური დავალების თანახმად, რეგისტრაცია შსს-მ და ადგილობრივი მმართველობის ორგანოებმა ერთობლივად ჩაატარეს. ამ საქმიანობას სამთავრობო ქვეკომისია კურირებდა. არასამთავრობო ორგანიზაცია, "სამართლიანი არჩევნები" კი მონაცემების შეგროვების პროცესს 54 რაიონში აკვირდებოდა. ორგანიზაციის წინასწარი დასკვნის თანახმად, ეს პროცესი არც თუ ორგანიზებულად და საკმაო დარღვევებით წარიმართა. **"2003 წლის 3 ივნისს სახელმწიფო კანცელარიაში საარჩევნო საკითხებზე მომუშავე ქვეკომისიის სახელით პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანმა მარიამ ცაცანაშვილმა საჯაროდ გამოაცხადა ამომრჩეველთა დადგენილი რაოდენობრივი მონაცემები საქართველოს რეგიონების მიხედვით; თუმცა, "სამართლიანი არჩევნების" დამკვირვებელთა ინფორმაციით, ზოგიერთ რაიონში ეს პროცესი დასრულებული არც იყო (საგარეჯო, მესტია, ქუთაისი). მნიშვნელოვანია ისიც, რომ ოქმები არაერთგვაროვნად, სხვადასხვა სტანდარტებით იქნა შედგენილი. ამდენად, არ არსებობს ის ზოგადი პარამეტრები, რითიც მთლიანობაში შესაძლებელი იქნება საოქმო მონაცემების შეფასება,"** – ეს "სამართლიანი არჩევნების" დასკვნაა, რომელიც კონკრეტულ მასალებზე დაყრდნობით გაკეთდა. გთავაზობთ ფრაგმენტებს "სამართლიანი არჩევნების" მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგების ანგარიშიდან:

"ზოგიერთ რაიონში რეგისტრაციის პროცესი იმდენად გვიან დაიწყო, რომ ეჭვქვეშ დგება, მონაცემთა ბაზის დაზუსტება ამ ვადებში მოსწრებულიყო (ქუთაისი, მარტვილი, ზუგდიდი, თიანეთი, ქარელი, ცაგერი)...

დედოფლისწაროს რაიონში "სამართლიანი არჩევნების" კოორდინატორს პოლიციის უფროსის კაბინეტში მისვლისას სოფლის გამგებლები რიგში მდგომნი დახვდნენ, რომლებიც უკვე აზარებდნენ ძველი სიებიდან პირდაპირ გადაწერილ ე. წ. დადგენილ მონაცემებს... იყო რაიონები, სადაც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები საერთოდ არ იყვნენ ჯგუფებში წარმოდგენილნი (ჭიათურა, თიანეთი, დმანისი). პოლიციისა და ადგილობრივი ხელისუფლების ცალ-ცალკე მუშაობის შედეგად ფოთში დაფიქსირდა პარადოქსული ფაქტი - მუნიციპალიტეტის და პოლიციის თანამშრომლებმა ამომრჩეველთა სხვადასხვა ციფრი დაასახელეს (29 290 და 26 387)...

პრეზიდენტის განკარგულების თანახმად, მონაცემთა ბაზის დადგენის პროცედურისთვის შექმნილი იყო სპეციალური A3 ტიპის ფორმები, რომლებიც უნდა შევსებულიყო ინსტრუქციის მიხედვით. თუმცა, ისინი თითქმის უმრავლეს რაიონებში ან არ ჰქონდათ, ან მიიღეს დაგვიანებით, ან არასაკმარისი რაოდენობით, ამიტომ სამუშაოების შესასრულებლად გაჩნდა "შავი სიები" ანუ მონაცემთა წიგნები: უბრალო რვეულები ან თაბახის ფურცლები დაუნომრავი გვერდებით, ბეჭდისა და ხელმოწერის გარეშე. უმრავლეს რაიონებში ინფორმაციის წყაროებს წარმოადგენდნენ მეზობლები და სხვა არაკომპეტენტური პირები...

თითქმის ყველა რაიონის მონიტორინგის ანგარიშში ხაზგასმით ფიქსირდება, რომ ამომრჩეველთა მონაცემთა დადგენის პროცედურის შესასრულებლად დაფინანსება საერთოდ არ ყოფილა. ან, უკეთეს შემთხვევაში, ეს ინფორმაცია არც მეთვალყურეებისთვის და არც სამუშაო ჯგუფის წევრთათვის არ იყო ცნობილი (ჩოხატაური, თერჯოლა, ვანი, ბაღდათი, სიღნაღი, ადიგენი, ქარელი, გორი, რუსთავი და ა. შ.). დაფინანსების საკითხი თითქმის არსად არ იყო გამჭვირვალე და უსახსრობის, გადაადგილებისა და ქსეროკოპირებისთვის საჭირო თანხების არარსებობის გამო ჯგუფები ხშირად ხმამაღლა გამოთქვამდნენ პროტესტს (ჭიათურა, დედოფლისწყარო, ონი, ცაგერი, თელავი, ახმეტა)....

რაც შეეხება თავად მონაცემთა შეგროვების პროცესს. ბევრგან დაფიქსირდა დავალებული საქმის არაკეთილსინდისიერად და დარღვევებით შესრულების ფაქტები...

იყო შემთხვევები, როდესაც კარდაკარ ჩამოვლის და ამომრჩეველთა შესახებ ზუსტი ინფორმაციის დადგენის ნაცვლად პირდაპირ გადაწერეს არსებული ძველი მონაცემები (ტყიბული, საგარეჯო, ოზურგეთი, ზესტაფონი), სადაც ფიგურირებდა გარდაცვლილთა გვარებიც (ხარაგაული). მარტვილის რაიონში ერთი და იმავე პირის განმეორებით ჩაწერის 12 შემთხვევა აღინიშნა; დაფიქსირდა 51 შემთხვევა, როცა მონაცემებში მითითებულია პასპორტი და მისი ნომერი, ხოლო დამკვირვებლებს ამ ადამიანებმა განუცხადეს, რომ პასპორტი არ აქვთ; ასევე გამოკვეთილად არაა აღრიცხული იძულებით გადაადგილებული პირები, მხოლოდ იშვიათ შემთხვევებშია მითითებული, რომ პირი იძულებით გადაადგილებულია. საჩხერის რაიონში დაახლოებით 100-150 ამომრჩევლის მონაცემი არ იყო ფორმებში შეტანილი; ზოგიერთ უბანში აღწერას აწარმოებდნენ არა ჯგუფის წევრები, არამედ არაკომპეტენტური ადგილობრივი უბნის (სოფლის) მცხოვრებნი; გორის რაიონში მონაცემთა დასადგენად ხშირად I-II კლასის ბავშვებსაც აგზავნიდნენ (პირადობის მოწმობის ან მისი მფლობელის პირადი ნომრის დასადგენად)...

უმრავლეს შემთხვევაში დაკეტილი ბინები ხელახლა აღარ მოწმდებოდა (რუსთავი, ბოლნისი, ტყიბული); ასე რომ, მონაცემებში ვერ მოხვდა ბევრი რეალური ამომრჩეველი.

აღსანიშნავია მოსახლეობის უარყოფითი დამოკიდებულება თავად პროცესისადმი. მონაცემთა ბაზაში ამომრჩეველთა არასრული მონაცემების შეტანის ერთ-ერთი მიზეზი თავად მოსახლეობის უნდობლობაც იყო (აბაშა). საზოგადოების უმეტესი ნაწილი უარს აცხადებდა რეგისტრაციაზე. ხელისუფლებისადმი უკმაყოფილების მიზეზით რელიგიურ უმცირესობათა დიდი ნაწილიც უარს აცხადებდა არჩევნებსა და მონაცემთა შეგროვების პროცესში მონაწილეობაზე (სენაკი, ხაშური, დუშეთი)...

მონაცემთა ბაზის დადგენის პროცესის დასასრულს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინსტრუქციის შესაბამისად ყველა რაიონში უნდა შემდგარიყო საბოლოო ოქმი; თუმცა, საბოლოო მონაცემების, ანუ ოქმის ასლის მიღება ბევრ რაიონში დამკვირვებელთათვის გადაულახავ პრობლემად იქცა (ტყიბული, ბორჯომი, გორი, ოზურგეთი, აბაშა, მესტია და ა. შ). ზოგ რაიონში ოქმი საერთოდ არ შეუდგენიათ (სენაკი, ადიგენი), იყო შემთხვევები, როდესაც ოქმში დაფიქსირდა არსებითი შეცდომები და მონაცემთა უზუსტობა (ონი, გურჯაანი, ფოთი)..."

# ქუთაისელი მომიტინგეები შევარდნაძისა და შაშიაშვილის გადადგომას ითხოვენ

ბექა სისაური
ქუთაისი

"შევარდნაძე სახალხო ტრიბუნალზე", "დაუყოვნებლივ გადადგეს თემურ შაშიაშვილი", "მოვიშოროთ შავი ჭირი, რომელსაც საქართველოს ხელისუფლება ჰქვია," - ასეთი იყო "სამართლებრივად და სოციალურად დაუცველთა კავშირის" ინიციატივით ქუთაისის მერიისა და სამხარეო ადმინისტრაციის წინ შეკრებილი 200-მდე პენსიონერისა და საბჭოთა წითელი დროშით შეიარაღებული კომპარტიის წევრების კატეგორიული მოთხოვნები.

**"ჩვენი მოთხოვნებია: შაშიაშვილის უპირობო გადადგომა, გაუცემელი ხელფასებისა და პენსიების გაცემა, ელექტროენერგიის 24-საათიანი გრაფიკი, გზების შეკეთება, კანონდარღვევით განთავსებული "მაგთის" ანტენების მოხსნა... ის უბედურება, რაც საქართველოში და, განსაკუთრებით კი ქუთაისში სუფევს,**




ქუთაისში მორიგ მიტინგს უახლოეს დღეებში ჩაატარებენ.

**შევარდნაძის ხელისუფლების ბრალია. ეკონომიკა ყველაზე მეტად ქუთაისში და იმერეთშია მოშლილი, გაუცემელია ხელფასები და პენსიები, ადამიანთა მიგრაცია ყველაზე მეტად იმერეთში ფიქსირდება. ყოველივე ამის მიზეზი, შევარდნაძესთან ერთად, შაშიაშვილიცაა. ამიტომაც მის უპირობო გადადგომასაც მოვითხოვთ, ხალხი არ დაუშვებს, რომ იგი ორ სკამზე იჯდეს, თან პრეზიდენტს აკრიტიკებდეს და, ამავე დროს, მისი დანიშნულიც იყოს,"** - განაცხადა "სამართლებრივად და სოციალურად დაუცველთა კავშირის" თავმჯდომარემ გელა ხუნდაძემ.

**"ძალიან ბედნიერი ვარ, რომ სწორედ გელა ხუნდაძე მაკრიტიკებს, იგი "ბენზოკალონკის" ყოფილი მფლობელია და ამ ბიზნესშია გასვრილი, მას ჩემს წინააღმდეგ მართავენ. არჩევნების წინ ისეთ პიროვნებებს ეძებენ, რომ ჩემს წინააღმდეგ განაწყონ და აქციები ჩაატარებინონ. კიდევ ვიმეორებ, რომ ბედნიერი ვარ, როცა გელა ხუნდაძე მაკრიტიკებს და ვაი იმას, ვისაც ხუნდაძის იმედი აქვს. ჩემი პოზიცია ასეთია, სხვა კომენტარს მასზე არ ვაკეთებ,"** – ასეთი კომენტარი გააკეთა გუშინდელი მომიტინგეების თავდასხმის ობიექტმა, გუბერნატორმა თემურ შაშიაშვილმა. აქციის მონაწილეები მორიგ მიტინგს უახლოეს დღეებში ჩაატარებენ და იგივე მოთხოვნებს წამოაყენებენ.

# ყოფილი პროლეტარებისათვის პატიაშვილი კვლავაც ქარიზმაა

მაია მოსიაშვილი

გუშინ რუსთავში პოლიტიკური გაერთიანება "ერთობის" წინასაარჩევნო შეხვედრა კინაღამ ჩაიშალა. მისი ჩატარება ქიმიკოსთა სასახლეში იყო დაგეგმილი, თუმცა "აზოტის" ხელმძღვანელობამ "ერთობას" ამგვარ დახმარებაზე უარი განუცხადა. ჯუმბერ პატიაშვილი და ალექსანდრე ჭაჭია რუსთაველებს მეტალურგთა კულტურის სასახლეში შეხვდნენ. ისინი რამდენიმე საათის განმავლობაში ისმენდნენ ხანდაზმული გამომსვლელების ემოციურ ეპითეტებს.

"საქართველოს არ ჰყავს ისეთი ლიდერები, როგორებიც იყვნენ იოსებ სტალინი და ლეონიდ ტროცკი. გვყავს მხოლოდ ერთი ლიდერი - ჯუმბერ პატიაშვილი," - რუსთაველ ვეტერანთა კავშირის თავმჯდომარის გამოსვლა, ისევე როგორც სხვების, კომუნისტური წყობის ნოსტალგიითა და აწმყოს უარყოფით გამოირჩეოდა. როგორც ჩანს, ყოფილ საბჭოთა პროლეტარიატს პატიაშვილი კვლავაც წარსული სოციალიზმის ტკბილი და უზრუნველი ცხოვრების აჩრდილად წარმოუდგენია. თავად პატიაშვილს მათთვის ამ აზრის გაფანტვა არც უცდია. მისი გამოსვლა ხელისუფლების მისამართით ამჯერად გაცილებით მწვავე იყო, ვიდრე წინა წლებში, თუმცა მაინც კორექტული.

"მე არ ვლანძღავ შევარდნაძეს, მე მას პასუხს ვთხოვ. ჯერ მეგზეევების კავშირი შექმნეს, მერე ვისი აღარ. ახლა სამაჩაბლოდან ჩამოიყვანეს ხალხი. როგორ შეიძლება, ნუ ატყუებთ, ნუ აწვალებთ ხალხს," - "ერთობის" ლიდერი პრეზიდენტის საკადრო შეცდომებსაც შეეხო და განაცხადა, რომ საკუთარი კლანის შესაქმნელად მან საპასუხისმგებლო თანამდებობებზე გამოუცდელი და უცოდინარი კადრები მიიყვანა. "ზოგიერთი მათგანი დღეს გუბერნიის ხელმძღვანელად გვევლინება და მე ჭკუას მასწავლის," - პატიაშვილს მამალაძე არ უხსენებია, თუმცა მის ნათქვამის ქვეტექსტში სწორედ ის იგულისხმებოდა.

არჩევნებამდე ოთხი თვით ადრე "ერთობის" საარჩევნო პარტნიორად ისევ "აღორძინება" მოიაზრება. "აღორძინებასთან" ჩვენი ურთიერთობა გარკვეულია, მაგრამ საარჩევნო დეტალები ჯერ შეთანხმებული არ არის," - ამბობს ჯუმბერ პატიაშვილი. მისივე თქმით, კონსულტაციები "ნაციონალებთან" ჯერჯერობით უშედეგოდ მიმდინარეობს. "ჩაკეტილები არ ვართ, დროა მოვძებნოთ ჩვენი პოლიტიკური პარტნიორები. ვფიქრობ, მათი ვინაობა აგვისტოს ბოლოსთვის უკვე გარკვეული იქნება," - განაცხადა "ერთობის" ლიდერმა.

## მოკლედ

### 5 ივლისს საქართველოს აშშ-ს ყოფილი სახელმწიფო მინისტრი ჯეიმს ბეიკერი ეწვევა

აშშ-ს პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის დავალებით, 5 ივლისს აშშ-ს ყოფილი სახელმწიფო მინისტრი, ედუარდ შევარდნაძის მეგობარი - ჯეიმს ბეიკერი და აშშ-ს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მაღალჩინოსნები საქართველოს ეწვევიან. ამის შესახებ გუშინ საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივანმა თედო ჯაფარიძემ სახელმწიფო კანცელარიის წინ მიმდინარე დევნილთა საპროტესტო აქციის მონაწილეებს განუცხადა.

საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივანი კონფლიქტის მოგვარების "პოზიტიურ პერსპექტივებს" აფხაზეთის კონფლიქტით აშშ-ს დაინტერესებას უკავშირებს. მისი თქმით, აშშ-ს ადმინისტრაციამ ყურადღებით შეისწავლა და გააანალიზა, აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებით, საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის მიერ ჯორჯ ბუშისადმი გაგზავნილი წერილი და გაჩნდა სურვილი, თბილისში ვიზიტისას ამ პრობლემასთან დაკავშირებული საკითხების განხილვისა. **ინტერ-პრესი**

### აფხაზეთიდან დევნილები შიმშილობით იმუქრებიან

დევნილთა აქციის ორგანიზატორები არიან მოძრაობა "საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისთვის", "აფხაზეთის მეომართა კავშირი", "აფხაზეთიდან დევნილთა კავშირი", "ინვალიდთა კავშირი" და "ვეტერანთა კავშირი".

აქციის მონაწილეები სეპარატისტულ გარიგებად მიიჩნევენ რუსეთისა და საქართველოს პრეზიდენტებს შორის სოჭში მიღწეულ შეთანხმებას სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის შესახებ, რომელიც აფხაზეთის საბოლოოდ დაკარგვის შენიღბული ფორმის კლასიკურ ნიმუშს წარმოადგენს. მათი აზრით, უპირველესი მნიშვნელობა აქვს არა რკინიგზის აღდგენას და დევნილთა უსაფრთხო დაბრუნებას გალის რაიონში, არამედ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და, შესაბამისად, აფხაზეთში საქართველოს იურისდიქციის აღდგენას.

დევნილთა მოთხოვნების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, აფხაზეთიდან დევნილ მეომართა 20-კაციანი ჯგუფი სახელმწიფო კანცელარიასთან შიმშილობის აქციას დაიწყებს. დევნილები პროტესტის ამგვარი ფორმით გამოხატვას სექტემბრის ბოლოსთვის, სოხუმის დაცემის 10 წლისთავისთვის აპირებენ.

ამის შესახებ გუშინდელი აქციის საკოორდინაციო შტაბის თავმჯდომარემ აბესალომ მიქელაძემ განაცხადა.

**"ჩვენ არ ვხუმრობთ და არ ვთამაშობთ. ჩვენ ზურგს შევაქცევთ შევარდნაძის ხელისუფლებას და საპროტესტო აქციებით იძულებულს გავხდით, პოლიტიკური ასპარეზიდან წავიდეს,"** - აღნიშნა მიქელაძემ.

მიქელაძის განცხადებით, საქართველოს პრეზიდენტს აქვს შანსი, ააცილოს ქვეყანას მოსალოდნელი დესტაბილიზაცია და 20-22 სექტემბრისათვის დანიშნულ დსთ-ს ქვეყნების მეთაურთა სამიტზე, რუსი სამშვიდობოებისთვის მანდატის გაგრძელებაზე უარი განაცხადოს. **ინტერ-პრესი**

### "ლეიბორისტების" ოფისი დაარბიეს

გუშინ დილით "საქართველოს ლეიბორისტული პარტიის" ვაკე-საბურთალოს რაიონული ორგანიზაციის ოფისზე თავდასხმა განხორციელდა. პარტიის საინფორმაციო დეპარტამენტის უფროსის, გელა დანელიას განცხადებით, თავდამსხმელებმა ჩამოგლიჯეს პარტიის დროშა და პარტიის აღმნიშვნელი აბრის ჩამოგდებას შეეცადნენ. "ლეიბორისტების" მიერ გაწეული წინააღმდეგობის შემდეგ კი, თავდამსხმელები მიიმალნენ. მომხდარ ფაქტს "ლეიბორისტები" ხელისუფლებას და ჟვანია-სააკაშვილის გუნდს აბრალებენ, რომლებიც, მათი განცხადებით, "ლეიბორისტული პარტიის" მაღალი რეიტინგით გაღიზიანებულნი არიან და მათ დაშინებას ძალადობის გზით ცდილობენ. **ინტერ-პრესი**

### "ქართველი მეომრები აფხაზებზე ნატო-ს აღჭურვილობას ჰყიდიან"

აფხაზეთის პრემიერ-მინისტრმა რაულ ხაჯიმბამ გუშინ განაცხადა, რომ ქართველი მეომრები არაღიარებული რესპუბლიკის არმიის წევრებზე ნატო-ს აღჭურვილობებს ჰყიდიან. რუსულ გაზეთ "ვრემია ნოვოსტეი"-სთან ინტერვიუში ხაჯიმბამ აღნიშნა, რომ ამის მაგალითები "მრავლადაა". მისი თქმით, აფხაზეთის ჯარი " ქართული ჯარზე არანაკლებ ჩაცმული და აღჭურვილია". რაულ ხაჯიმბას აზრით, აღჭურვილობის გაყიდვის ამგვარი ფაქტები საქართველოს შეიარაღებულ ძალებში არსებულ დაბალ დისციპლინაზე მიუთითებს. ხაჯიმბას თქმით, აფხაზეთის არმია - "უმეტესად ახალწვეულებით, რეზერვისტებით დაკომპლექტებული, საკმაოდ მობილური დანაყოფებია". "აფხაზეთში მზად არიან სიტუაციის ნებისმიერი სცენარით განვითარებისათვის, ამიტომაც ჩვენი მთავარი ამოცანა არმიის მზადყოფნაა," - თქვა მან. **პრაიმ-ნიუსი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

### ორი სიტყვით

**თბილისი.** "ნაციონალური მოძრაობის" ლიდერი მიხეილ სააკაშვილი დარწმუნებულია, რომ ხელისუფლებას მომავალი საპარლამენტო არჩევნები უკვე წაგებული აქვს და "მას სხვადასხვა კატეგორიის გაერთიანებების დაფუძნება ვეღარ უშველის". ამავე კონტექსტში სააკაშვილი აცხადებს, რომ გუშინ ოპერის თეატრში მოძრაობა "მშვიდობიანი მომავლისათვის" დამფუძნებელ ფორუმზე, რომელიც მცხეთის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის, ბადრი ხატიძის ინიციატივით ჩატარდა, შეკრებილთა 90 პროცენტი არჩევნებში ხმას სახელისუფლებო ბლოკს არ მისცემს. **ინტერ-პრესი**

▪ ▪ ▪

**თბილისი.** გუშინ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, მომავალ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის მიზნით, რეგისტრაციაში გაატარა ორი პარტია - "ნეოლიბერალური პარტია - ლიბერალები" (თავმჯდომარე რევაზ შავიშვილი) და პოლიტიკური მოძრაობა - "ერთობა" (ხელმძღვანელი ჯუმბერ პატიაშვილი). გუშინვე დამტკიცდა ცესკო-ში მათი თითო ოფიციალური წარმომადგენელი. სხვა პარტიებსა და საარჩევნო ბლოკებს ცენტრალურ საარჩევნი კომისიაში რეგისტრაცია, ჯერჯერობით, არ გაუვლიათ. **მედია-ნიუსი.**

▪ ▪ ▪

**თბილისი.** დღეს ვაზიანის სამხედრო ბაზაზე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული, ყოფილი შავნაბადას ბატალიონის მებრძოლთა ხსოვნის მემორიალი გაიხსნება. ცერემონიალს თავდაცვის სამინისტროსა და გენერალური შტაბის ხელმძღვანელები, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები დაესწრებიან. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლებში შავნაბადას ბატალიონის 67 ჯარისკაცი დაიღუპა. **მედია-ნიუსი.**

▪ ▪ ▪

**თბილისი.** დღეს თვითგამოცხადებული აფხაზეთის რესპუბლიკის პარლამენტი "აფხაზეთის კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის და ძალაში შესვლის შესახებ" პირველი მოსმენით მისაღებ კანონპროექტზე პრეზიდენტ არძინბას მიერ დადებული ვეტოს გადალახვას შეეცდება. **ინტერ-პრესი**

▪ ▪ ▪

**თბილისი.** სექტემბერში 500-ზე მეტი სამხედრო მოსამსახურე, მათ შორის 230 - აშშ-დან, მონაწილეობას მიიღებს საქართველოში ნატო-ს პროგრამა "პარტნიორობა მშვიდობისათვის" ფარგლებში დაგეგმილ მრავალეროვნულ სწავლებებში "Medceur/Rescuer-2003". პარალელურად გაიმართება სამხედრო სამედიცინო სწავლებები "Medceur-2003" და სამეთაურო-საშტაბო კომპიუტერული სწავლებები "Rescuer-2003", რომელთა ძირითადი მიზანია კრიზისულ სიტუაციებში ურთიერთქმედებების დამუშავება. სწავლებების ძირითად ხარჯებს თავის თავზე ამერიკული მხარე იღებს. **პრაიმ-ნიუსი**

▪ ▪ ▪

**თბილისი.** 7 ივლისს საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალები დაარსებიდან 11 წლისთავს აღნიშნავენ. როგორც სამხედრო-საზღვაო ძალების შტაბში აცხადებენ, აღნიშნულ თარიღთან დაკავშირებით, ფოთში რიგი საზეიმო ღონისძიებები იგეგმება. **პრაიმ-ნიუსი**

▪ ▪ ▪

**თბილისი.** მესტიის რაიონის პოლიციის თანამშრომელი პაატა ქავთარაძე, რომელიც ამავე რაიონში მცხოვრები შავგენ გაბულდანის მკვლელობაშია ეჭვმიტანილი, სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციას ჩაბარდა. ამჟამად მიმდინარეობს ქავთარაძის დაკითხვა და ინციდენტის დეტალების დადგენა. პაატა ქავთარაძის მიმართ სისხლის სამართლის საქმე განზრახ მკვლელობის მუხლით არის აღძრული. **ინტერ-პრესი**

▪ ▪ ▪

**თბილისი.** ორი თვის მანძილზე ქვეყნის მასშტაბით შხამქიმიკატების ბრუნვის წესების დარღვევის ორასამდე სამართალდარღვევა აღირიცხა. აქედან სისხლის სამართლის საქმე ოთხზე აღიძრა. **მედია-ნიუსი**

▪ ▪ ▪

**თბილისი.** თბილისის ზღვაზე სამართალდამცველებმა უცნობი მამაკაცის გვამი აღმოაჩინეს. საქმე თბილისის გლდანი-ნაძალადევის პროკურატურამ აღძრა. მამაკაცის ასაკი, ვინაობა და გარდაცვალების მიზეზი, ჯერჯერობით, ცნობილი არ არის. **მედია-ნიუსი**

▪ ▪ ▪

**თბილისი.** ყალბი საბუთების დამზადება-გამოყენების ფაქტზე საგანგებო ლეგიონში სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. ლეგიონის ინფორმაციით, მოქალაქე გოჩა კუარაშვილი 18 ათას 455 ლიტრი ბენზინის გადაზიდვისას დააკავეს. მას თან ყალბი ანგარიშ-ფაქტურები აღმოაჩნდა. საქმე საგამოძიებო ქვემდებარეობის განსაზღვრის მიზნით გენერალურ პროკურატურას გადაეგზავნა. **მედია-ნიუსი**

▪ ▪ ▪

**თბილისი.** საგანგებო ლეგიონში სისხლის სამართლის საქმე ფალსიფიკაციის ფაქტზე აღიძრა. მოქალაქე ანზორ ცეცხლაძე ფალსიფიცირებულ უალკოჰოლო სასმელს აწარმოებდა. საქმე, საგამოძიებო ქვემდებარეობის განსაზღვრის მიზნით, საქართველოს გენერალურ პროკურატურას გადაეგზავნა. **მედია-ნიუსი.**

▪ ▪ ▪

**თბილისი.** საგანგებო ლეგიონში შპს „ბუნების" მიმართ საბაჟო წესის დარღვევის ფაქტზე საქმე აღიძრა. შპს-ს ხელმძღვანელობამ აზერბაიჯანიდან საქართველოში კონტრაბანდული გზით 400 ტონა ბენზინი შემოიტანა, რითაც სახელმწიფო ბიუჯეტს 74 ათას 199 ლარის ზიანი მიაყენა. საქმე, საგამოძიებო ქვემდებარეობის განსაზღვრის მიზნით, საქართველოს გენერალურ პროკურატურას გადაეგზავნა. **მედია-ნიუსი**

▪ ▪ ▪

**თბილისი.** ახმეტის საავადმყოფოდან თბილისში მძიმედ დაჭრილი კაპრალი, 22 წლის ოზურგეთელი მამუკა მდინარაძე ჩამოიყვანეს. ჭრილობა მას გულ-მკერდის არეში აქვს.

კახეთის რეგიონის სამხედრო პროკურორის, ილია ოთარაშვილის განცხადებით, მოკვლევის მასალებით ირკვევა, რომ, შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს იარაღთან გაუფრთხილებლად მოპყრობას. თუმცა, პროკურატურაში არც თვითმკვლელობის და არც მკვლელობის მცდელობის ვერსიას არ გამორიცხავენ. **ექსპრესი**

# აკაკი ასათიანი პარლამენტს ეფერება და პრეზიდენტს ემუქრება

გიორგი ასანიშვილი

*"ტრადიციონალისტთა კავშირის" თავმჯდომარე აკაკი ასათიანი საპარლამენტო ცხოვრებაში თვისობრივ ცვლილებებს გვპირდება. მისი თქმით, იმ შემთხვევაშიც კი, თუ პრეზიდენტი შევარდნაძე რიგგარეშე სესიას არ დანიშნავს, საკანონმდებლო ორგანო უახლოეს 48 საათში მაინც შეიკრიბება და უმნიშვნელოვანესი საკითხების განხილვას შეუდგება. ასათიანი ირწმუნება, რომ რიგგარეშე სესიაზე კვორუმის პრობლემა აღარ იქნება და არ გაჭირდება ისეთი გადაწყვეტილებების მიღება, რომლებსაც 118 ხმა სჭირდება. ქართველ ტრადიციონალისტთა ლიდერის თქმით, რიგგარეშე სესიის დღის წესრიგში ოთხი საკითხი შევა: სამშვიდობო ძალების გაყვანა, საარჩევნო კოდექსი, საკონსტიტუციო ცვლილებები და მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხი.*

აკაკი ასათიანის განცხადებით, რიგგარეშე სესიის ჩატარების მოთხოვნას მხოლოდ 90-მა დეპუტატმა მოაწერა ხელი, მაგრამ ზემოთ ჩამოთვლილი საკითხების განხილვისას მოიძებნება 120-125 პარლამენტარი, რომლებიც სამშვიდობო ძალების გაყვანას, საარჩევნო კოდექსის მიღებასა და მთავრობის გადაყენების მოთხოვნას აუცილებლად დაუჭერენ მხარს.



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*"ტრადიციონალისტების" ლიდერი წინდახედულობას იჩენს.*

**"საქართველოს ცოტა ხნით მაინც ეყოლება ნამდვილი პარლამენტი, რომელიც ღირსეულ გადაწყვეტილებებს მიიღებს,"** - ოპტიმიზმს ასხივებს ნომერ პირველი ტრადიციონალისტი, მაგრამ იგი არაფერს ამბობს იმაზე, თუ რა გზით აპირებს პარლამენტის "რეინკარნაციას". ასათიანი მხოლოდ იმას შენიშნავს, რომ სხვადასხვა პოლიტიკურ ძალებთან ტარდება კონსულტაციები, თუმცა, არ აკონკრეტებს, ვინ მონაწილეობს მოლაპარაკებებში. **"ძალიან რთული მოზაიკის აკრეფა მიმდინარეობს და სახელები რომ გავახმოვანო, შეიძლება ყველაფერი ჩაიშალოს,"** - სიფრთხილესა და წინდახედულობას იჩენს "ტრადიციონალისტების" ლიდერი.

ძნელი სათქმელია, საიდან იღებს სათავეს ასათიანის ოპტიმიზმი და რატომ არის დარწმუნებული, რომ ახლო მომავალში ახალი თემატური უმრავლესობის ჩამოყალიბება შესაძლებელია. ვიზუალურად კი, ტრადიციონალისტთა კავშირის თავმჯდომარის ძალისხმევა მხოლოდ იმაში გამოიხატება, რომ თავის კოლეგებს "ნამუსზე აგდებს" და მოუწოდებს მათ, ღირსეულად ჩაამთავრონ ეს საპარლამენტო ციკლი.

"ტრადიციონალისტთა კავშირის" ხელმძღვანელმა გუშინდელ პრესკონფერენციაზე, საკანონმდებლო ორგანოს გარდა, აღმასრულებელ ხელისუფლებასა და მის მეთაურზეც საკმაოდ ვრცლად ისაუბრა.

**"შევარდნაძეს ქვეყანაში არაფრის შეცვლა არ უნდა, მაშინ, როდესაც სწორედ რადიკალურ ცვლილებებშია შანსი იმისა, რომ საქართველო მძიმე მდგომარეობიდან გამოვიდეს და რაღაც პერსპექტივა ჰქონდეს",** - აცხადებს ასათიანი და იქვე დასძენს, რომ მზად არის, მხარი დაუჭიროს შევარდნაძის იმპიჩმენტის მოთხოვნას. ამით "ტრადიციონალისტები" მაქსიმალურად ცდილობენ, დაუახლოვდნენ "ნაციონალების" პოზიციებს...

**"ჯერ კიდევ გალის ამბების დროს ვთვლიდით, რომ შევარდნაძე უნდა გადამდგარიყო, მაგრამ მაშინ ამ საკითხის წამოწევისგან თავი შევიკავეთ. ახლა კი, აგერ არის ჩვენი ფრაქციის 13 ხმა, რა სოუსიც გინდათ, ის მიუსადაგეთ, რა ტექსტიც გინდათ, წაუმძღვარეთ - პრეზიდენტის იმპიჩმენტის ყველა ვარიანტს დავუჭერთ მხარს,"** - აცხადებს ასათიანი, რომელსაც შევარდნაძესთან მიმართებაში ზედგამოჭრილად მიაჩნია "იპოლიტე ხვიჩია-ფეოლას" დევიზი: "წააგებ? წადი სახლში!".

ასათიანის თქმით, შევარდნაძეზე ზეწოლას ის მხოლოდ ერთ შემთხვევაში შეანელებს, - თუ პრეზიდენტი საკონსტიტუციო ცვლილებებზე "წამოვა".

# ჭემალის აღსარება

## ანუ დაუჯერებელი ამბავი ცისფერი მთების გარეშე

ვერიკო თევზაძე

*გუშინ "აღორძინების" პარტიის წარმომადგენელმა ჯემალ მეგრელიძემ ასლან აბაშიძისადმი აღსარება წარმოთქვა. ამ უჩვეულო რიტუალს აბაშიძის ნაცვლად მასმედია ესწრებოდა.*

**"მე უზომოდ ბედნიერი ვარ იმისთვის, რომ ჩემი სიყრმის საუკეთესო პერიოდი, პირველ რიგში კი აღმზრდელობითი თვალსაზრისით, ბატონი ასლანის პოლიტიკურ მოღვაწეობას დაემთხვა... ავსულობით, ბოროტებით და შურით გაჯერებულმა ადამიანებმა მოახერხეს ჩემი გადაცდომა იმ ბედნიერი და ლამაზი გზიდან, რომელიც ბატონმა ასლანმა და ჩემმა მშობელმა ხალხმა გამიკვალა... დღეს მე მწარედ ვინანიებ ჩემს შეცდომას და პატიებას ვთხოვ ყველას, ვისაც კი გული ვატკინე. პატიებას ვთხოვ ბატონ ასლანს – ადამიან-ლეგენდას... ვისახავ სრულიად საბედისწერო მნიშვნელობის საბოლოო მიზანს, მიზანს, რომელიც ჩემთვის სიცოცხლეზე მეტია."**



*საბოლოო სიტყვა ბატონ ასლანს ეკუთვნის...*

ცოდვის გზა ბატონი ჯემალისთვის მაშინ დაიწყო, როცა მოქკავშირის წინასაარჩევნო პროგრამამ მოხიბლა, საპარლამენტო ფრაქცია "აღორძინება" დატოვა და 1999 წლის წინასაარჩევნო კამპანიაში მოქკავშირის აგიტაცია-პროპაგანდას მიჰყო ხელი. "აღორძინების" პარტიის რიგები მას არასოდეს დაუტოვებია. არც თავად ასლან აბაშიძეს გამოუძევებია თავისი ორგანიზაციიდან. **"ხომ წარმოგიდგენიათ, როგორი მოთმინებით იტანდა ბატონი ასლანი იმ ტკივილს, რომელიც ჩემი სახით, აღსაზრდელმა მიაყენა,"** - ემოციებს ვერ ფარავდა ჟურნალისტებთან საუბრისას ბატონი ჯემალი.

**"ჯემალის აღსარება უნიკალური ფაქტია თანამედროვე პოლიტიკის ისტორიაში,"** - ასე შეაფასა გუშინდელი ამბავი ბატონი ჯემალის ერთ-ერთმა მეგობარმა და თანამოაზრემ. მან იქვე დასძინა, რომ **"მონანიე ადამიანი სასურველია ღმერთისთვისაც და ერისთვისაც."** საბოლოო სიტყვა ბატონ ასლანს ეკუთვნის...

# ჩიხი

*"სოჭის ხელშეკრულება გარდაიცვალა, ის უკვე აღარ არსებობს. სამივე საკითხი, რომელიც შევარდნაძემ და პუტინმა სოჭში განიხილეს, ჩიხშია შესული", - აცხადებს აფხაზეთის პრობლემების შემსწავლელი დროებითი საპარლამენტო კომისიის დახურული სხდომიდან ყველაზე ადრე გამოსული თამაზ ნადარეიშვილი. იგი აზრს ვერ ხედავს იმაში, რომ ბოლომდე დარჩეს შეკრებაზე, რომელსაც, კომისიის წევრების გარდა, აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები - საგარეო საქმეთა მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი, განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრი მალხაზ კაკაბაძე, აგრეთვე, უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე ჯემალ გახოკიძე ესწრებოდნენ.*

გიორგი ასანიშვილი

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე საზოგადოებას შეახსენებს, რომ სოჭის შეთანხმების პირველი პუნქტი შეეხებოდა აფხაზეთის სტატუსის განსაზღვრას საქართველოს შემადგენლობაში, მაგრამ აფხაზურმა მხარემ პირდაპირ განაცხადა, რომ აფხაზეთი დამოუკიდებელი სახელმწიფოა და ამ საკითხში არანაირ კომპრომისზე არ წავა, ანუ, ამ შემთხვევაში, ჩიხის არსებობა ეჭვს არ იწვევს.

მეორე საკითხი, რომელზეც რუსეთისა და საქართველოს პრეზიდენტები სოჭში შეთანხმდნენ, დევნილთა დაბრუნებას შეეხება, მაგრამ ამის წინაპირობად სოხუმმა მოითხოვა, რომ ლტოლვილების დაბრუნება "დამოუკიდებელ აფხაზეთში" უნდა მოხდეს. მაშასადამე, ისევ ჩიხია!

და ბოლოს, მესამე საკითხი, რაზედაც პუტინმა და შევარდნაძემ თანხმობას მიაღწიეს, გულისხმობს იმას, რომ რკინიგზის აღდგენა წინა ორი საკითხის გადაწყვეტის სინქრონულად უნდა მოხდეს.

**"ასე რომ, ჩიხის "სინქრონი" მხოლოდ ჩიხი შეიძლება იყოს,"** - დაასკვნის ნადარეიშვილი, რომელიც, შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, სოჭის შეთანხმებას "არაფრისმომცემს" უწოდებს.

მეორე მხრივ, მთლად ორიგინალური ვერც ის გამოსავალი და რეკომენდაციაა, რომელსაც აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ასახელებს. **"საქართველოს ხელისუფლებამ უნდა დააფიქსიროს სამშვიდობო პროცესის უშედეგობა და გაერო-სგან მანდატის შეცვლა მოითხოვოს, კერძოდ, საჭიროა გადასვლა გაერო-ს წესდების მეშვიდე თავზე, რომელიც ძალისმიერი გზით მშვიდობის დამყარებას ითვალისწინებს,"** - მოითხოვს ნადარეიშვილი, რომელიც იქვე იმასაც დასძენს, რომ არათუ უვადოდ, არამედ თუნდაც ერთი დღითაც კი, რუსი სამშვიდობოებისთვის მანდატის გაგრძელება დაუშვებლად მიაჩნია.

სოჭის შეთანხმების რეალიზაციით უკმაყოფილოა ირაკლი მენაღარიშვილიც.

საინტერესოა, რომ მენაღარიშვილი მთლიანად იზიარებს ნადარეიშვილის ძალისხმევას გაერო-ს წესდების მეშვიდე მუხლზე გადასვლის მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით და აცხადებს, რომ ამ ძალისხმევას საგარეო საქმეთა სამინისტრო მხარს უჭერს. **"ოღონდ, ამის გაკეთება ასე ადვილი არ იქნება,"** - მართლაც დიპლომატიურად დასძენს მინისტრი, რაც, ფაქტობრივად, ნიშნავს, რომ "ამის გაკეთება შეუძლებელი იქნება."

მენაღარიშვილისგან განსხვავებით, სათქმელს პირდაპირ ამბობს განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრი მალხაზ კაკაბაძე. მისი მტკიცებით, დღევანდელი მდგომარეობის გათვალისწინებით, გაერო-ს მეშვიდე მუხლის ამოქმედება არარეალურია.

აფხაზეთის პრობლემების შემსწავლელი დროებითი საპარლამენტო კომისიის გუშინდელ დახურულ სხდომაზე რაიმე გადაწყვეტილება არ მიუღიათ.

# თბილისში წყალი, შესაძლოა, გაიაფდეს

პირველი გვერდიდან

იმისათვის, რომ ტარიფის დიფერენციაციამ "წყალკანალის" ეკონომიკურ მდგომარეობაზე სერიოზული გავლენა არ იქონიოს, "გაერთიანებული დემოკრატები" საგადამხდელო პოლიტიკის გამკაცრებასაც ითხოვენ და "წყალკანალს" იმ 16 მილიონი ლარის ოდენობის დავალიანების ამოღებისაკენ მოუწოდებენ, რომელიც მისი სხვადასხვა ორგანიზაციებს მართებთ.

საკრებულოს დაფიქრებისაკენ მოუწოდა "წყალკანალის" აღმასრულებელმა დირექტორმა ომარ რონიშვილმა. მისი თქმით, წყლის ტარიფის დიფერენციაცია ტექნიკურ პრობლემებს უკავშირდება და, ფაქტობრივად, მისი დანერგვა გამორიცხულია. როგორც გაირკვა, "წყალკანალის" ხელმძღვანელობა მხარს უჭერს წყლის ტარიფის დიფერენციაციას მხოლოდ ორგანიზაციებისთვის, და არა მოსახლეობისთვის. **"თუ დიფერენცირებული ტარიფები შემოგვაქვს, რეალურად მაინც გავთვალოთ, თუ რა პარამეტრით უნდა განისაზღვროს ის,"** – ასეთია რონიშვილის პოზიცია. მისი თქმით, წყლის ტარიფი დაანგარიშებულია საშუალო თბილისელის მიერ მოხმარებული მინიმალური ხარჯიდან. ამის გამო, ეს ტარიფი ისედაც არარენტაბელურია და "წყალკანალი" სუბსიდირებას საჭიროებს. ზოგიერთი უბნისთვის გრაფიკების დაწესებას კი თბილისის რელიეფი და წყალმომარაგების რთული სქემები იწვევს. **"ყველაზე სამართლიანი გამრიცხველიანების პროცესის დაჩქარება იქნება,"** – მიიჩნევს რონიშვილი.

44 ათასი თბილისელი აბონენტის გამრიცხველიანება 19 მილიონი დოლარი ჯდება. ეს პროცესი "წყალკანალზე" გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულმა ფრანგული "ვივენდის" შვილობილმა კომპანიამ "ჟენერალ დეზ ო"-მ უნდა განახორციელოს, რომელიც ქართულ კომპანიაში 10-წლიანი მართვის უფლებით შევიდა. **"თუმცა, მათ პროგრამაში არ არის გაწერილი კონკრეტული ვადა, თუ როდისთვის უნდა მოხდეს ეს,"** – განმარტავს რიონიშვილი.

"გაერთიანებული დემოკრატები" მიიჩნევენ, რომ დიფერენცირებული ტარიფის შემოღებით "ჟენერალ დეზ ო"-ს გამრიცხველიანების პროცესის დასაწყებად დამატებით იმპულსს მისცემენ.

წყლის ტარიფის დადგენასთან დაკავშირებით სხვადასხვა კომისიები კიდევ იმსჯელებენ, რის შემდეგაც საკითხი საკრებულოს სხდომაზე გავა.

# სავალუტო ფონდი რეალურ გეგმას და მაჩვენებლებს ითხოვს

სოფიკო ოხანაშვილი

სავარაუდოდ, დღეს გახდება ცნობილი საერთაშორისო სავალუტო ფონდის მემორანდუმის შინაარსი, რომელსაც მისია საქართველოში ორკვირიანი მუშაობის შემდეგ დატოვებს. გუშინ კი, სსფ-მ ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრთან შეხვედრისას ბიუჯეტში დაგეგმილი პრივატიზებიდან შემოსავლების შემცირება მოითხოვა. სავალუტო ფონდის მისიას, დაპირებისამებრ, არანაირი კომენტარი არ გაუკეთებია. თუმცა, ეკონომიკის მინისტრის გიორგი გაჩეჩილაძის განცხადებით, ერთ-ერთი საკითხი პრივატიზების გეგმის შესრულებას ეხებოდა. მისი თქმით, სსფ-ს მისიამ პრივატიზების გეგმის რეალურად შესასრულებლად, პარამეტრების შემცირება მოითხოვა. **"ფონდის მისიამ განაცხადა, რომ პრივატიზების 41-მილიონიანი გეგმა მათთან არ იყო შეთანხმებული და შეუსრულებადია, ამიტომ ისინი ამ პარამეტრის შემცირებას ითხოვენ",** - ორსაათიანი შეხვედრის შემდეგ განაცხადა გიორგი გაჩეჩილაძემ.

არაოფიციალური ინფორმაციით, საერთაშორისო სავალუტო ფონდი პრივატიზების 41-მილიონიანი გეგმის 15 მილიონამდე შემცირებას ითხოვს. თუმცა, ეკონომიკის მინისტრის თქმით, საბოლოო რიცხვი ჯერ არ დასახელებულა. **"ჩვენ ვეცადეთ დაგვერწმუნებინა მისიის წარმომადგენლობა, რომ ამ გეგმის ამბიციურობის მიუხედავად, ის მაინც შესრულებადია. მაგრამ, ისინი გეგმის შემცირებას ითხოვენ. ჩვენ შევეცდებით ფონდი პრივატიზების პარამეტრის უმნიშვნელო შემცირებაზე დავითანხმოთ,** - მინისტრს თანხების მობილიზების იმედი აქვს, მაგრამ ოფიციალური მონაცემები არ იძლევა ასეთი ოპტიმისტური განცხადებების საფუძველს. ამ დროისათვის, პრივატიზებიდან ამოღებულია მხოლოდ 4,39 მილიონი ლარი, რაც წლის გეგმის (41,5 მილიონი ლარი) 11 პროცენტს, ხოლო ექვსი თვის გეგმის (9,51 მილიონი ლარი) - 46 პროცენტს შეადგენს.

კიდევ ერთი საკითხი რაც სსფ-ს მისიამ ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრთან განიხილა საწარმოთა მართვის სააგენტოს საქმიანობას შეეხება. საერთაშორისო სავალუტო ფონდმა სამინისტროს მსოფლიო ბანკთან შუამდგომლობა აღუთქვა, რომ საწარმოთა მართვის სააგენტომ ტექნიკური დახმარება მიიღოს, რაც კონსულტაციების გაწევასა და ექსპერტების ჩამოსვლაში გამოიხატება.

### სვეტი

# არც ხელისუფლებაა ძლიერი და არც ოპოზიცია

## ისინი მხოლოდ ერთმანეთის სისუსტეზე თამაშით აპირებენ არჩევნებში გამარჯვებას

მაია ჭალაგანიძე

მითხარი, რა სიხშირით იცვლი პოზიციას და გეტყვი, მოგცემ თუ არა ხმას ნოემბერში... ასე დავარქმევდით ერთჯერად რუბრიკას, რომლითაც ისედაც ცხელ ზაფხულში ნომრის პერსონების გრძელი ინტერვიუებით თავგაბეზრებულ ადამიანებს შევასვენებდით.

რა არის ჩვენი მიზანი? არც არაფერი. უბრალოდ, ერთად გადავავლოთ თვალი მათ გამონათქვამებს, ვისაც მიაჩნია, რომ ქვეყნის ბედი უნდა განაგოს და ამისთვის სულ მცირე რამ, ხალხის მხარდაჭერაა საჭირო. ასზე მეტი პერსონის "დაკითხვით" აშკარად გამოიკვეთა ერთი რამ - ყველაფერი საზოგადოებას ბრალდება. ძალზე პოპულარული გახდა გამოთქმები - პარლამენტი საზოგადოების სარკეა (თუმცა, არა მგონია, რომელიმემ სარკეში ჩავიხედოთ და იქ საკუთარი თავის ნაცვლად ვიტალი ხაზარაძის გამოსახულება დავინახოთ), ოპოზიციის გაერთიანება ხალხის დაკვეთა უნდა იყოს; ასეთივე დაკვეთა უნდა იყოს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა, განათლების სისტემის რეფორმა, არმიის შექმნა, ჯიხურების აღება, ქვეწარმავალთა წინააღმდეგ ბრძოლა და სხვა დანარჩენი სახელმწიფოებრივი რამ... ჩვენი პოლიტიკური სპექტრი საყოფაცხოვრებო კომბინატ "პირიმზეს" ჰგავს - შეკვეთების გარეშე ვერ მუშაობს... მაგრამ, იმაზე საუბარი კი არავის უცდია, რომ საზოგადოება დეპუტატებს იმიტომ არ აძლევს მანდატს, რათა საკუთარი თამაშები აწარმოონ, გახდნენ კორუმპირებულნი, სახურავად გადაეფარონ შავ ბიზნესს, საკუთარ ამომრჩეველს საარსებო მინიმუმი ინფლაციის მომიზეზებით არ გაუზარდონ და ეს ყველაფერი ხალხის სახელით აკეთონ...

ბევრი ფილოსოფია გამოდის.

გადავხედოთ პერსონებს.

**"უკანასკნელი 7-8 წლის მანძილზე ამ ქვეყნის ძირითადი პოლიტიკური პრობლემაა არა ის, რომ ხელისუფლებაა ძალიან ცუდი, არამედ ის, რომ არ არსებობს საიმედო ოპოზიცია,"** - ამბობს პოლიტოლოგი გია ნოდია და ეს ერთგვარი დიაგნოზია.

ხალხი შეიძლება ძალზე უკმაყოფილო იყოს ხელისუფლებით, მაგრამ არჩევნებამდე 4 თვით ადრე ვერ ხედავს ისეთ ალტერნატიულ ძალას, რომელსაც იგი ენდობა, როგორც ალტერნატიულ ხელისუფლებას. **"არასდროს გვითქვამს, რომ ოპოზიციურ გაერთიანებაში ვაპირებთ შესვლას. ჩვენთვის ძალზე ძვირფასია ჩვენი დამოუკიდებლობა. ამდენი ხანია, პარტიას ვაშენებთ არა იმისთვის, რომ გავცვალოთ და გავყიდოთ სკამებზე,"** - ამბობს "ახალი მემარჯვენე" დათო გამყრელიძე მარტში. **"ნებისმიერი ძალა, რომელიც ოპოზიციური გაერთიანების გარეთ დაიჭერს თავს, პოლიტიკურ სპექტრში ავტომატურად უნდა გამოცხადდეს "ნონგრატად" და ჩვენ ამას თანმიმდევრული მუშაობით მივაღწევთ,"** - ამავე პერიოდში აცხადებს "ნაციონალი" მიხეილ სააკაშვილი. ოდნავ მოგვიანებით "დემოკრატი" გოკა გაბაშვილი დასძენს, რომ **"ვერც ერთი ცალკე აღებული ოპოზიციური პარტია მნიშვნელოვნად ვერ შეცვლის სიტუაციას"** და ყველას გასაერთიანებელი კონსულტაციებისკენ მოუწოდებს... ჩვენთან ინტერვიუებში ამ აზრზე ცალ-ცალკე ყველა ოპოზიციური პარტიის ლიდერი იდგა. გაერთიანება კი მათ ხელისუფლებამ დაასწრო. ოპოზიციის გაერთიანების უპრეცედენტო ფაქტი არჩევნებამდე 4 თვით ადრეც არ ხერხდება. ჩვენთან პრობლემა ის არის, რომ არც ხელისუფლებაა ძლიერი და არც ოპოზიცია. მათ ერთმანეთის სისუსტეზე თამაში აირჩიეს ბრძოლის მეთოდად, მაგრამ ვერც ამას აკეთებენ ხარისხიანად.

ტრადიციულად გამოკვეთილი პოზიციის არმქონე კაკო ასათიანი ამბობს სიტყვებს, რომელიც ტრადიციულად ხელისუფლების მომხრეთა არგუმენტია: **"მე ვერ ვიქნები იმ პრინციპის მომხრე - "ოღონდ შევარდნაძე არ იყოს". არ შეიძლება, პოლიტიკოსი აქამდე დავიდეს. შევარდნაძე ორი წლის მერე თავისთავად აღარ იქნება."** ჩვენი გაზეთისთვის მიცემული ინტერვიუდან ამოღებული ეს სიტყვები ითქვა მარტში და ხელისუფლებასთან მისი ვიზიტებიც გახშირდა. ის კი უნდა ითქვას: ასათიანს კარგად ახსოვს, რომ **"ხელისუფლება ყოველთვის თვითონ აგებს"...**

დამოუკიდებლობიდან ამდენი წლის მერე ისევ მოწყენილები ვართ. ისევ არ ვიცით ერთადერთი სწორი გზა და ისევ არ გვყავს ხელისუფლება, რომელიც ქვეყანას ამ სწორ გზაზე დააყენებს. ყოფილმა კომკავშირლებმა და პარტმუშაკებმა შეისყიდეს ყველაფერი, რისი ყიდვაც შეიძლებოდა, ცოტა დემოკრატობანა ითამაშეს და ეს სიტყვა ქურდობისა და კორუფციის სინონიმი გახადეს. ამის შემდეგ ალაპარაკდნენ წესრიგის აუცილებლობაზე, რომელსაც თავადვე დაგვპირდნენ და თანაც არაერთხელ. ჩვენთან ინტერვიუში საინტერესო მოსაზრება გამოთქვა არმაზ ახვლედიანმა, რომლის აზრითაც, დასავლეთის საქართველოთი დაინტერესება გეოპოლიტიკის, მსოფლიო გადანაწილების და ახალი წესრიგის კი არა, უპირველესად, წინაპართა დამსახურებაა – **"ერთხელ და სამუდამოდ უნდა დავივიწყოთ ეს ცრუ ფრაზა - "ბრძოლა კორუფციასთან". ეს გამორიცხულია. კორუფციულია თავად სისტემა,"** – თუმცა ამას ამ სისტემის დამცველი სახელისუფლებო ძალის წარმომადგენელი ამბობს. კორუფციას ეხება მუდმივ სკანდალებში გახვეული "ეი-ი-ეს" თელასის ხელმძღვანელი იგნასიო ირიბარენი: **"საქართველოს მთავრობას ძალიან ვუყვარდით, როცა მარჯვნივ და მარცხნივ ვყრიდით ფულებს... თუ ამ ქვეყნიდან გამაგდებენ, ძალიან მშვიდობიანი ცხოვრება მექნება. ზოგჯერ, თვალაპყრობილი ვნატრობ, ნეტავ შალვა სასამართლომ გაამართლოს-მეთქი,"** - მაშინ შალვა ნათელაშვილი მართლაც გაამართლა სასამართლომ და ტარიფი შეამცირა. რამდენიმე თვის შემდეგ (ანუ ახლა) სწორედ ეს შემცირება გახდა ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ჩვენი მარჩენალი საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციები ქვეყნიდან წასვლით იმუქრებიან. **"ნახევარი წუთი უნდა იმ კანონის მიღებას, რომლის თანახმადაც ენერგეტიკა დაუბრუნდება სახელმწიფოს და კილოვატსაათზე ორი თეთრი დაწესდება,"** - თქვა ხალხის ხმად წოდებულმა ნათელაშვილმა და ხელისუფლებამაც ეს ნათქვამი აიტაცა. ამას კი "გამარჯვებული კოზმანაშვილის" სიტყვები მოჰყვა: **"ფაქტობრივად, ხალხმა "ლეიბორისტების" სასარგებლოდ გადაწყვიტა მომავალი საქართველოს განვითარება. პირველი ადგილი სწორედ ამას ნიშნავს."**

და თუ ეს არის საზოგადოების დაკვეთა, სერიოზული გასტრონომიული მეგზური გვჭირდება...

დეკემბერში "ეროვნულ-დემოკრატიული" პარტიის ლიდერი ირინა სარიშვილი-ჭანტურია დაგვპირდა, **"მცირე ხანში პარტია ისეთი გახდება, როგორც გია ჭანტურიას დროს იყო."** აქვე გაიკვირვა: **"იმდენად შორსაა რეალობისგან პრეზიდენტის შეფასებები, არ მესმის, რანაირად შეიძლება იყოს ეს მკვდარი პარტია მისი დასაყრდენი"-ო.** ერთ საღამოს ინტერვიუში ონავარი ღიმილით განგვიცხადა: **"ერთადერთი, რაც შეიძლება მოხდეს, სააკაშვილისა და ჟორბენაძის გაერთიანებაა. დანარჩენი ყველაფერი მომხდარია"-ო** და... დილით შევარდნაძისა და ჟორბენაძის სახელისუფლებო ბლოკის სპიკერი გახდა.

სარიშვილ-ჭანტურიას, სხვათა შორის, პატიოსნებით ვახტანგ რჩეულიშვილმა აჯობა. გვითხრა, **"სახალხოდ ვაცხადებ, მორჩა, დამთავრდა ჩემი ტელეოპოზიციონერობა"-ო** და სახელისუფლო ბლოკში გადავიდა. ახლა მას მთავრობის სხდომებზე არამკითხე სიტყვების თქმა აღარ სჭირდება და მიუხედავად იმისა, რომ **"შევარდნაძეს დიდი ბრალი მიუძღვის, რომ ქართული ეკონომიკა, მრეწველობა და სოფლის მეურნეობა დაანგრია"**, ყოველ საღამოს პრეზიდენტს ბლოკური კონტექსტით ხვდება...

წინა არჩევნებში ბათუმურმა გაერთიანებამ შევარდნაძესა და "მოქალაქეთა კავშირს" გამარჯვება გაუადვილა. თუ ოპოზიცია იმავე როლში აღმოჩნდას უფრთხის და ამიტომ არ ერთიანდება, სიფხიზლისთვის ქართველთა ერთ ძირძველ "დაკვეთას" შევახსენებ - შეჩვეული ჭირის არჩევის შესახებ...

მომავალ პერსონამდე - შემოდგომაზე.

მოკლედ

## უშიშროების სამინისტრო ხელის გულზე


ლევან ხერხეულიძის ფოტო

*უშიშროების სამინისტრომ საზოგადოება ისევ სასიამოვნოდ განაცვიფრა.*

ნოვატორული იდეებით გამორჩეულმა უშიშროების სამინისტრომ საზოგადოება ისევ სასიამოვნოდ განაცვიფრა და ინტერნეტში თავისი ოფიციალური ვებ გვერდი გახსნა - www.sus.ge პრეზენტაციაზე მიწვეულ ჟურნალისტებს და მასპინძლებს - ვალერი ხაბურძანიასა და ნიკა ლალიაშვილს - თეთრი სარეკლამო მაისურები ეცვათ.

ვებ-გვერდის წარდგენისას ნიკა ლალიაშვილმა ბრძანა: "საიტი ძალიან დინამიურია და ხშირად იცვლება. ინტერაქტიურია, რაც საშუალებას აძლევს მომხმარებელს, ჩაერთოს დისკუსიაში, დასვას კითხვები, მიიღოს პასუხები. საზოგადოებასთან ასეთი მჭიდრო კავშირი არა მარტო საიტის კონცეფციის ძირითადი ნაწილია, არამედ მთელი ჩვენი სამინისტროსი.

რუბრიკა "პრესის მიმოხილვა" შემოგთავაზებთ უახლეს და ამომწურავ ინფორმაციას კავკასიისა და ტერორიზმის შესახებ.

რუბრიკა "ძებნილები" მოიცავს ძებნილთა ფოტოებსა და ბიოგრაფიულ მონაცემებს, რაც პირველ რიგში მუშაობას ჟურნალისტებს გაუადვილებს. იმედია, რომ ეს გვერდი თანდათან შემცირდება და ბოლოს გაქრება, როცა ყველა ძებნილს დავაკავებთ.

საიტზე ნახავთ ფოტოებსა და უშიშროების მინისტრების ბიოგრაფიებს.

ასევე მიიღებთ ამომწურავ ინფორმაციას უშიშროების აკადემიის შესახებ."

ვებ-გვერდზე მოყვანილია სამი ძირითადი პრიორიტეტი, რომლის წინააღმდეგ უშიშროების სამინისტრო ახორციელებს თავის საქმიანობას. პირველ რიგში აქ არის ტერორიზმთან და ექსტრემიზმთან ბრძოლა. ეკონომიკური უშიშროების უზრუნველყოფა – მეორე პრიორიტეტი, სახელმწიფო საიდუმლოების დაცვა და ა.შ.

მოცემულია თვითონ სამინისტროს სტრუქტურა და რაც ჟურნალისტებისთვის ყველაზე მთავარია რუბრიკა "პრეს-ოთახი". აქ მოცემულია უახლესი ოფიციალური ინფორმაცია, ბოლო ორი წლის პრესრელიზები.

ვებ-გვერდზე ნახავთ იმ საკანონმდებლო ბაზას, რომლითაც უშიშროების სამინისტრო ხელმძღვანელობს და იურიდიული ხასიათის სტატიებს. მათ შორისაა ვალერი ხაბურძანიას სტატიებიც.

ძალიან მნიშვნელოვანია რუბრიკა "არქივი", სადაც გამოქვეყნებულია აქამდე საიდუმლო დოკუმენტები, სამეულის განაჩენები.

ერთი სიტყვით, უშიშროების სამინისტრომ დროს გაუსწრო და თუ ამაში ეჭვი გეპარებათ, ესტუმრეთ მას ინტერნეტში.

**24 საათი**

## ახალი კანონი ცივი იარაღის ტარებას კრძალავს

პირველი გვერდიდან

შეგახსენებთ, რომ დღემდე აღნიშნულ საქმიანობაზე ლიცენზიის გაცემის ერთიანი სისტემა არ არსებობდა. მართალია, აქამდე, იარაღის ექსპორტზე, იმპორტზე ტრანზიტზე, წარმოებასა და ვაჭრობაზე ლიცენზიას შინაგან საქმეთა სამინისტრო გასცემდა, კანონმდებლობით მოწესრიგებული სისტემა მაინც არ არსებობდა.

1994 წელს მიღებულ და გუშინდლამდე მოქმედ კანონში ცვლილებები ბევრჯერ შევიდა, თუმცა აქამდე უცვლელი იყო ცივი, გაზის, ელექტროშოკური, პნევმატური იარაღის ლეგალურ ბრუნვასთან დაკავშირებული საკითხები.

ძალაში შესული ახალი კანონის თანახმად, ამიერიდან, შინაგან საქმეთა სამინისტრო ლიცენზიას გასცემს მხოლოდ ფიზიკური პირებისთვის იარაღის შეძენასა და შენახვაზე.

კანონი ითვალისწინებს კოლექციონერობასა და ექსპონირების სამართლებრივ მოწესრიგებასაც.

იარაღის მესაკუთრეს უფლება აქვს ფლობდეს და განკარგავდეს იარაღსა და საბრძოლო მასალას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, იარაღის ტარების შეზღუდვის გათვალისწინებით. ახალი კანონის მიხედვით, იარაღის მესაკუთრე, ვალდებულია რეგისტრაციაში გაატაროს მის საკუთრებაში არსებული იარაღი, რეგისტრაციაში უნდა გატარდეს მემკვიდრეობით მიღებული იარაღიც. იარაღის მესაკუთრის მოვალეობაა, დაიცვას იარაღის ბრუნვის წესები, უზრუნველყოს იარაღისა და საბრძოლო მასალის დაცვა, იარაღის დაკარგვის შემთხვევაში კი დაუყოვნებლივ აცნობოს შინაგან საქმეთა ორგანოებს.

## სამეგრელოში თავს დაესხნენ ბიზნესმენს

გუშინ, გამთენიისას წალენჯიხაში თავდასხმა მოხდა. თავდამსხმელებმა მოკლეს საბერძნეთის მოქალაქე ალექსანდრე შარტავა, რომელიც აფხაზეთიდან დევნილი იყო.

არსებული მონაცემებით, ალექსანდრე შარტავას წალენჯიხის სიახლოვეს გზაზე ჩასაფრებულმა ნიღბიანმა პირებმა "აკს"-ის სისტემის იარაღიდან ცეცხლი გაუხსნეს. ბიზნესმენი, რომელიც სამეგრელოში ხე-ტყის ბიზნესით იყო დაკავებული, მანქანაში ჩაცხრილეს.

არსებული ინფორმაციით, ალექსანდრე შარტავას ზუგდიდში ჰქონდა სახერხი საამქრო და წალენჯიხიდან ხე-ტყის მასალა გაჰქონდა. მკვლელობის მომენტში იგი თავისი კუთვნილი "მერსედესით" სატვირთო მანქანას, რომელიც ხე-ტყით იყო დატვირთული წინ მიუძღოდა. თავდამსხმელებმა შარტავას "მერსედესი" გაიტაცეს. სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციაში შარტავაზე განხორციელებული თავდასხმის შესახებ სხვა ინფორმაციას არ იძლევიან.

**24 საათი**

## ანტიმონოპოლიური სამსახური მთავრობისგან თავის დაღწევას ცდილობს

სოფიკო ოხანაშვილი

**"კანონპროექტი მიზნად ისახავს ანტიმონოპოლიური სამსახურის სტრუქტურულ და ფუნქციონალურ სრულყოფას, დამოუკიდებელ ერთეულად ჩამოყალიბებასა და აღმასრულებელი ხელისუფლების გავლენისგან თავის დაღწევას"**, - ასე განსაზღვრა "მონოპოლიური საქმიანობის და კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონში "ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ" კანონპროექტის ძირითადი მიზნები ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსმა არმაზ თავაძემ, გუშინ, სასტუმრო "თორში აღნიშნული კანონპროექტის პრეზენტაციაზე. სამართლის დოქტორისა და კონრად ადენაუერის ფონდის კავკასიაში რეგიონული წარმომადგენლის, ლევან იზორიას განმარტებით, ანტიმონოპოლიური სამსახურის ფუნქციური გაძლიერება და ინსტიტუციონალური დამოუკიდებლობა, რასაც კანონპროექტი ითვალისწინებს, ხელს შეუწყობს კლანური ეკონომიკის, მონოპოლიისა და არაკეთილსინდისიერი კონკურენციის წინააღმდეგ ბრძოლას და ამასთანავე, ჯანსაღი სოციალური გარემოსა და საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბებას.

თავაძის განცხადებით, არსებული კანონმდებლობა ანტიმონოპოლიურ სამსახურს მთელ რიგ საკითხებში ზღუდავს. მისივე თქმით, სერიოზულ დაბრკოლებას წარმოადგენს ის გარემოებაც, რომ ანტიმონოპოლიური სამსახური ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს დაქვემდებარებაში იმყოფება და მის წინაშეა ანგარიშვალდებული. **"ისეთი ბუნებრივი მონოპოლიების სფეროში, როგორიც არის ენერგეტიკა და რკინიგზა, გადაწყვეტილებების მიღებასა და ქმედებებში ხშირად ჩვენ ხელფეხშეკრულები ვართ, იმიტომ, რომ აღმასრულებელ ხელისუფლებას ვექვემდებარებით"**, - განაცხადა თავაძემ. კანონპროექტის თანახმად, ანტიმონოპოლიური სამსახური დარეგისტრირდება, როგორც დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი და ანგარიშვალდებული მხოლოდ პრეზიდენტის წინაშე იქნება.

კანონპროექტი მოწვეულმა ექსპერტებმაც და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებმაც დადებითად შეაფასეს.

პროექტი "Tacis"-ის დაფინანსებით და კონრად ადენაუერის ფონდის მხარდაჭერით მომზადდა. იგი "Tacis"-მა საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან მიახლოების პროგრამის ფარგლებში დააფინანსა. ეს პროგრამა 13 სფეროში ხორციელდება და მისი საერთო ღირებულება 1,3 მილიონი ევროა. ერთ-ერთი სფერო სწორედ ჯანსაღი კონკურენციის ხელშეწყობას გულისხმობს.

"მონოპოლიური საქმიანობის და კონკურენციის შესახებ კანონში" ცვლილებების და დამატებების შეტანის შესახებ კანონპროექტის მთავრობის სხდომაზე განხილვა მიმდინარე თვეში იგეგმება.

## მიწის რეგისტრაციის კომპონენტი უკვე მთელ საქართველოში მუშაობს

ნინო ნარჩემაშვილი

უძრავი ქონების გასახელმწიფოებრიობის პროცესი საკმაოდ ხანგრძლივ დროსა და სოლიდურ თანხებს მოითხოვს. ქართულმა მიწის რეფორმამ, რომლისათვის საკანონმდებლო ბაზა საქართველოში ჯერ კიდევ 1992-2000 წლებში ჩამოყალიბდა, სრულად ვერ მოიტანა ის დადებითი შედეგები, რაც მიწის ბაზრის ჩამოყალიბებას უნდა ახლდეს. ამჯერად საქართველოს რეგიონებში სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაცია მიწის კადასტრისა და რეგისტრაციის სამუშაოებს აწარმოებს. მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტში მსოფლიო ბანკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის (IFAD) დაფინანსებით ხორციელდება "მიწის რეგისტრაციის კომპონენტი". პროექტის ხელმძღვანელის ივერი მელაშვილის განცხადებით, ადამიანები, რომელთაც საკუთრებაში მიწა და სხვა უძრავი ქონება გადაეცათ, ერთგვარ ინფორმაციულ ვაკუუმში აღმოჩნდნენ. უმრავლესობამ არ იცის თავისი უფლებები, შესაძლებლობები, გარანტიები, სად და როგორ შეიძლება ქონებაზე საკუთრების უფლების აღიარება და უზრუნველყოფა. მისი ინფორმაციით, მიწის რეგისტრაციის კომპონენტი, თავდაპირველად, მხოლოდ მცხეთისა და გარდაბნის რაიონებში ახორციელებდა მიწის თანამედროვე რეესტრისათვის აუცილებელ საქმიანობას, სადაც კერძო მფლობელობაში მიწის 180 ათასი ნაკვეთია გადაცემული. მოქმედების არეალი



*მიწის კერძო საკუთრებაში მიღებას საქართველოში ჯერ კიდევ ბევრი გლეხი ელოდება.*

კი ორი ათას კვადრატულ კილომეტრს შეადგენს. ივერი მელაშვილი აღნიშნავს, რომ თანხების დაზოგვის შედეგად დღეისათვის შესაძლებელი გახდა პროექტის ამოქმედება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. განსაკუთრებული ყურადღება კი მთიან რეგიონებს ექცევა, სადაც მსგავსი სამუშაოები ჯერ არ ჩატარებულა. მისივე განცხადებით,

**"მიწების რეგისტრაციის სამუშაოები საკმაოდ ძვირი ჯდება და დონორების გარეშე მისი განხორციელება შეუძლებელი იქნებოდა. აღნიშნულ პროექტში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ექვსი დონორი ორგანიზაციაა ჩართული. მსოფლიო ბანკისა და IFAD-ის მიერ ექვსი მილიონი აშშ დოლარია გამოყოფილი, საიდანაც ნახევარი მილიონი დოლარი საქართველოს თანადაფინანსების წილს შეადგენს. დღეისათვის, დაახლოებით, ოთხი მილიონი დოლარია დახარჯული."**

რა წარმოადგენს მიწის რეგისტრაციის მიზანს? რატომ არის იგი აუცილებელი უძრავი ქონების მფლობელისათვის? მიწის მართვის დეპარტამენტის უცხოელი კონსულტანტი დონინგ დენიელსონი განმარტავს, რომ აღნიშნული პროცესების განხორციელებამ უნდა უზრუნველყოს უძრავ ქონებაზე უფლებათა შეძენის, გამოყენებისა და განკარგვის უსაფრთხოება. იგი გამოიყენება უძრავი ქონების გადასახადით დაბეგვრისას და ქონების ანაზღაურების საშუალებად გამოყენების (კრედიტის მისაღებად, დასაგირავებლად, იპოთეკისათვის) შესაძლებლობას იძლევა, აგრეთვე, ამცირებს მოსახლეობას შორის კონფლიქტებს და დავებს, რასაც აქამდე ჰქონდა ადგილი. დენიელსონის თქმით, მიწის რეფორმა ეკონომიკური რეფორმის ძირითად კომპონენტს წარმოადგენს და მასში, გარდა ეკონომიკურისა, სოციალური, პოლიტიკური, ეთიკური, გეოპოლიტიკური და სხვა საკითხებიც აისახება; ამიტომ ქვეყნის განვითარებისათვის მას დიდი მნიშვნელობა აქვს.

## ევროპის საბჭო პატიმრების შემცირებას ითხოვს

თამარ კაციტაძე

*მას შემდეგ, რაც ევროპის საბჭოს რეკომენდაციით, პენიტენციალური სისტემა შინაგან საქმეთა სამინისტროდან იუსტიციის სამინისტროს გადაეცა, ევროსაბჭოს ექსპერტებმა ტრადიციად დააწესეს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლებისთვის სემინარების ჩატარება, რომლის მიზანია საქართველოს პენიტენციალური სისტემის რეფორმა და განვითარების პერსპექტივების განხილვა.*

გუშინ იუსტიციის სამინისტროში ევროსაბჭოს და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ ორგანიზებული კიდევ ერთი ტრადიციული სემინარი დაიწყო - თემაზე: "ღია ტიპის სასჯელაღსრულების დაწესებულებები, ალტერნატიული სანქციები და მათი გამოყენება". სემინარი ოთხი დღე გაგრძელდება. ამ ხნის განმავლობაში ქართველ სპეციალისტებს ლექციებს წაუკითხავენ ევროსაბჭოს ექსპერტები: ანა კატრეინა გრონჰოლმი (ფინეთი), მაქს მორისონი ( დიდი ბრიტანეთი), იუსტუს შმიდტი (გერმანია), კლაუს ტორნოე (დანიის სამეფო).

**"იუსტიციის სამინისტროს პენიტენციალური სისტემა გაძარცული ჩაბარდა. ჩვენ პატიმართა მდგომარეობის გაუმჯობესების და, საერთოდ, სისტემის რეფორმის შესახებ კონცეფცია შევიმუშავეთ. მიუხედავად იმისა, რომ ბიუჯეტიდან სისტემა მინიმალურადაც არ ფინანსდება, სამინისტროს სპეცხარჯების მეშვეობით გარკვეული წარმატებები უკვე გვაქვს. დღეისათვის აშენებულია არასრულწლოვანთა და ქალთა დაწესებულებები. მშენებლობები მომავალშიც გაგრძელდება. დღევანდელი პენიტენციალური სისტემის პრობლემაა ისიც, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებები პატიმრებით არის გადატვირთული. ამის გამო კი, მათი პირობები კიდევ უფრო დამძიმებულია. მიუხედავად ამისა, მომავალში ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ პატიმართა მდგომარეობა გაუმჯობესდეს. აქედან გამომდინარე, დარწმუნებული ვართ, რომ თქვენი ლექციები ნაყოფიერი იქნება,"** – აღნიშნა სემინარის გახსნისას საქართველოს იუსტიციის მინისტრმა როლანდ გილიგაშვილმა.

ვიდრე უცხოელი ექსპერტები თეორიულ სწავლებაზე გადავიდოდნენ და სემინარის მონაწილეებს აუხსნიდნენ, თუ რამდენად აუცილებელია პენიტენციალური სისტემის პატიმრებისგან განტვირთვა და სასჯელის მოხდის ალტერნატიული სანქციების დაწესება (რაზეც ამჟამად ევროსაბჭო მუშაობს), სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავჯდომარემ გიგლა აგულაშვილმა უცხოელ ექსპერტებს ქართულ პენიტენციალურ სისტემაში არსებული მდგომარეობის ანალიზი გააცნო.

**"რამდენიმე თვის წინ სულ სხვა წარმოდგენა მქონდა პენიტენციალურ სისტემაზე. დღეს იგი სულ სხვა თვალით დავინახე და მინდა საზოგადოებას და ხელისუფლებას სისტემაში არსებული პრობლემები ყოველგვარი შელამაზების გარეშე დავანახო. სისტემის ერთი სამინისტროდან მეორესთვის გადაცემა სულაც არ ნიშნავს რეფორმის დასრულებას. რეფორმა გრძელდება და მას სრული მხარდაჭერა სჭირდება,"** – აღნიშნა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ახალმა თავმჯდომარემ, რომელიც ევროსაბჭოს წარმომადგენლებს თითქმის ერთი საათის განმავლობაში ესაუბრებოდა იმ პრობლემებზე, რაც ქართველ პატიმრებს და თვითონ სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომლებს აქვთ და რომელთა მოუგვარებლობაც სისტემის ნგრევას იწვევს.

რამდენად გადაარჩენს თითქმის ნგრევის პირას მისულ ქართულ პენიტენციალურ სისტემას ევროსაბჭოს წარმომადგენელთა ლექციები ღია ტიპის სასჯელაღსრულების დაწესებულებების და ალტერნატიული სანქციების შესახებ, ძნელი სათქმელია. თუმცა სწავლა მაინც გვმართებს, რადგან საქართველომ, უკვე ოთხი წელია, რაც ევროპის საბჭოს ვალდებულებები იკისრა.

საზოგადოება

## გადასახადები მოიხსნა, საექიმო საქმიანობა თავისუფლდება

ზაზა ფაჩუაშვილი

*შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში, როგორც იქ ითქვა, ისტორიული დღე აღინიშნა. ორშაბათს გვიან საღამოს საქართველოს პრეზიდენტმა ხელი მოაწერა პარლამენტში 6 ივნისს მიღებულ კანონპროექტს, რომელიც სამედიცინო დაწესებულებებს გადასახადებისაგან ათავისუფლებს.*

2004 წლიდან სამედიცინო დაწესებულებები აღარ გადაიხდიან შემდეგ გადასახადებს: **სამეწარმეო, მოგების, საგზაო, ქონების და მიწის გადასახადებს** (დღგ ადრე მოიხსნა).

ამასთან დაკავშირებით, სამინისტროში სახელდახელოდ შეიკრიბნენ დარგის წამყვანი სპეციალისტები, სამედიცინო დაწესებულებების ხელმძღვანელები და, რაღა თქმა უნდა, კანონპროექტის ინიციატორები. კერძო ინიციატორებს შორის ამ მხრივ ყველაზე დიდი დამსახურება აქვს უროლოგიის ინსტიტუტის ყოფილი დირექტორს, ამჟამად პარლამენტის ჯანდაცვის ქვეკომიტეტის წევრს,


ზაზა ფაჩუაშვილის ფოტო

*ლაური მანაგაძე და ამირან გამყრელიძე: ეს ისტორიული დღეა*

პროფესორ ლაური მანაგაძეს (ამ საკითხზე მისი ინტერვიუ "24 საათში" უკვე დაიბეჭდა).

ჯანდაცვის მინისტრის ამირან გამყრელიძის განცხადებით, აღნიშნული შეღავათების შედეგად ჯანდაცვის სისტემაში დარჩება 6-7 მილიონი ლარი. მრავალი პრობლემა მოეხსნება თავად სამედიცინო დაწესებულებებს, სადაც გაჩნდება კომუნალური და სამეურნეო საკითხების დამოუკიდებლად მოგვარების საშუალება.

მოგების გადასახადი კი მოეხსნება მხოლოდ იმ დაწესებულებებს, რომელთა ხელმძღვანელობა განაცხადებს, რომ მოგებას რეინვესტირებისაკენ მიმართავს, ანუ ისევ დაწესებულებას მოახმარს.

თუ მოგება განაწილდება დამფუძნებლებს შორის, იგი ჩვეულებრივად დაიბეგრება.

ლაური მანაგაძემ კიდევ ერთხელ ისაუბრა აღნიშნული კანონპროექტის მნიშვნელობაზე და ყურადღება გაამახვილა პაციენტთან დაკავშირებულ ერთ ფაქიზ პრობლემაზე. აღნიშნული საგადასახადო შეღავათები მკურნალობის ფასებს ისე არ გააიაფებს, რომ ეს კონკრეტული პაციენტის ჯიბისთვის საგრძნობი იყოს.

თუმცა, გარკვეული ნაბიჯები ამ მიმართულებითაც გადაიდგმება. სხივური და ინტერვენციული დიაგნოსტიკის ს/კ ინსტიტუტის ხელმძღვანელის პროფესორ ფრიდონ თოდუას განცხადებით, საგადასახადო შეღავათები ინსტიტუტს საშუალებას მისცემს მოემსახუროს უფრო მეტ უმწეო ადამიანებს.

ეროვნული სამედიცინო ცენტრის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ პროფესორმა მარინა ლუდუშაურმა დიდი მნიშვნელობა მიანიჭა იმას, რომ აღნიშნული შეღავათების შედეგად მისადმი რწმუნებულ კლინიკაში ყოველწლიურად 300 ათასი ლარი დაიზოგება.

პროფესორმა დავით ტატიშვილმა კი მადლობა გადაიხადა იმისათვის, რომ არ მოხდა კლინიკების გარჩევა უწყებრივი დაქვემდებარების მიხედვით და შეღავათებით ყველა თანაბრად ისარგებლებს.

მთავარი კი მაინც ისაა, რომ კლინიკებს განვითარების საშუალება ეძლევათ, რამაც, წესით, სამედიცინო მომსახურების ხარისხი უნდა გაზარდოს.

## პენსიონერებისთვის ახლა თებერვალია

*სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის დაფინანსება ოთხთვიანი ჩამორჩენით მიმდინარეობს. გარღვევა ფონდის საკუთარ შემოსავლებში 10 მილიონი ლარია, ადგილობრივი ბიუჯეტებიდან მისაღებია 3 მილიონი ლარი, ყველაზე დიდი დანაკლისის "ავტორი" კი ისევ ცენტრალური ბიუჯეტია – სატრანსფერო დავალიანებამ 17 მილიონი ლარი შეადგინა. შედეგად, საქართველოში ჯერ ისევ თებერვლის პენსიები რიგდება. ფონდში აცხადებენ, რომ სიტუაცია სექტემბრისთვის გამოსწორდება. ამ გარღვევის დასაფარავად, სავარაუდოდ, ბიუჯეტი დამატებით თანხებს გამოყოფს.*

მაკა ჭაიანი

რაც შეეხება წინა წლების დავალიანებას, მისი დაფარვის შესახებ ჯერ მხოლოდ საუბრობენ. ფინანსთა სამინისტროს მზად აქვს კანონპროექტი, რომელსაც, სავალუტო ფონდის მოთხოვნით, პარლამენტის საგანგებო სესიაზე განიხილავენ. დავალიანების დაფარვის ერთ-ერთ გზად, როგორც ჩვენ ჯერ კიდევ იანვარში ვწერდით, ფასიანი ქაღალდების გამოშვება განიხილება. სახელმწიფომ გასაცემი თანხა ჯერ შიდა ვალად უნდა აღიაროს, შემდეგ კი, სავარაუდოდ, 2004 წლიდან ობლიგაციების გამოშვებაც დაიწყება. როგორც ამბობენ, მათი დაფარვის ვადა 3- 5 წელი იქნება.

რამდენპროცენტიანი იქნება ეს ობლიგაციები, პარლამენტი ახლო მომავალში დაადგენს. ზაფხულისთვის ქვეყნის უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ, როგორც იქნა, დაამტკიცა საკანონმდებლო პაკეტი, რომლის გარეშეც საპენსიო რეფორმა სერიოზული ეჭვის ქვეშ დგებოდა. მასში შევიდა კანონები "სავალდებულო სოციალური დაზღვევის", "სავალდებულო სადაზღვევო პენსიების შესახებ" და "სავალდებულო სოციალური დაზღვევის სისტემაში ინდივიდუალური (პერსონიფიცირებული) აღრიცხვისა და ინდივიდუალური ანგარიშების შემოღების შესახებ".

პირველი კანონი უზრუნველყოფს სადაზღვევო შესატანების ადმინისტრირებას, განსაზღვრავს სოციალური დაზღვევის ფორმირების მეთოდებსა და წესს, დაზღვეულის, დამზღვევისა და მზღვეველის უფლება-მოვალეობებსა და პასუხისმგებლობებს, სავალდებულო სოციალური დაზღვევის სფეროში ერთმანეთისგან გამიჯნავს სადაზღვევო და სახელმწიფო ვალდებულებებს; მეორე – დაარეგულირებს ასაკის, შესაძლებლობების შეზღუდვისა და მარჩენალის დაკარგვის გამო სავალდებულო სადაზღვევო პენსიების გაანგარიშებასა და დანიშვნას, უკვე პიროვნების დასაქმების პერიოდში შექმნის ხანდაზმულობისა თუ შრომისუუნარობის რისკისგან დაზღვევის გარანტიებს; შემოიტანს სადაზღვევო პენსიის ორ კომპონენტს: ყველასთვის ერთნაირს – საბაზისოსა და სადაზღვევოს, რომელიც დიფერენცირებული იქნება და სადაზღვევო სტაჟის ხანგრძლიობითა და სადაზღვევო შენატანების სიდიდით განისაზღვრება; მესამე კანონი ითვალისწინებს ყველა დაზღვეული პირის (ადამიანის დაბადებისთანავე) პერსონიფიცირებულ აღრიცხვასა და მათზე პირადი სადაზღვევო ბარათების გაცემას.

ფონდის გათვლების მიხედვით, საპენსიო ასაკი, როგორც ქალების, ისე მამაკაცებისთვის 65 წლამდე გაიზრდება, მინიმალური სადაზღვევო სტაჟი 15 წელი იქნება, ბაზისური პენსია – ქვეყანაში წინა წელს არსებული საშუალო ხელფასის 13 პროცენტი. ფასების ინდექსის გათვალისწინებით, დანიშნული პენსიები ყოველწლიურად გადიდდება. საწყისი პერიოდისთვის კი საშუალო პენსიის შეფარდება საშუალო ხელფასთან 30-35 პროცენტს შეადგენს. 2004 წლის 1 იანვრისთვის დაგეგმილი საპენსიო რეფორმის დაწყებისთვის ეს აუცილებელი ტექნიკური ბაზაა.

ორი სიტყვით

**თბილისი.** ხელფასების გაზრდის მოთხოვნით მემანქანეთა გაფიცვის გამო, სამშაბათს ერევნის მეტროში მატარებლების მოძრაობა გაჩერდა. მომიტინგე მემანქანეები ხელფასის ასპროცენტიანი ზრდის მოთხოვნით გამოვიდნენ. მათი ამჟამინდელი ხელფასი 102-155 აშშ დოლარს შეადგენს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "თბილგაზმა" "იტერას" მაისში მიღებული ბუნებრივი აირის საფასური - 888 ათასი აშშ დოლარი ჩაურიცხა, ივნისში მოხმარებული ბუნებრივი აირის საფასურის გადახდა, რაც 708 ათას აშშ დოლარს შეადგენს, "თბილგაზმა" 10 ივლისამდე ივალდებულა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების აღრიცხვის გაუმჯობესების მიზნით, გუშინდელი დღიდან ეროვნულმა ბანკმა შემოსავლების აღრიცხვის ფუნქცია სახაზინო სამსახურს გადასცა. აღარ იარსებებს ეროვნული ბანკის ე.წ. ფორმა ნომერი - 412 და სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები სახელმწიფო ხაზინის ერთ ანგარიშზე დაგროვდება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** "ენგურჰესის" საჩივარს, რომლითაც იგი ელექტროენერგიის შემცირებული ტარიფის გაზრდას მოითხოვს, თბილისის საოლქო სასამართლო 4 ივლისს განიხილავს. როგორც "ენგურჰესის" რეაბილიტაციის პროექტის დირექტორმა ირაკლი სულაბერიძემ განაცხადა, საოლქო სასამართლოში უკვე შეტანილია სრული მასალა, რომელიც საჩივრის მოტივაციას უზრუნველყოფს, მათ შორის - საექსპერტო დასკვნა, რომელიც იუსტიციის სამინისტრომ გასულ კვირას მოამზადა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** სააქციო საზოგადოება "ფეროს" პირდაპირი მიყიდვის წესით პრივატიზების შესახებ ბრძანებულებას საქართველოს პრეზიდენტმა ხელი მოაწერა. ავსტრიული კომპანიის "DSM"-ის შვილობილი კომპანია - "DK Ferro" AG 7,1 მლნ დოლარს ამ კვირაში გადაიხდის. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ბათუმში საქმიანი ვიზიტით იმყოფებიან გერმანული კონცერნის "ტისენ კრუპის" წარმომადგენლები. კონცერნი აჭარაში რამდენიმე ერთობლივი პროგრამის განხორციელებითაა დაინტერესებული. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისში უახლოეს მომავალში ამიერკავკასიაში ერთადერთი, ერთობლივი გერმანულ-ქართული "ქალაქგანათების" საწარმო ამოქმედდება, რომელიც ეკონომიური ნათურების წარმოებას დაიწყებს. საწარმოს შექმნის შესახებ მოლაპარაკებები გერმანულ მხარესთან უკვე შედგა. გარეგანათების ნათურების მწარმოებელი გერმანული ქარხნის "შვებერის" წარმომადგენლები უახლოეს მომავალში ქართულ მხარესთან ხელშეკრულებას გააფორმებენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** 1998 წლიდან დღემდე, სახელმწიფოს, იმერეთში მცხოვრები პენსიონერების 30 მილიონი ლარის ვალი აქვს. იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციამ მათი "გაყინული პენსიების" გასტუმრების ახალი მეთოდი მოძებნა. აგვისტოში იმერეთის პენსიონერებს ბალნეოლოგიურ კურორტებზე დაასვენებენ. სამხარეო ადმინისტრაციის მიერ მომზადებული პროექტით, შეირჩა კურორტები: სულორი, ნუნისი და საირმე. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ფინანსთა სამინისტროს განცხადებით, "ჯო ენის სახელობის სამედიცინო ცენტრს" დავალიანებას ეტაპობრივად გაუსტუმრებენ. რამდენიმე დღეში ორი კვირის კუთვნილი თანხის, 130 ათასი ლარის გადარიცხვა დაიწყება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ცხრა ფაკულტეტის წარჩინებული 225 სტუდენტი ევროპის რამდენიმე ქვეყანაში გაივლის სტაჟირებას. გზის ხარჯებს სტუდენტები გაიღებენ, დანარჩენს კი იმ სამედიცინო დაწესებულებების ხელმძღვანელობა დაფარავს, რომლებმაც ქართველი სტუდენტები მიიწვია. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** მომავალი წლის სახელმწიფო ბიუჯეტში მეცნიერების სფეროს დაფინანსება პრიორიტეტული იქნება. ფინანსთა სამინისტროში უკვე მუშავდება ამ დარგის რეფორმის ხელშემწყობი საკანონმდებლო აქტების პროექტები. 2004 წლიდან განხორციელდება სტრუქტურული რეფორმები, რაც სამეცნიერო დაწესებულებების თანამშრომლების შემცირებას, მათ ატესტაცია-აკრედიტაციასა და დარგობრივ სამეცნიერო დაწესებულებებში მომუშავე მეცნიერების ხელფასის 2.5-ჯერ გაზრდას ითვალისწინებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** აფხაზეთიდან დევნილ მოსახლეობას მაისის ფულადი შემწეობა ჯერ კიდევ არ მიუღია. როგორც ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში აცხადებენ, სამინისტრომ 260 ათას დევნილზე გათვალისწინებული მაისის ფულადი შემწეობის თანხა 3 ივნისს "საქართველოს საფოსტო ბანკისა" და "აფხაზეთის საფოსტო ბანკის" ფილიალის ანგარიშზე გადარიცხა, თუმცა, დევნილებზე ეს შემწეობები ჯერ კიდევ არ გაცემულა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გლდანი-ნაძალადევის რაიონში დობროლიუბოვის ქუჩაზე აღდგენითი სამუშაოები მიმდინარეობს. ამ ქუჩიდან ჩამოსული სანიაღვრე წყლები დიდი ხნის განმავლობაში აზიანებდა ლოტკინის დასახლებას. ქუჩის სარეაბილიტაციოდ საჭირო 270 ათას ლარს მერია გაიღებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარი სადამსჯელო ღონისძიებებს აგრძელებს. ამჯერად, დასასჯელთა სიაში აღმოჩნდნენ თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსების საწარმო და გარე განათების სამსახური. ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარში აცხადებენ, რომ თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსების საწარმოს ძველი და ახალი დავალიანება ერთად 83 ათას ლარს შეადგენს. **ინტერ-პრესი**

მოკლედ

### სომხეთი - "დემოკრატიული ოაზისი სამხრეთ კავკასიაში"

"ჩვენ ოთხ წელიწადში ევროკავშირში გასაწევრიანებლად ყველა საფუძველს შევქმნით", - განაცხადა სომხეთის მმართველი პარტიის ფრაქციის ხელმძღვანელმა გალუსტ საჰაკიანმა. მისი მტკიცებით, სომხეთი გასაწევრიანებლად აუცილებელი მკაცრი პოლიტიკური და ეკონომიკური მოთხოვნების დაკმაყოფილებას შეძლებს, რადგან ის "სამხრეთ კავკასიაში დემოკრატიული ოაზისია". მააშ!

საჰაკიანმა თავისი ჰიპეროპტიმისტური პროგნოზები ერევანში სომხეთისა და ევროკავშირის მომავალი ურთიერთობების თაობაზე გამართულ მრგვალ მაგიდაზე დამსწრე საზოგადოებას გააცნო და უწყინარი ბაქი-ბუქის მოყვარული სომხებიც კი გააკვირვა. მათ უმრავლესობას პოლიტიკოსები და ჟურნალისტები წარმოადგენდნენ.

ოპოზიციური პარტიის ერთ-ერთ წევრს გულმა ველარ გაუძლო და საჰაკიანს ახლახან ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ სომეხი კანონმდებლებისათვის სესიებზე დასწრების აკრძალვა შეახსენა. "რეალურად, ეს იმას ნიშნავს, რომ ევროპის საბჭო ეროვნული ასამბლეის არჩევნებს არ ცნობს", - განაცხადა ოპოზიციური ეროვნული ერთიანობის პარტიის დეპუტატმა ჰმაიაკ ჰოვანისიანმა.

ამ წელს ჩატარებული საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების დროს მომხდარი დარღვევებისა და გაყალბების გამო, დასავლეთის მთავრობებმა და საერთაშორისო ორგანიზაციებმა სომხეთის ხელისუფლება ძალიან მკაცრად გააკრიტიკეს. გასულ პარასკევს კი სწორედ ევროკავშირის პრეზიდენტმა ქვეყანამ - საბერძნეთმა, სომხეთის საპარლამენტო არჩევნების დროს მომხდარი გაყალბების გამო, თავისი შეშფოთება საჯაროდ გამოთქვა.

დასავლეთის კრიტიკამ სომხეთის ხელისუფლების გაცხადებული მიზანი -ევროპულ სტრუქტურებში დაჩქარებული ტემპით გაწევრიანება ეჭვქვეშ დააყენა. თუმცა, საჰაკიანმა ყველა ეჭვი და დაბრკოლება საკუთარი არგუმენტებით "გააცამტვერა". "ევროპის საბჭო პოლიტბიურო არ არის, რომ ყველა მნიშვნელოვან საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილება მიიღოს", - დაამშვიდა ევროკავშირში გაწევრიანების მოსურნე თანამემამულეები საჰაკიანმა.

### "ზესწრაფი" თვითმფრინავი

პენტაგონის კვლევისა და განვითარების სააგენტომ "დარპამ" გამოაქვეყნა ახალი ტიპის თვითმფრინავის შექმნის გეგმა. ზესწრაფ თვითმფრინავს უნდა შეეძლოს აშშ-ს ტერიტორიიდან ორი საათის განმავლობაში მსოფლიოს ნებისმიერ წერტილს დაარტყას. უპილოტო თვითმფრინავის სისწრაფე 6-8 ათასი კილომეტრ/საათი იქნება და მას 5-6 ტონა საბრძოლო მასალის (ბომბები და რაკეტები) გადატანა შეეძლება.

ახლახან პენტაგონში შედგა შეხვედრა იმ კომპანიებთან, რომლებიც, შეიძლება, ამ პროექტით დაინტერესდნენ. მკვლევარების განცხადებით, ასეთი თვითმფრინავის შექმნის შემდეგ, ამერიკას საზღვარგარეთ განთავსებული აეროდრომები და სამხედრო-საჰაერო ოპერაციების განსახორციელებლად უცხო სახელმწიფოების თანხმობა ნაკლებად დასჭირდება.

### დაეხმარება თუ რა აშშ ლიბერიელებს?

სამშაბათს აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა კოლინ პაუელმა განაცხადა, რომ თეთრმა სახლმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება იმის თაობაზე, შეუერთდება თუ არა საერთაშორისო სამშვიდობო ძალებს ლიბერიაში. პაუელმა ლიბერიაში არსებული უმძიმესი ვითარება გაერო-ს გენერალურ მდივანთან, კოფი ანანთან შეხვედრის დროს განიხილა. ამ საკითხს გაერო-ს უშიშროების საბჭომ საგანგებო სხდომაც მიუძღვნა, სადაც გენერალურმა მდივანმა ლიბერიაში საერთაშორისო ცისფერჩაფხუტიანების გაგზავნის იდეა წამოაყენა. სამშვიდობო ძალებმა მთავრობასა და ამბოხებულებს შორის შეთანხმების მიღწევას უნდა დაუდონ საფუძველი. კოფი ანანმა განაცხადა, რომ ლიბერიაში არსებული ტრაგიკული ვითარება სასწრაფო ზომების მიღებას საჭიროებს და ამ საქმეში იმედს, ძირითადად, აშშ-ზე ამყარებენ, რომელსაც აღნიშნულ ვითარებაში უმთავრესი როლის შესრულება შეუძლია.

ჯერ კიდევ შაბათს, ლიბერიის დედაქალაქში მოსახლეობამ ცეცხლის დროებითი შეწყვეტით ისარგებლა, და აშშ-ს საელჩოსთან მშვიდობიანი დემონსტრაცია გამართა. ლიბერიელები საშველად აშშ-ს უხმობენ.

# ორივე ალიევი პრეზიდენტობის კანდიდატია

პირველი გვერდიდან


ალიევების ოჯახი - პრეზიდენტების სამჭედლო.

"ყველამ იცის, რომ ჰეიდარ ალიევი ხანშიშესული და ასაკის შესაბამისი ჯანმრთელობის მქონე ადამიანია. ყველამ იცის, რომ მის შვილს არაერთხელ განუცხადებია - პრეზიდენტობაზე უარს არ იტყვის, თუკი მამამისი წინააღმდეგი არ იქნება. "უნდა ვივარაუდოთ, რომ ყველა გამოცდილ გუნდს სათადარიგო მოთამაშე უნდა ჰყავდეს," - განუცხადა სააგენტო "ბი-ბი-სის" ბაქოში გამომავალი გაზეთის "ზერკალოს" მიმომხილველმა ქემალ ალიმ.

მიუხედავად იმისა, რომ ასეთი საარჩევნო სვლა, მმართველი პარტიის - "ახალი აზერბაიჯანის" ინტერესებში შედის, დამკვირვებლები არ გამორიცხავენ, რომ ილხამ ალიევმა, შესაძლოა, კენჭი როგორც დამოუკიდებელმა კანდიდატმა იყაროს და ამით, ასე ვთქვათ, "ხალხის ნება" აღასრულოს. თუკი ჰეიდარ ალიევს, ჯანმრთელობა საგრძნობლად გაუუარესდება და ბრძოლის გაგრძელებას ველარ შეძლებს, საპრეზიდენტო მარათონის დროშას "ოჯახის" მეორე ფავორიტი – შვილი ალიევი აღმართავს და, შესაბამისად, მამისათვის განკუთვნილი ელექტორატის ხმები, პარტიის ძალმოსილება და ფინანსები ილხამის ანგარიშზე დაჯდება. ასეთ შემთხვევაში კი, აზერბაიჯანს იგივე გვარის მქონე ახალი პრეზიდენტი ეყოლება.

"მე ვფიქრობ, რომ ეს "ახალი აზერბაიჯანის" მხარდამჭერთა მხრიდან ზუსტად გათვლილი და მოფიქრებული ნაბიჯია," - აღნიშნავს ქემალ ალი.

რაც შეეხება ჰეიდარ ალიევის ჯანმრთელობას, ამის გამო უკანასკნელ ხანებში მმართველი "ოჯახი" საგრძნობლად შეშფოთდა. როგორც ცნობილია, პრეზიდენტმა რამდენჯერმე დაკარგა გონება და სასწრაფოდ თურქეთში, სახელმწიფო ლიდერთათვის განკუთვნილ კლინიკაში იქნა გადაყვანილი. წინა თვემდე მისი საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა ეჭვის ქვეშაც კი იდგა, ვიდრე მან თავად არ განაცხადა მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

თუკი რამდენიმე ხნის წინ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ კატეგორიულად უარყო ხმები ილხამის არჩევნებში მონაწილეობის შესახებ, ამჯერად ეს ხმები უკვე დადასტურებულია. აზერბაიჯანის მოსახლეობას არჩევანის გაკეთება ორ ალიევს შორის მოუწევს. თუმცა, ვინ იცის? არჩევნებამდე ჯერ კიდევ სამთვენახევარია დარჩენილი.

# ჰონგ-კონგში ჩინეთის დროშა დაწვეს


ანტისამთავრობო დემონსტრაცია ჰონგ-კონგში.

ნახევარი მილიონი ადამიანი გამოვიდა გუშინ ჰონგ-კონგის ქუჩებში. ისინი პროტესტს გამოთქვამენ ჩინეთის მთავრობის მიერ შემოთავაზებული ახალი კანონის წინააღმდეგ. საპროტესტო დემონსტრაციის ორგანიზატორები აცხადებენ, რომ კანონპროექტი "ძირგამომთხრელი საქმიანობის წინააღმდეგ", რეალურად, სიტყვის თავისუფლებას გამოუთხრის ძირს.

"დაუბრუნეთ ხელისუფლება ხალხს," - ეწერა პლაკატებზე. საშინელი სიცხის მიუხედავად, ასეულ ათასობით ადამიანი შავი ტანსაცმლით გამოვიდა ქუჩებში. მცირე ჯგუფმა ქალაქის მთავარ მოედანზე ჩინეთის დროშაც დაწვა.

1989 წლის შემდეგ, ჰონგ-კონგში ეს ყველაზე ხალხმრავალი საპროტესტო აქციაა. ოპოზიცია აცხადებს, რომ 1997 წელს ჩინეთთან შეერთების შემდეგ ჰონგ-კონგში ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს გარკვეული საფრთხე დაემუქრა. ხალხი უკმაყოფილოა ატიპური პნევმონიით გამოწვეული კრიზისის დროს მთავრობის არაეფექტური მოქმედებითაც.

ხელისუფლება აცხადებს, რომ პროტესტის მიუხედავად, არ შეცვლის კანონს, რომელიც მნიშვნელოვანია ეროვნული უსაფრთხოების თვალსაზრისით. ამავე დროს, მთავრობა ამტკიცებს, რომ კანონის მიღება ჰონგკონგის მოსახლეობის სიტყვის თავისუფლებას არ შეზღუდავს.

# აშშ-მ 50 ქვეყანას სამხედრო დახმარება შეუწყვიტა

1 ივნისს ღამით ამოიწურა ვადა, რომელიც აშშ-მ თავის პარტნიორ ქვეყნებს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსაგან ამერიკელებისათვის იმუნიტეტის მინიჭების მიზნით მისცა.

რამდენიმე ათეულმა ქვეყანამ ვაშინგტონის თხოვნის შესრულებაზე უარი განაცხადა. ამის გამო, 50 მათგანს ამერიკამ სამხედრო დახმარებაზე უარი უთხრა. "შავ სიაში" არ მოხვდა საქართველო, ვინაიდან იგი აშშ-ს პირობაზე თანახმაა.

დღეიდან სამხედრო დახმარება შეუწყდებათ ბალტიის სამივე ქვეყანას, ბულგარეთს, კოლუმბიასა და სხვებს.

საქმე ეხება ამერიკელებსა და "დანარჩენ მსოფლიოს" შორის დიდი ხნის მანძილზე მიმდინარე დავას, რომელიც სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს საქმიანობას უკავშირდება.

რომის ხელშეკრულების თანახმად, ჰააგაში მდებარე სასამართლოს უფლება აქვს, გაასამართლოს ნებისმიერ ქვეყანაში კაცობრიობის წინაშე ჩადენილ დანაშაულში მხილებული ნებისმიერი პირი. დანაშაულის ამ კატეგორიაში ხვდება გენოციდი, სამხედრო დანაშაული და ადამიანის უფლებათა მასობრივი დარღვევა. რომის ქარტიის ინიციატორებს იმედი აქვთ, რომ საერთაშორისო სასამართლო მომავლის ტირანებისათვის დამაშინებელ და შემაკავებელ ფაქტორად იქცევა. ხელშეკრულების ყველაზე აქტიური მხარდამჭერები ევროკავშირის წევრები არიან. თავიდან მას მიუერთდა შეერთებული შტატებიც.

ხელისუფლებაში ბუშის მოსვლის შემდეგ ვაშინგტონის დამოკიდებულება სასამართლოსადმი შეიცვალა. აშშ-ს ადმინისტრაციამ მიიჩნია, რომ მისი მოქალაქეები, შესაძლოა, სასამართლოს მიერ პოლიტიკური დევნის მსხვერპლად ქცეულიყვნენ. რაკი ხელშეკრულება უკვე ძალაში იყო შესული, ვაშინგტონმა მსოფლიოს ქვეყნებისაგან სათითაოდ მოითხოვა მისი მოქალაქეებისათვის იმუნიტეტის მინიჭება.

სასამართლოს დასაცავად "ხმალამოღებული" დადგა ევროკავშირი.

ამერიკისა და ევროპის დავაში აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები "გაიჭყლიტნენ". ვაშინგტონი აცხადებდა, რომ თუ ეს ქვეყნები იმუნიტეტის მინიჭებაზე უარს იტყოდნენ, მაშინ მათ სამხედრო დახმარება შეუწყდებოდათ. ბრიუსელი კი მინიშნებას აკეთებდა, რომ თუ აღმოსავლეთევროპელები ამერიკის მოთხოვნას დაჰყვებოდნენ, მაშინ მათი ევროკავშირში გაწევრიანების პროცესი შეფერხდებოდა.

საბოლოოდ, ზოგიერთმა ქვეყანამ, მათ შორის - ალბანეთმა, რუმინეთმა, ბოსნიამ და სხვებმა ამერიკელების მხარე დაიკავეს. ბალტიისპირეთმა, ბულგარეთმა, სლოვაკიამ და ა.შ. ბრიუსელის გულის მოგება არჩიეს.

სულ დახმარება, როგორც ვთქვით, 50 ქვეყანას შეუწყდა, მათ შორის - ავსტრიას, ბრაზილიას, ხორვატიას, კვიპროსს, სლოვენიას, სერბიას, სამხრეთ აფრიკას, შვედეთს, და შვეიცარიას.

ვაშინგტონმა თავიდანვე განაცხადა, რომ ზოგიერთ ქვეყანას დახმარებას არც ერთ შემთხვევაში არ შეუწყვეტდა, რა პოზიციაც არ უნდა დაეკავებინათ. მათ შორის იყვნენ: ნატო-ს ქვეყნები, ისრაელი, ეგვიპტე, ავღანეთი, მაკედონია, ტაჯიკეთი და სხვ.

# რამსფელდი ერაყში პარტიზანულ ომს არ ადასტურებს

ერაყში კვლავ რთული ვითარებაა. გუშინ საინფორმაციო სააგენტოები, სულ ცოტა, ოცდაათი ადამიანის დაღუპვის შესახებ იუწყებოდნენ. ისინი ქალაქ ხადიტთან მომხდარ უძლიერეს აფეთქებას შეეწირნენ. როგორც ცნობილი გახდა, ქალაქის მახლობლად ტყვია-წამლის და იარაღის საწყობი აფეთქდა. ზოგიერთი წყარო ამ ფაქტს უყურადღებობას უკავშირებს, ზოგიერთი კი, ტერაქტის შესაძლებლობას არ გამორიცხავს.

გარდა ამისა, გუშინ ერაყში დაუმორჩილებელ მებრძოლებსა და ამერიკელ სამხედროებს შორის კიდევ ერთი შეტაკება მოხდა, რის შედეგადაც, სულ ცოტა, სამი ამერიკელი და მათი ერაყელი თარჯიმანი დაიღუპა. ამის შესახებ არაბული ტელეკომპანია "ალ-ჯაზირა" იუწყება.

ყატარის ტელეკომპანიის თქმით, თავმდამსხმელები ნაღმტყორცნებით აღჭურვილები იყვნენ. "ალ-ჯაზირამ" პირდაპირ ეთერში აჩვენა ბრძოლის ადგილი და შეტაკების შედეგად აფეთქებული ამერიკული სამხედრო მანქანები. რაც შეეხება ამერიკელთა სამხედრო სარდლობას ერაყში, მათ ეს ინფორმაცია, ჯერჯერობით, არ დაუდასტურებიათ.

მანამდე, სააგენტო "ფრანს პრესი" იუწყებოდა, რომ ბაღდადიდან 20 კილომეტრის დაშორებით, ალ-იუსიფის რაიონში, ერაყელმა პარტიზანმა ნაღმტყორცნიდან გასროლით ორი ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე მოკლა.

ამერიკელ და ბრიტანელ სამხედრო მოსამსახურეებზე გახშირებული თავდასხმები კიდევ გაგრძელდება, თუმცა, შესაძლოა, ინტენსივობამ იკლოს. ასეთი დასკვნა გააკეთეს პენტაგონში გამართულ ბრიფინგზე აშშ-ს თავდაცვის მინისტრმა დონალდ რამსფელდმა და აშშ-ს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბების ხელძღვანელმა რიჩარდ მაიერსმა.

რამსფელდი არ დაეთანხმა ჟურნალისტების განცხადებას იმასთან დაკავშირებით, რომ ერაყში "პარტიზანული ომი" მიმდინარეობს. მისი თქმით, ამერიკელ სამხედროებზე თავდასხმებს ტერორისტები ახორციელებენ. რაც შეეხება კონტრლონისძიებებს, რამსფელდმა განაცხადა, რომ ერაყში მყოფი აშშ-ს სამხედრო ძალები ფართომასშტაბიან რეიდებს და ოპერაციებს განახორციელებენ.

როგორც ვიუწყებოდით, კვირას ერაყში აშშ-ს არმიის დანაყოფებმა ფართომასშტაბიანი სამხედრო ოპერაცია დაიწყეს, რის შედეგადაც დღეისათვის ათას სამასზე მეტი ეჭვმიტანილი ერაყელია დაკავებული, ამოღებულია ხუთასამდე ავტომატური შაშხანა, ასობით ხელყუმბარა და ნაღმტყორცნები.

# ბრიტანელებმა საუკუნოვანი ტრადიცია გააუქმეს

## ამიერიდან, მელიებზე ნადირობაზე მხოლოდ ოცნებაა ნებადართული

რევაზ ბახტაძე


ბრიტანელების საყვარელი გასართობი, მელიებზე ნადირობა მალე ისტორიის კუთვნილება გახდება.

ბრიტანეთში მელიებზე ნადირობის საუკუნოვანი ისტორია დასრულდა. გუშინ დიდი ბრიტანეთის სოფლის მეურნეობის მინისტრმა ალან მაიკლმა განაცხადა, რომ 2005 წლიდან ნებისმიერი, ვინც მელიებზე ნადირობას მოინდომებს, სასტიკად დაისჯება.

მინისტრის კომენტარი ცხადყოფს, რომ მთავრობამ ხელი აიღო ნადირობის შესახებ მომზადებულ თავის კომპრომისულ წინადადებაზე მას შემდეგ, რაც ორშაბათს, გვიან ღამით, პარლამენტის ქვედა პალატაში ცხარე დებატები გაიმართა. კენჭისყრაზე ხმათა დიდი უმრავლესობით ბრიტანელმა დეპუტატებმა მრავალ ბრიტანელს საყვარელი გასართობი აუკრძალეს.

პრემიერ-მინისტრ ტონი ბლერის წარმომადგენელმა უფრო ადრე პასუხი არ გასცა შეკითხვას - თავად პრემიერი დაუჭერს მხარს ამ კანონის მიღებას, თუ - არა.

მისი თქმით, მთავრობას ყოველთვის კონსენსუსის მიღწევა სურს. "კანონმა ხალხის სურვილი უნდა ასახოს. ჩვენ საბოლოო გადაწყვეტილება თანდათანობით უნდა მივიღოთ", - აღნიშნა მან.

მან, აგრეთვე, პასუხი არ გასცა შეკითხვას - შეეცდება თუ არა პრემიერი ლორდთა პალატაში კენჭისყრის მეშვეობით კანონის შეჩერებას.

აღნიშნული კანონის მიღებას სასტიკად ეწინააღმდეგებოდა ლორდთა პალატა. ლეიბორისტებმა მელიებზე ნადირობის აკრძალვის იდეა ხელისუფლებაში მოსვლისთანავე - 1997 წელს წამოაყენეს.

მელიებზე ნადირობას დიდ ბრიტანეთში მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. თავდაპირველად, ეს მიწის მსხვილი მესაკუთრეების, დღევანდელი ლორდების წინაპრების გართობის ექსკლუზიური სახეობა იყო.

კვირადღეს მემამულეები შეიკრიბებოდნენ და ცხენებზე ამხედრებულები მელიებზე ნადირობას იწყებდნენ. უამრავი, საგანგებოდ დაგეშილი მწევარი ტყიდან მელიას გამოდევნიდა, რომელსაც ცხენოსნები უკან გამოეკიდებოდნენ. ხანგრძლივი დევნის შემდეგ კი რომელიმე მათგანი დამფრთხალ მელიას არბალეტით სიცოცხლეს გამოასალმებდა.

დროთა განმავლობაში, ამ გასართობით თავის შექცევა ბრიტანეთის საშუალო ფენამაც დაიწყო. თუმცა, ალბიონზე იგი მაინც ელიტარული სპორტის სახეობად ითვლება.

მთავრობამ ლორდებისა და ტრადიციების ერთგულ ბრიტანელებთან კომპრომისზე წასვლა განიზრახა. ტონი ბლერის მიერ წარმოდგენილი კანონპროექტი მხოლოდ მელიაზე ნადირობის ლიცენზიის მოპოვების წესის გამკაცრებას გულისხმობდა.

მინისტრები დიდი ხნის მანძილზე ამტკიცებდნენ, რომ ნადირობის სრული აკრძალვა შედეგს არ მოიტანდა და მთავრობის წინადადება ცხოველთა წამების მაქსიმალურად შესამცირებლად საუკეთესო საშუალება იყო.

სოფლის მეურნეობის მინისტრის თქმით, ქვედა პალატაში ვითარება ისე დაიძაბა, რომ მთავრობამ უკანდახევა ამჯობინა.

"ნათელი იყო, რომ დეპუტატების უმრავლესობას აკრძალვა სურდა და არა ნაწილობრივი შეზღუდვების დაწესება", - განაცხადა მან "ბი-ბი-სი"-ზე გამოსვლისას.

დეპუტატების იმ ნაწილმა, ვინც აკრძალვას მხარს უჭერდა, პარლამენტის კენჭისყრის შემდეგ ამ ამბავს "შესანიშნავი" გადაწყვეტილება უწოდა. საინტერესოა, რომ ნადირობის მომხრე ფრაქციას დიდგვაროვანი ქალბატონი ხელმძღვანელობდა. ბარონესა მალალიუმ ორშაბათის მოვლენებს "ფიასკო" უწოდა.

აღნიშნული კანონი ლორდთა პალატაში განსახილველად მხოლოდ შემოდგომაზე გადაიგზავნება. თუ ლორდებმა კანონი დაბლოკეს, მაშინ თემთა პალატას ორ მომდევნო სესიაზე დიდი ძალისხმევა დასჭირდება, რათა ზედა პალატის გადაწყვეტილება შეცვალოს.

აღსანიშნავია, რომ მაიკლმა თავის სატელევიზიო გამოსვლაში აღნიშნა, რომ იმედი აქვს, "ლორდები კანონს არ დაბლოკავენ", მაგრამ იქვე დასძინა, რომ ამგვარ გადაწყვეტილებას მთავრობა წინ ვერ აღუდგება.

სოფლის მეურნეობის მინისტრის აზრით, ამ აკრძალვის შემდეგ, ხალხი ხელს აიღებს ნადირობაზე. "ძალიან გამიკვირდება, თუ მოქალაქეები სხვანაირად მოიქცევიან, - განაცხადა საკუთარი თანამოქალაქეების კანონმორჩილებაში დარწმუნებულმა მინისტრმა, - ამ კანონით ყოველგვარი გამონაკლისი გამორიცხულია".

ცხოველების კეთილდღეობის საერთაშორისო ფონდის დირექტორმა ფილის კეპბელ-მაკრაემ აღნიშნა, რომ "თანამედროვე საზოგადოებაში მელიებზე ძაღლებით ნადირობა მიუღებელია და თემთა პალატის გადაწყვეტილება იმის მაუწყებელია, რომ ამ ბარბაროსულ მოქმედებებს წერტილი დაესვა". პროვინციების მცხოვრებლებს შორის ეს მოსაზრება განსაკუთრებით არაპოპულარულია.

ლედი მალალიუ იმედს არ კარგავს, რომ ლორდები მაინც არ შეირცხვენენ თავს და "ბრიტანული ცხოვრების წესის" შენარჩუნებას დაუჭერენ მხარს.

# დუმაში მოხვედრის შანსი ოთხ პარტიას აქვს

ავტორიტეტული რუსული სოციოლოგიური კვლევის სამსახურის "ვციომის" მონაცემებით, რუსეთში საპარლამენტო არჩევნები დღეს რომ ტარდებოდეს, ურნებთან ამომრჩეველთა 56 პროცენტი მივიდოდა. 26 პროცენტს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, ხმის მიცემით თავი არ შეიწუხოს, 15-მა პროცენტმა კი ჯერ არ იცის, რას იზამს.

მათგან, ვინც არჩევნებზე მისვლას აპირებს, ყველაზე მეტი სიმპათიები კომუნისტების მხარეზეა, მათ 27 პროცენტი მისცემდა ხმას (დიდი ხანია, კომუნისტები რეიტინგებში პირველ ადგილს სტაბილურად ინარჩუნებენ. რუსეთის ყოფილი პრემიერი, ჩერნომირდინი იმასაც ამტკიცებდა, რუსეთში რა პარტიაც არ უნდა შექმნა, ბოლოს ხელში მაინც კომუნისტური პარტია შეგრჩებაო). ერთი პროცენტით ნაკლებს მიიღებდა "ერთიანი რუსეთი" (ეს პარტია პუტინს უჭერს მხარს, და მასში, ძირითადად, ჩინოვნიკები, სპორტსმენები, "ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკები" არიან გაერთიანებულნი).

სხვაობა ამ ორ წამყვან პოლიტიკურ ძალას შორის ნელ-ნელა მცირდება. ერთი თვის წინ მათ, შესაბამისად, 28 და 25 პროცენტი უჭერდა მხარს.

მესამე ადგილზე გადაინაცვლა "იაბლოკომ". იავლინსკის პარტიას, ტრადიციულად, ყველაზე ლიბერალური და ინტელექტუალური ძალის იმიჯი აქვს, მაგრამ ვერც საპარლამენტო და ვერც საპრეზიდენტო არჩევნებში მან მნიშვნელოვან წარმატებებს ვერ მიაღწია. პარტიის რეიტინგი დღეს 8 პროცენტს შეადგენს.

მეოთხე პარტია, რომელსაც შანსი აქვს, ხუთპროცენტიანი ბარიერი გადალახოს, ჟირინოვსკის "ლიბერალ-დემოკრატები" არიან. ერთ დროს "მრისხანე ძალა", რომლითაც რუსეთის ხელისუფლება დიდი ხნის მანძილზე აშინებდა დასავლეთის სახელმწიფოთა ლიდერებს, ნელ-ნელა იქცა იმად, რადაც უნდა ქცეულიყო – მარგინალურ პოლიტიკურ წარმონაქმნად. პარტიას ჯერ კიდევ აქვს შანსი, პარლამენტში მოხვდეს, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ მას ამომრჩეველთა მხოლოდ 6 პროცენტი უჭერს მხარს, აშკარაა, რომ ლიბერალ-დემოკრატები პოლიტიკურ ოლიმპს ნელ-ნელა შორდებიან.

"ვციომის" გამოკითხვის ფავორიტებს შორის ვერ მოხვდა მემარჯვენე ძალთა კავშირი.

დუმის არჩევნები 7 დეკემბერს უნდა გაიმართოს.

## ინფოთეკა

**ფეხბურთი.** ბრაზილიელი რონალდინიოს "მანჩესტერ იუნაიტედში" გადასვლის საკითხი თითქმის მოგვარებულია. ფეხბურთელის ძმამ, რობერტ ასისმა, რომელიც ამავე დროს მისი აგენტიცაა, განაცხადა, რომ გარიგება კლუბებს შორის, შესაძლოა, დღესვე მოხდეს. "მოლაპარაკებები ორშაბათს დაიწყო. ერთადერთი საკითხი, რომელიც დღემდე გაურკვეველია, რონალდინიოს სანაცვლოდ გადასახდელი თანხაა, თუმცა, არა მგონია, ამ მხრივ რაიმე პრობლემები შეიქმნას", - აღნიშნა ასისმა.

**ფეხბურთი.** პარაგვაელი მეკარე ხოსე ლუის ჩილავერტი ურუგვაიში გააგრძელებს კარიერას. "სტრასბურიდან" წასვლის შემდეგ ჩილავერტი უმუშევარი იყო. და, აი, გუშინდლიდან ის "პენიაროლის" მეკარეა. "მე აქ ჩამოვედი, რათა ქვეყნის ჩემპიონი გავხდე. მინდა, ურუგვაელები გატანილი გოლებით გავახარო, რომელიც კლუბს ჩემპიონობის მოპოვებაში დაეხმარება", - განაცხადა ჩილავერტიმ.

**ფეხბურთი.** ხუან სებასტიან ვერონის თქმით, "მანჩესტერის" მწვრთნელს ალექს ფერგიუსონს თამაშის შემდეგ გასახდელში ბოთლების სროლა სჩვევია. "ის ამას ძალით არ აკეთებს. ფერგიუსონი მხოლოდ მაშინ ისვრის ბოთლებს, როცა წყობიდან გამოდის, თუმცა, მაშინაც კი, ის ამას ვინმეს მისამართით არ აკეთებს, უბრალოდ, საითაც მოხვდება, იქით ისვრის", - აღნიშნა ვერონმა.

**ფეხბურთი.** ერთ-ერთმა ირანელმა ფეხბურთელმა მეტოქე მოკლა იმის გამო, რომ მან გოლი გაიტანა. ეს ახვაზში გამართულ მოყვარულ ფეხბურთელთა მატჩში მოხდა. მცველმა, რომელმაც მეტოქეს გოლის გატანაში ხელი ვერ შეუშალა, თავში რაღაც მძიმე საგანი ჩაარტყა, თუმცა, საიდან მოიტანა ეს საგანი, უცნობია. დაშავებული ფეხბურთელი საავადმყოფოში წაიყვანეს, მაგრამ ექიმებმა მისი გადარჩენა ვერ შეძლეს. როგორც კი ეს ამბავი შეიტყვეს, მოკლულის თანაგუნდელებმა მკვლელი შეიპყრეს და პოლიციას გადასცეს.

**ფეხბურთი.** მექსიკელი ბიზნესმენი ვინმე ხორხე ვერგარა მადრიდის "ატლეტიკოს" პრეზიდენტს ენრიკო სერესოსა და კლუბის გენერალურ დირექტორს მიგელ ანხელ ხილს შეხვდა. მექსიკელ ბიზნესმენს "ატლეტიკოს" აქციათა შესყიდვა და კლუბის პრეზიდენტობა სურს. თუმცა, ვიდრე "წითელ-თეთრების" პრეზიდენტის სავარძელში ჩაჯდებოდეს, ჯერ კლუბის აქციათა საკონტროლო პაკეტის შეძენა ესაჭიროება და ეს კლუბის ხელმძღვანელობასთან შეხვედრისას ხაზგასმითაც აღნიშნა. იქვე დასძინა, საკონტროლო პაკეტის შეძენაზე მეტად პრეზიდენტობა მაინტერესებსო.

**ფეხბურთი.** გუშინ თურქეთის ნაკრებისა და "ფენერბახჩეს" აწ უკვე ყოფილი მეკარე რუშთუ ბარსელონაში ჩავიდა. ფეხბურთელის კატალონიაში ვიზიტის მიზანი "ბარსელონასთან" ოთხწლიანი კონტრაქტის გაფორმებაა. თურქი მეკარე "ბარსელონას" პირველი შენაძენია მას შემდეგ, რაც პრეზიდენტი ხუან ლაპორტა გახდა.

**რაგბი.** საფრანგეთის ნაკრები ზედიზედ მესამე ტესტ-მატჩში დამარცხდა. არგენტინელებთან ორჯერ წაგების შემდეგ, ფრანგები ამჯერად ახალი ზელანდიის "ოლ ბლექსთან" დამარცხდნენ - 23:31. თავად არგენტინელები კი სამხრეთაფრიკელებთან დამარცხდნენ – 25:26. იტალიის ნაკრები ახალი ზელანდიის ვაიკატოს პროვინციის გუნდთან დამარცხდა – 3:23.

**კალათბურთი.** "ტიმ დანკანი "სან ანტონიოდან" წასვლას არ აპირებს. ის კლუბის ერთგულია და კარიერას კვლავაც აქ გააგრძელებს", - ნათქვამია კალათბურთელის აგენტის განცხადებაში. გასულ კვირას დანკანმა მოლაპარაკება დაიწყო კლუბის ხელმძღვანელობასთან ახალი კონტრაქტის გაფორმების თაობაზე. ამიტომაც დაირხა ხმები სხვა გუნდში მისი გადასვლის თაობაზე. როგორც ცნობილი გახდა, "სან ანტონიომ" კალათბურთელს შესთავაზა 7-წლიანი კონტრაქტი, რომლის განმავლობაშიც დანკანი 122 მილიონ დოლარს მიიღებს.

**ჰოკეი.** ლეგენდარული ჩეხი ჰოკეისტი დომინიკ ჰაშეკი დიდ ჰოკეის უბრუნდება. ერთწლიანი დასვენების შემდეგ ჰაშეკმა განაცხადა, რომ ჰოკეის გარეშე სიცოცხლე არ შეუძლია და ძალიან უნდა, აქტიურ სპორტს დაუბრუნდეს. ამის თქმა და მისი ყოფილი კლუბის - "დეტროიტის" მიერ წინადადების შეთავაზება ერთი იყო. ასე რომ, მომავალ სეზონში ჰაშეკი "დეტროიტის" კარს დაიცავს და ამის სანაცვლოდ 8 მილიონ დოლარს მიიღებს.

## ფეხბურთი

# ფლორენტინო პერესი: "ჩვენ გვიყვარს დელ ბოსკე"

### "რეალის" პრეზიდენტი ყოფილ მწვრთნელს ბოდიშს უხდის

*მადრიდის "რეალის" მწვრთნელის პოსტიდან ვისენტე დელ ბოსკეს გათავისუფლებამ და გუნდის კაპიტნის, ფერნანდო იეროს დათხოვნამ მადრიდელი გულშემატკივრების დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. განაწყენებულია თავად დელ ბოსკეც, რომელსაც მასთან განშორების ფორმამ ძალიან ატკინა გული. პრეზიდენტმა პერესმა განაცხადა, რომ ვისენტე დელ ბოსკეს სამწვრთნელო მეთოდები მოძველებულია. ფლორენტინო პერესმა ინტერვიუ მისცა ესპანური ტელეკომპანიის "TVE"-ს ჟურნალისტებს.*



ფლორენტინო პერესი ბოდიშს იხდის

**- ელოდით, რომ ვითარება კონტროლს აღარ დაექვემდებარებოდა?**

- არა. მეც და დირექტორთა საბჭოც ამავდროულად გულშემატკივრები ვართ. თუმცა, პასუხისმგებლობაც გვაკისრია.

**- ხომ არ ფიქრობთ, რომ დელ ბოსკესთან განშორებისას არასწორი ფორმა აირჩიეთ?**

- შესაძლოა, ფორმა არასწორი იყო, თუმცა, ძნელია სხვაგვარად ამის გაკეთება. ჩვენ ველოდით ჩემპიონატის დასრულებას, რათა გადაგვეწყვიტა, უნდა დარჩენილიყო თუ არა ის მწვრთნელის პოსტზე. ექვსსაათიანი ბჭობის შემდეგ გადავწყვიტეთ, რომ უმჯობესი იქნებოდა ციკლის დასრულება და ახალი ეტაპის დაწყება. ერთადერთი, რაზეც დირექტორთა საბჭო ფიქრობდა, ის იყო, რომ კლუბისთვის სასარგებლო გადაწყვეტილება მიგვეღო.

**- დელ ბოსკე, ალბათ, სხვაგვარ წასვლას იმსახურებდა...**

- ჩვენ გვიყვარს დელ ბოსკე. კლუბში გატარებული 35 წლიდან სამწელიწადნახევარი ის ჩვენთან ერთად იყო. მე ბევრი ვიფიქრე მასთან განშორების ფორმაზე. ყველაფერი ისე გავაკეთეთ, როგორც სწორად მიგვაჩნდა, რადგან მადრიდის "რეალის" იმიჯში ყველაზე მთავარი აქტიურობაა. როდესაც მოლაპარაკება დავასრულეთ, უკვე ძალიან გვიანი იყო, დელ ბოსკეს კი მეორე დღეს ინტერვიუები ჰქონდა დანიშნული. ჩვენ არ შეგვეძლო კიდევ ერთი დღით მოცდა. ეს გამორიცხული იყო. ბოდიშს ვიხდი, თუ რაიმე შეგვეშალა.

**- იერო?**

- იეროსთან დაკავშირებითაც მსგავსი რაღაც მოხდა. ამ სახლში ის 14 წელიწადს ცხოვრობდა. ის "რეალის" სიმბოლოა. მისთვის უკეთესი იყო, კარიერის ზენიტში წასულიყო. ჩვენ ამაზე ვისაუბრეთ და მან ეს გაიგო.

**- როგორ აპირებთ ფეხბურთელთა უარყოფითი რეაქციის შეჩერებას?**

- ფეხბურთელებს კარგად უნდა ავუხსნათ, რომ ეს კოლექტიური გადაწყვეტილება იყო. მე ბოდიშს მოვიხდი და ძალიან შევეცდები, რომ ასეთი რამ აღარ გამეორდეს.

**- გააგრძელებთ თუ არა კონტრაქტს რაულთან?**

- ამ დღეებში, როდესაც ფეხბურთი არ არის, ჭორების რაოდენობა, უბრალოდ, შემაშფოთებელია. ზოგი ამბობდა, რომ რაული "მანჩესტერში" გადადის, ზოგი ამტკიცებდა, რომ ჩვენ მას არნახული კონტრაქტი შევთავაზეთ. არც ერთი და არც მეორე მართალი არ არის. რაული უაღრესად მნიშვნელოვანი ფეხბურთელია "რეალისთვის". ძალიან მინდა, რომ ის კაპიტანი იყოს და ყველანაირად ვეცდები, ასეც მოხდეს. "რეალის" სიმბოლო ყოველთვის რაული იქნება.

**- ბექჰემი მხოლოდ მაისურების გასაყიდად შეიძინეთ?**

- მე ვეკითხები გულშემატკივრებს: ნუთუ მათ მართლა ჰგონიათ, რომ ზიდანი და რონალდო მაისურების გასაყიდად მოვიყვანეთ? ორივემ ჩინებული სეზონი ჩაატარა. ამიტომ მათ ირგვლივ უდიდესი ინტერესია. ეს კიდევ ერთი უპირატესობაა მსოფლიო მაშტაბის მქონე კლუბის იმიჯისთვის.

**- თქვენ მოსთხოვეთ კეიროშს ცენტრალური მცველის ყიდვა?**

- მე არ მქონია მასთან ხანგრძლივი საუბრის საშუალება. თუ მას მცველის შეძენა სურს, ამის შესახებ ვალდანოს დაელაპარაკება.

**- უკვე ფიქრობთ მომავალ არჩევნებზე?**

- ამაზე ფიქრი არ მინდა. როცა ამის დრო მოვა, მერე ვიფიქრებთ. ბუტრაგენიოს შეუძლია, დიდი პრეზიდენტი გახდეს.

# ლონდონს ბექჰემის იმედი ჰქონდა

გიგა გურასაშვილი

*საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (სოკ) პრეზიდენტის ჟაკ როგის თქმით, აწ უკვე ყოფილ მანჩესტერელ დევიდ ბექჰემს შეუძლია აკეთოს ის, რაც სურს, მაგრამ მასზე და მის კოლეგებზე ინგლისის ნაკრების კაპიტანი ვერანაირ შთაბეჭდილებას ვერ მოახდენს. საქმე ის არის, რომ ბექჰემს ძალიან უნდა, ლონდონს, როგორც 2012 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის კანდიდატს, ერთგვარი რეკლამა გაუწიოს.*



დევიდ ბექჰემი ოლიმპიური თამაშებითაც დაინტერესდა

იდეა, რომ 2012 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის კანდიდატის - ლონდონის მხარდაჭერის საქმეში ბექჰემი სარეკლამო იარაღად გამოიყენონ, ბრიტანული მედიისგან მოდის. უფრო ზუსტად, ბრიტანელები ითხოვენ, რომ ლონდონის თამაშებისთვის ბექჰემს ერთგვარი ელჩის სტატუსი მიენიჭოს.

მართალია, ოლიმპიზმის მამები ბექჰემს, როგორც ფეხბურთელს, პატივს სცემენ, მაგრამ იმასაც აღნიშნავენ, რომ მას ოლიმპიური მოძრაობისთვის თითი, უფრო სწორად, ფეხი არ გაუნძრევია. ოლიმპიზმის ავანჩავანნი ფეხის განძრევას ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე პირდაპირ მნიშვნელობას ანიჭებენ. დასამალი არ არის: "სპაის ბოის" აქამდე არასდროს ჩაუცვამს ოლიმპიური ნაკრების მაისურა და, ალბათ, არც არასოდეს ჩაიცვამს.

თუმცა, ამასაც თავისი მიზეზი აქვს. ინგლისი, შოტლანდია, უელსი და ჩრდილო ირლანდია, რა ხანია, მსოფლიოსა თუ ევროპის ჩემპიონატებზე დამოუკიდებელი ნაკრებების სტატუსით სარგებლობენ. დიდ ბრიტანეთს კი 1972 წლიდან, ანუ მას შემდეგ, რაც ოლიმპიურ თამაშებზე მონაწილეობის უფლება მხოლოდ მოყვარულ ფეხბურთელებს მიეცათ, საკუთარი ერთიანი გუნდით არასდროს უასპარეზია. ასეა თუ ისე, სოკ-ში ყოველივეს სხვაგვარად უყურებენ.

"ფეხბურთელი, რომელიც ოლიმპიურ სარბიელზე გასვლას არ აპირებს, რა უფლება აქვს, თქვას: "მიეცით ოლიმპიადა ჩემს ქალაქს? – კითხულობს ჟაკ როგი და იქვე დასძენს, რომ, ამის მიუხედავად, ბექჰემს სრული უფლება აქვს, გააკეთოს ის, რაც სურს და ამაში ხელს არავინ შეუშლის. მეტიც: თუ უნდა, ამ საქმეში თავისი ცოლი ვიქტორიაც ჩართოს, ეს მათი უფლებააო. მაგრამ უფრო გონივრული იქნება, თუ ოლიმპიურ მოძრაობაში სახელმოხვეჭილ ადამიანებზე, ვარსკვლავებზე შეაჩერებენ ყურადღებასო და იქვე ნიჩბოსნობაში ხუთგზის ოლიმპიურ ჩემპიონ სტივ რედგრეივზე მიანიშნა: "რედგრეივზე ყურადღების გამახვილება სოკ-ის წევრებსაც ესიამოვნებათ. ის ხომ ოლიმპიური თამაშების სიმბოლოა".

რაც შეეხება იმას, თუ როდის გაირკვევა 2012 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლის ვინაობა, ამისთვის 2005 წლამდე მოცდაა საჭირო. მანამდე კი 2010 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძლის ვინაობაა გასარკვევი. ამაზე პასუხი კი დღეს პრაღაში, სოკ-ის სესიაზე გახმოვანდება.

დღესვე გაიმართება დევიდ ბექჰემის ერთგვარი ოფიციალური წარდგენა "სანტიაგო ბერნაბეუზე". მართალია, ბექჰემი "მანჩესტერ იუნაიტედიდან" "რეალში" გადაბარგდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, კვლავაც გრძელდება მანჩესტერელთა ყოფილი ნახევარმცველის გვარითა და ნომრით დამშვენებული "მანიუს" მაისურებით ვაჭრობა. "წითელი ეშმაკუნების" კომერციული განყოფილების მუშაკთა თქმით, ამაში უჩვეულო არაფერია - გულშემატკივრებს ბექჰემის "მოსაგონრად" რაღაც მაინც დარჩებათო.

## ჩოგბურთი

WIMBLEDON 2003

# ფეხი არ ჩაუვიდათ

უიმბლდონის ტურნირი გადამწყვეტ ფაზაში შევიდა, მაგრამ თავნება წვიმა ჩოგბურთელებს გასაქანს მაინც არ აძლევს. გუშინ, როგორც იქნა დასრულდა ვაჟთა მერვედფინალური სერიის ერთი დარჩენილი მატჩი. ფრანგმა სებასტიან გროსჟანმა ოთხ სეტში დაძლია მესამე ნომრად განთესილი ესპანელი ხუან კარლოს ფერეროს წინააღმდეგობა და საფრანგეთის ღია პირველობის ტრიუმფატორი უსახელოდ დაითხოვა უიმბლდონის კორტებიდან.



სერენა უილიამსი ისევ ფავორიტია

მთავარი მოვლენები კი ქალთა თანრიგში გაიმართა. უნდა გარკვეულიყო მთავარი საკითხი - შეძლებდა კი ვინმე თანამედროვე ჩოგბურთის დიდი ოთხეულის: დები უილიამსები, კიმ კლიისტერსი, ჟიუსტინ ენინი - საჩემპიონო დავაში ჩარევას? პასუხი უარყოფითი გამოდგა. პრეტენდენტებმა ბოლების კიდევ ერთი მწარე წკიპურტი იგემეს, მაგრამ ამჯერად ცოტა ინერვიულეს. დიდი ოთხეული კი კვლავ შეუვალია.

ბელგიელი კიმ კლიისტერსისა და სილვია ფარინა-ელიას მატჩის დასრულების შემდეგ სპეციალისტები ხუმრობით აღნიშნავდნენ, რომ სილვია ფარინამ დიდი შეცდომა დაუშვა, როცა გაბედა და ტურნირის მეორე ნომერს პირველი სეტი მოუგო. ამის შემდეგ ბელგიელმა დაუნდობლად გაანადგურა მეტოქე და დარჩენილ ორ სეტში ერთადერთი გეიმი მოაგებინა. იგივე შეიძლება ითქვას დანარჩენ პრეტენდენტებზეც, ვინც გაბედა და ფავორიტთა პატივმოყვარეობას შეეხო. ისინი ამისთვის სასტიკად დაისაჯნენ. ტურნირის საუკეთესო ოთხეული ნახევარფინალში გავიდა.

**უიმბლდონი. ინგლისი. "დიდი სლემის" ტურნირი. ბალახი. შარშანდელი გამარჯვებულები: ვაჟები - ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია), ქალები - სერენა უილიამსი (აშშ). მეოთხედფინალი.**

**ქალები:**

| | | |
|---|---|---|
| **ვინუს უილიამსი (აშშ, 4)** - | ლინდსი დევენპორტი (აშშ, 5) | 6:2, 2:6, 6:1 |
| **კიმ კლიისტერსი (ბელგია, 2)** - | სილვია ფარინა-ელია (იტალია, 27) | 5:7, 6:0, 6:1 |
| **სერენა უილიამსი (აშშ, 1)** - | ჯენიფერ კაპრიატი (აშშ, 8) | 2:6, 6:2, 6:3 |
| **ჟიუსტინ ენინი (ბელგია, 3)** - | სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი, 33) | 6:2, 6:2 |

**ვაჟები - მერვედფინალი.**

**გადადებული მატჩი:**

| | | |
|---|---|---|
| **სებასტიან გროსჟანი (საფრანგეთი, 13)** - | ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი, 3) | 6:2, 4:6, 7:6 (7:2), 7:6 (7:3) |

# ფიფა საფეხბურთო სტრიპტიზის წინააღმდეგ



ფრანჩესკო ტოტი ამიერიდან ველარ გაშიშვლდება

ნინო პირველი

ყოველთვის ასე ხდებოდა ხოლმე: ფეხბურთელი, გოლს რომ გაიტანდა, სიხარულისგან გადარეული, მაისურას გაიძრობდა და ფორმის ფრიალით დარბოდა გადაჭედილი ტრიბუნების წინ. ათლეტური აღნაგობის სპორტსმენები კუნთებით თავს იწონებდნენ, მდედრი ფანები კი მათი ცქერით ტკბებოდნენ. ერთი სიტყვით, ორივე მხარე კმაყოფილი იყო. ფანებს ძალიან მოსწონდათ, როცა ტოტი ან ბალაკი მაისურას გადაიძრობდა და წელს ზემოთ შიშველი დარბოდა. ახალი სეზონიდან მოედანზე სტრიპტიზი აიკრძალება. ფიფა ისევ ამ ზედმეტად ემოციური ტრადიციის წინააღმდეგ ილაშქრებს.

1996-2001 წლებში სასტიკად იყო აკრძალული გოლის გატანის შემდეგ ფორმის გახდა. 2001 წლიდან ფიფას სიმკაცრე თითქოს ცოტათი დაცხრა და ფეხბურთელების რიტუალურ სრტიპტიზს იმდენად დიდი ყურადღება აღარ ექცეოდა, მაგრამ მოედანზე ისეთი ამბები დატრიალდა, რომ იოზეფ ბლატერი იძულებული გახდა, ისევ მკაცრ მორალისტად ქცეულიყო. სტადიონზე სტრიპტიზის ჩატარების დიდოსტატები იტალიელი ფეხბურთელები აღმოჩნდნენ. ფრანჩესკო ტოტი გოლს არ გაიტანდა ისე, რომ მაისურა არ შემოეძარცვა და შიშველს არ ერბინა. ამას კიდევ აიტანდა ბლატერი, მაგრამ ტოტის თავისუფლება მალე თავხედობაში გადაიზარადა. 2001-02 წლების სეზონში გასული წლის ჩემპიონმა "რომამ" ძალიან დაჩაგრა თანაქალაქელი "ლაციო". ტოტიმ და კომპანიამ "ბიძაშვილებს" ორივე დერბი მოუგეს, თანაც, დიდი ანგარიშით. "ლაციოს" კარში გატანილი გოლის შემდეგ ტოტიმ მაისურა გაიხადა და... "ლაციოს" ტიფოზები გაოგნდნენ. ტოტის ფორმის ქვეშ კიდევ რაღაც ეცვა, რომელზეც დიდი ასოებით ეწერა: "როგორ გაგაბითურეთ!" სხვა დროს ტოტის მკერდზე ასეთი წარწერა ამშვენებდა: "უნიკალური ხარ!" ფეხბურთის მოყვარულები დიდხანს იმტვრევდნენ თავს, თუ ვისი მისამართით უნდა ყოფილიყო ნათქვამი ეს ქათინაური. ზოგმა თქვა, ტოტიმ ეს სიტყვები დედას მიუძღვნაო, ზოგმა ფეხბურთელის საცოლე, მომხიბლავი ილარი ბლაზი მიიჩნია ადრესატად... ბოლოს ისევ ტოტიმ ახსნა ყველაფერი. არც დედა და არც მეგობარი გოგონა. თურმე ნუ იტყვით, "რომას" კაპიტანს ეს წარწერა თავად გუნდისთვის მიუძღვნია. "რომა" უნიკალური გუნდიაო, - ამტკიცებდა ტოტი. ფიფა ყველაზე მეტად სწორედ ამგვარმა პროვოკაციულმა წარწერებმა გააღიზიანა. ბლატერი, საერთოდ, ყოველგვარი წარწერის წინააღმდეგი იყო. ლევერკუზენის "ბაიერის" ბრაზილიელი მცველი ლუსიო ნამდვილად არაფერს აშავებდა, არც არავის აყენებდა შეურაცხყოფას და არც სიყვარულს უხსნიდა ვინმეს. მკერდზე გაკეთებული წარწერით, უბრალოდ, იესოს უხდიდა მადლობას, მაგრამ ფიფას არც ეს მოეწონა. იყვნენ შედარებით ნაკლები ფანტაზიის მქონე ფეხბურთელებიც, რომლებიც გატანილ გოლებს შვილებს უძღვნიდნენ და მკერდზე მხოლოდ ბავშვების სახელები ეწერათ, რაც ფიფამ ასევე მიუღებლად მიიჩნია. მოკლედ, გახდას კიდევ არა უშავს, მაგრამ ეს სულელური წარწერები უკვე მეტისმეტიაო, - გადაწყვიტა ბლატერმა და ყველა ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციას მოსთხოვა, მოედანზე სტრიპტიზი აკრძალეთო.

წესრიგის მოყვარული გერმანელები პირველები გამოეხმაურნენ ფიფას და გულშემატკივარს აცნობეს, ამიერიდან გოლის გატანის შემდეგ ფეხბურთელები მაისურებს აღარ გაიხდიანო. ვინც ამ წესს არ დაემორჩილება და ისევ ძველებურად მოისურვებს გატანილი გოლის აღნიშვნას, მსაჯისგან ყვითელი ბარათით დაისჯება. "მესმის, რომ ასეთი აკრძალვით გულშემატკივარს სპექტაკლის ნახვის საშუალებას ვუსპობთ, მაგრამ რა გაეწყობა. ფიფა წესრიგის დაცვას ითხოვს და ჩვენც უნდა დავემორჩილოთ. სხვა გზა ნამდვილად არ გვაქვს", - განაცხადა ბუნდესლიგის მსაჯთა კომიტეტის შეფმა ფოლკერ როტმა.

იტალიელები, ცოტა არ იყოს, უკმაყოფილონი დარჩნენ. ფაბიო კაპელომ გაოცებით განაცხადა, ვერ გამიგია, ვის რაში უშლის ხელს ფეხბურთელის გრძნობებისა და ემოციების შეუზღუდავი გამოხატვაო. არც სხვები არიან აღფრთოვანებულნი ფიფას ამ გადაწყვეტილებით, მაგრამ დამორჩილება კი ნამდვილად მოუწევთ. ზეპ ბლატერის ბრძანებას ხომ მთელი საფეხბურთო სამყარო უხმოდ ასრულებს...

## TV-სპორტი

**ოთხშაბათი. 2 ივლისი**

**НТВ + ФУТБОЛ**

13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 განვლილი სეზონის გახსენება. იტალიის ჩემპიონატი. "რომა" – "იუვენტუსი"
15:00 ჩემპიონთა ლიგის არქივი. 99/00 სეზონი. "ფიორენტინა" - "არსენალი"
16:45 განვლილი სეზონის გახსენება. გერმანიის ჩემპიონატი. "ჰამბურგი" – "ვერდერი"
18:30 ფეხბურთი ა-დან წ-მდე
19:00 თავისუფალი დარტყმა
19:15 სახვალიო ტელეპროგრამა
19:20 "დარტყმა გოლის მიმართულებით"
21:15 ჩემპიონთა ლიგის არქივი. 99/00 სეზონი. "ვილემ II" – „სპარტაკი"
0:25 ამხანაგური მატჩი მსოფლიო ვარსკვლავთა მონაწილეობით.
0:50 ფეხბურთი ა-დან წ-მდე

**НТВ + СПОРТ**

11:00, 14:00, 16:40 პრეს-ცენტრი
11:15 "ოლიმპის შვილები"
11:20, 14:15 აერობიკა
11:45 ჩოგბურთი. უიმბლდონი
15:10 ცხენოსნობა
16:55 ჩოგბურთი. უიმბლდონი. კაცები. მეოთხედფინალები.
0:00 ცურვა. საერთაშორისო ტურნირი "მოსკოვის თასი"

**EUROSPORT**

11:30 ექსტრემალური სპორტი
12:30 მძლეოსნობა
15:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური გერმანიაში
16:00 მძლეოსნობა. გრან-პრი II ჩეხეთში
17:15 მოტოსპორტი
18:45 ოლიმპიური თამაშები
19:45 მძლეოსნობა
23:00 ცხენოსნობა
0:00 მულტისპორტი
0:15 გოლფი
01:15 ახალი ამბები
01:30 მულტისპორტი
02:00 გოლფი
03:00 აფროსნობა
03:45 მულტისპორტი
04:15 ახალი ამბები

11:30 თავგადასავალი. ქვიშის მარათონი მაროკოში
12:00 ფეხბურთი. მსოფლიო თასის ლეგენდები, არგენტინა
13:00 მძლეოსნობა. გრან-პრი II ჩეხეთში
14:30 მძლეოსნობა. ვინ ვინ არის
15:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური გერმანიაში
16:00 მძლეოსნობა. აშშ-ის ჩემპიონატი
17:30 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა. აშშ
19:00 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა. გერმანიაში
19:30 ფეხბურთი. კონფედერაციის თასი
21:00 მძლეოსნობა. ვინ ვინ არის
21:30 მძლეოსნობა. საბერძნეთის სუპერ გრან-პრი
22:45 მძლეოსნობა. სპრინტერები
23:00 მძლეოსნობა. შვეიცარიის სუპერ გრან-პრი
01:30 მძლეოსნობა. სპრინტერები
01:45 კრივი. ევროპის ჩემპიონატი იტალიაში
03:00 ახალი ამბები
03:15 ტრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი ანდორაში
03:45 მოტორბოლები
04:15 ახალი ამბები

პოპ-მუსიკა

## თბილისში "ზემფირა" ჯერ ვერ ჩამოვა

პოპულარულმა რუსმა მომღერალმა საბოლოოდ გაუცრუა იმედები მათ, ვინც ამ ზაფხულს სხვადასხვა ფესტივალებზე ჯგუფ "ზემფირას" გამოსვლას ელოდა. როგორც ზემფირა რამაზანოვამ საჯაროდ განაცხადა, მის ჯგუფში ჯერ არ დასრულებულა შემადგენლობის გადახალისება. მაგალითად, "ზემფირას" ჯერჯერობით არ ჰყავს დასარტყამ ინსტრუმენტზე შემსრულებელი. "ჩვენ ჯერ არ ვართ ფორმაში", - თქვა მუსიკოსმა. ამ განცხადებამ საქმე გაუფუჭა რუსეთში რამდენიმე ფესტივალის ორგანიზატორებს, რომლებიც სარეკლამოდ სწორედ ზემფირას გამოჩენას ჰპირდებოდნენ მსმენელს. რაც შეეხება ზემფირას თბილისში სტუმრობას, რასაკვირველია, ისიც გარკვეული ხნით გადაიდო. როგორც ცნობილია, ჯგუფის ჩამოყვანას თბილისში "აჭარა მიუზიკ ჰოლი" და კომპანია "ისთერნ პრომოუშენი" გეგმავს.

## რობი ვილიამსმა სასტუმრო იყიდა

ბრიტანელმა პოპ-ვარსკვლავმა კვლავ მიიქცია საზოგადოების ყურადღება თავისი ექსტრავაგანტული საქციელით. როგორც ცნობილია, 4 ივლისს ავსტრიის დედაქალაქში, ჰაპელის სახელობის სტადიონზე დაგეგმილია მომღერლის შოუ. ამისთვის კი მომღერალი განსაკუთრებით ემზადება. ვილიამსმა უკვე დაჯავშნა სასტუმრო "ტრიესტის" ყველა 72 ნომერი; რესტორანი იტალიური სამზარეულოთი, საუნა და კოქტეილ-ბარი მხოლოდ მუსიკოსის განკარგულებაში იქნება. როგორც აღმოჩნდა, ამ გასტროლის დროს, პოპ-ვარსკვლავს განსაკუთრებულ პირობებში ცხოვრება სურს: მშვიდი ძილი, მის ფანჯრებთან დადარაჯებული და ავტოგრაფებზე მონადირე ფანების გარეშე. ამას გარდა, ვილიამსს იმდენად მოსწონებია ამ სასტუმროს ბარი, რომ მოითხოვა ზუსტად ასეთივე ბარი დროებით სტადიონზე დადგან. ვილიამსის ახირებების ატანა ავსტრიელებს სამი დღით მოუწევთ. სწორედ ამ ხნის განმავლობაში დარჩება რობი ვილიამსი და მისი 140 კაციანი ჯგუფი ავსტრიის დედაქალაქში.

## მაკარტნი კუბელებს უმღერებს

სიმბოლურია, რომ სერ პოლ მაკარტნიმ ასეთი გადაწყვეტილება წითელ მოედანზე გამართული კონცერტის შემდეგ მიიღო. ან ვინ იცის, იქნებ კონცერტი შარშან იანვარშიც დაიგეგმა. მაშინ, როდესაც მაკარტნიმ შვილებთან ერთად "წითელ კუნძულზე" იმოგზაურა. ყოველ შემთხვევაში, ამ სტუმრობის შესახებ საზოგადოებამ აქამდე მხოლოდ ის იცოდა, რომ კუბაში ყოფნისას, ცნობილი მუსიკოსი კუბურ ეროვნულ მუსიკას გაეცნო.

ივლისში მაკარტნი საკონცერტო დეტალების მოსაგვარებლად კუბაში აგენტების გაგზავნას აპირებს. კუბის ხელისუფლების წარმომადგენლებმა უკვე დადებითად შეაფასეს ექსბითლის გადაწყვეტილება და გასცეს კიდეც შესაბამისი სანქცია. მოსალოდნელი გასტროლისადმი საკუთარი დამოკიდებულება გამოხატა მწერალმა ერნესტო ხუან კასტელანოსმაც. მწერალი დაესწრო პირველ ივნისს ლივერპულში მაკარტნის კონცერტს, რის შემდეგაც მას შესაძლებლობა მიეცა, ეკითხა მუსიკოსისთვის, თუ როდის გამართავდა იგი კონცერტს კუბაში. "მომავალ კვირას", - ასეთი იყო მაკარტნის ხუმრობით ნათქვამი ფრაზა, რომელიც მეტ-ნაკლები სიზუსტით ასრულდება კიდეც.



# კომპიუტერისა და ლიტერატურის მოყვარულთათვის

თამარ სუხიშვილი

მიმდინარე კვირას წიგნის მაღაზია "პარნასი" დატვირთული საპრეზენტაციო გრაფიკით მუშაობს. გუშინ აქ პირველი ელექტრონული გამომცემლობის ახალი პროდუქცია – ელექტრონული წიგნი "ვაჟა-ფშაველა" წარუდგინეს მკითხველს. "ვაჟა-ფშაველა" პირველი ელექტრონული გამომცემლობის მესამე საჩუქარია ("გალაკტიონისა" და "ქართული ფოლკლორის" ელექტრონული წიგნების შემდეგ), განკუთვნილი იმ ადამიანებისათვის, რომელთაც კომპიუტერიც აქვთ და ლიტერატურაც უყვართ.

შეგახსენებთ, რომ პირველი ელექტრონული გამომცემლობა იმ რამდენიმე ახალგაზრდის ენთუზიაზმით შეიქმნა, რომელთაც დიდი სურვილი ჰქონდათ, მკითხველისთვის მაქსიმალურად მიეწოდებინათ მასალა ამა თუ იმ მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ. ასე გაჩნდა ახალი გამომცემლობა და ასე, დიდი შრომის შედეგად, დაიბადა პირველი ელექტრონული წიგნი "გალაკტიონი". როგორც გავიგეთ, სკოლების ათმა პროცენტმა ეს წიგნი უკვე შეიძინა...



ციფრული ვაჟა-ფშაველა

ვაჟა-ფშაველას კომპაქტ-დისკის პრეზენტაცია (პროექტის - "ლიტერატურა კარცერ-ლუქსისათვის" ფარგლებში) ამასწინათ ფილარმონიის ფოიეში, წიგნის ფესტივალზე გაიმართა. იმ მკითხველმა, ვინც მაშინ პრეზენტაციაზე მისვლა ან წიგნის ყიდვა ვერ მოახერხა, ამჯერად "პარნასს" მიაშურა. თუმცა წიგნის მაღაზიაში ნაცნობი სახეც ბევრი იყო - ისინი, ვინც პირველ პრეზენტაციასაც დაესწრნენ და გუშინ "პარნასსაც" ეწვივნენ. არ დაიზარეს და მივიდნენ, რათა კიდევ ერთხელ შეევლოთ თვალი კედელზე პროეცირებული უნიკალური ფოტომასალისათვის, მოესმინათ ვაჟას პოეზია, დიდი მგოსნის თანამედროვეთა თუ ოჯახის წევრთა მოგონებების ჩანაწერები...

პროექტის ავტორია კახა დავითური, რედაქტორები – მინდია არაბული და ეთერ თათარაიძე, დირექტორი მამუკა ხანთაძე, მხატვარი თენგიზ მირზაშვილი, კონსულტანტი - ვახუშტი კოტეტიშვილი. კომპაქტ-დისკი მოიცავს ვაჟას სრულ პოეტურ და პროზაულ კრებულს, ბიოგრაფიულ მასალას, ნაცნობ თუ უცნობ დეტალებს პოეტის ცხოვრებიდან... მკითხველი შეძლებს დაათვალიეროს ვაჟა-ფშაველას ხელნაწერები, მოისმინოს გულქან რაზიკაშვილის, სიკო ფაშალიშვილის, სანდრო შანშიაშვილის, კონსტანტინე გამსახურდიასა და სხვათა მოგონებები; ლექსები, რომლებსაც კითხულობს, მაგალითად, უშანგი ჩხეიძე და ა.შ. წიგნის სხვა ღირსებებზე – მუსიკალურ, მხატვრულ გაფორმებაზე არაფერს ვიტყვი, დანარჩენს, ალბათ, თქვენ თვითონ ნახავთ. და კიდევ ერთი, ამ ელექტრონულ წიგნში დაცულია ჩვენთვის აქამდე უცნობი ფოტომასალაც, რომელიც შემდგენლებმა სხვადასხვა არქივებში მოიძიეს. წიგნზე მუშაობა ოთხი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა.

"ბევრი უცხო ადამიანი გვირეკავს და მადლობას გვეუბნება," - გვითხრა პირველი ელექტრონული გამომცემლობის დირექტორმა კახა დავითურმა, და სამომავლო გეგმებიც გაგვანდო: ლადო ასათიანი, აკაკი წერეთელი და ნიკო ფიროსმანი. თქვენი არ ვიცი და, მე მგონი, დროა, კომპიუტერის შეძენაზე ვიფიქრო.

# ოცნებები დიღმის ტყეზე

ნანა ბასილაშვილი

მხატვარი ანა გაბრიაძე, დიღმის ტყეს და იქ არსებულ საშინელ ვითარებას, უკვე მეორე პერსონალურ გამოფენას უძღვნის. ფერწერული ტილოები, რომლებიც გუშინ გალერეა TMS-ში გამოიფინა, ვერნისაჟზე გამართული აქციის ვიზუალური დასტური იყო.

"ეს ნახატები ვიღაცის საკუთრებაა, მე ვფენ ვიღაცის საკუთრებას", - გალერეაში გამოფენილ ზეთის საღებავებსა და პასტელში შესრულებულ სურათებზე, ერთ დროს მდიდარი და დღეს უკვე გამეჩხერებული ტყის პეიზაჟებია დახატული. ამ ნახატებზე ნათლადაა წარმოდგენილი, თუ როგორი იყო ახლა უკვე გაყიდული და გაპარტახებული დიღმის ტყე წლების წინათ და როგორ გამოიყურება იგი დღეს.

სულ რამდენიმე თვის წინათ გალერეა "ორიენტში", ანა გაბრიაძემ იგივე აქცია-გამოფენა მოაწყო, - "გადავარჩინოთ დიღმის ტყე." თუმცა მას რაიმე აქციის სახე არ ჰქონია, დამთვალიერებელი მხატვრის შემოქმედებას პროფესიონალური კუთხით აფასებდა, მხატვრის გულისტკივილსაც მხოლოდ შიგადაშიგ, ერთმანეთთან საუბრისას ეხმაურებოდნენ.



ბესო გულაშვილის ფოტო

ანა გაბრიაძე ასეთ ტყეზე ოცნებობს

გუშინ, ყველაფერი სხვაგვარად იყო. ხელოვანის გადაწყვეტილებამ, საკუთარი შემოქმედების საშუალებით აქცია მოეწყო, ნაწილობრივ გაამართლა. TMS-ში გუშინ ბევრ ცნობილ სახეს ნახავდით. ნაირა გელაშვილი, დათო მაღრაძე, დათო ტურაშვილი, უცნობი, გია ბუღაძე, ნინო ზაალიშვილი, თენგიზ მირზაშვილი, გოგა ხაინდრავა და ა.შ. გამოფენა-აქციაზე მოსული დიღმელების გარემოცვაში დეპუტატი გია ბარამიძე აღმოჩნდა. მას ტყის ტერიტორიაზე არსებული ვითარება ზედმიწევნით გააცნეს და მოქმედებისკენ მოუწოდებდნენ.

"არ მგონია, რომ ჩვენს აქციას რაიმე გამოხმაურება მოჰყვეს, რადგანაც სამწუხაროდ ბარბაროსების ქვეყანაში ვცხოვრობთ. ჩვენ ისეთ საზოგადოებასთან გვაქვს საქმე, რომელიც მომავალზე არ ფიქრობს. დღეს ხომ მხოლოდ დიღმის ტყის პრობლემა არ დგას. მაგრამ ეს, ალბათ, მაინც ვალის მოხდაა, საკუთარი თავის, წარსულისა და მომავლის წინაშე" – გოგა ხაინდრავამ გამოფენა-აქციას ოფიციალურად გახსნა. ანა გაბრიაძემ დახმარებისათვის სწორედ მას მიმართა.

"ეს გამოფენა ეძღვნება ყველა იმ ადამიანს, რომლებიც გამაცნო დიღმის ტყემ და რომლებსაც ეს ტყე ისევე უყვართ, როგორც მე... ეს ტყე განლაგებულია დიღმის განაპირას. ჯერ კიდევ ჩემს ბავშვობაში ტყე დაბურული და ჩრდილით სავსე იყო. არაჩვეულებრივ მდელოებს ენაცვლებოდა იშვიათი და ბებერი ხეები. მე ვარ უნებლიე მოწმე ამ ტყის განადგურებისა ძალაუფლებით მოსილი ადამიანების მიერ. მალე მას ბოლო მოეღება", - დამთვალიერებელი მხატვრის სათქმელს კედელზე გაკრულ ტექსტში კითხულობდა.

მწერალ ნაირა გელაშვილის პესიმისტური გამოსვლის შემდეგ დამსწრე საზოგადოების ყურადღება გია ბარამიძემ მიიპყრო და იქ მყოფთ დახმარებისა და მოქმედებისაკენ მოუწოდა. "ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ, პრეზიდენტიდან დაწყებული, სასამართლო ინსტანციით დამთავრებული, მაგრამ მთავარი ძალა ხალხიაო", - ამბობდა იგი. იქ დამსწრე საზოგადოებას და არა მარტო მათ, ბარამიძემ 19 ივლისს 12 საათზე დიღმის ტყის ტერიტორიაზე აქციის გაგრძელებისაკენ მოუწოდა.

# "წმინდა გიორგის" ლაურეატები

თამარ მურვანიძე

უკვე რამდენიმე დღეა დასრულდა მოსკოვის 25-ე კინოფესტივალი. მოსკოვის კინომოყვარულთა წრეებში ჯერ კიდევ ლაპარაკობენ ფესტივალის გამარჯვებულებზე –"წმინდა გიორგის" მფლობელებზე. ფესტივალის მთავარი პრიზები ასეთნაირად განაწილდა. მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისათვის ვერცხლის "წმინდა გიორგი" ფარამაზ ღარიბიანმა აიღო ("ცეკვა მტვერში", ირანი, რეჟისორი ასგარ ფარჰადი); ქალის როლის საუკეთესო შესრულებისათვის ვერცხლის "გიორგით" დაჯილდოვდა სინობუ იოტაკე ("ბუ", იაპონია, რეჟ. კანეტო სინდო); საუკეთესო რეჟისორული ნამუშევარი კი ჩან ჯუნ ხვანის "გადავარჩინოთ მწვანე პლანეტა" გახდა (კორეა). ჟიურის სპეციალური პრიზი გადაეცა რეჟისორების, ბორის ხლებნიკოვის და ალექსეი პოპოგრებსკის ფილმს "კოქტებელი", (რუსეთი). ოქროს "წმინდა გიორგი" წილად ხვდა საუკეთესო ფილმის ნომინაციაში გამარჯვებულ სურათს - "ღვთიური ცეცხლი", რეჟ. მიგელ ერმოსო (ესპანეთი-იტალია). სპეციალური პრიზი სამსახიობო ოსტატობის სრულყოფისათვის და სტანისლავსკის ტრადიციების ერთგულებისათვის გადაეცა ფანი არდანს - "მწამს. კონსტანტინ სტანისლავსკი".

ფესტივალის გამარჯვებულთა შორის ნაცნობ სახელებთან ერთად შედარებით უცნობი სახელებიცაა. მაგალითად, ირანელი რეჟისორი ასგარ ფარჰადი, რომელიც 1972 წელს დაიბადა, გადაღებული აქვს რამდენიმე მოკლემეტრაჟიანი ფილმი და ტელესერიალი (მათ შორის, ყველაზე პოპულარული "ქალაქის ისტორია"). "ცეკვა მტვერში" მისი პირველი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმია.

გამარჯვებულ კორეელ რეჟისორს შეიძლება იცნობდეთ კიდეც. მისმა ფილმმა "Imagine 2001" არაერთ ფესტივალზე მიიღო მონაწილეობა. ეს არის მოკლემეტრაჟიანი სურათი ახალგაზრდა კაცზე, რომელსაც სჯერა, რომ მასში ჯონ ლენონის სული ჩასახლდა. "გადავარჩინოთ მწვანე პლანეტა" კორეელი რეჟისორისთვისაც პირველი სრულმეტრაჟიანი ფილმია და ეს გამარჯვებაც მისთვის ძალიან სასიხარულოა.



ფესტივალის სპეც-პრიზის მფლობელი ფანი არდანი ნიკიტა მიხალკოვთან ერთად



პუტინი და ფესტივალის საპატიო სტუმარი ჯინა ლოლობრიჯიდა

შექმნის საინტერესო ისტორია აქვს "კოქტებელსაც". რეჟისორებმა - ბორის ხლებნიკოვმა და ალექსეი პოპოგრებსკიმ, რომლებმაც ერთობლივი ფილმის გადაღება გადაწყვიტეს, ამ სურათისთვის დაფინანსების ძიებაც ერთად დაიწყეს. ასე ამოყვეს თავი ბერლინის კინოფესტივალზე და პრიზსაც გამოკრეს ხელი. 2001 წელს ფილმის სცენარმა გაიმარჯვა სცენარების საერთაშორისო კონკურსში - European PitchPoint, რომელიც ფესტივალის ფარგლებში ტარდება ხოლმე. რეჟისორებს საშუალება მიეცათ სცენარი საუკეთესო ევროპელი პროდუსერებისთვის ეჩვენებინათ და მათი კომპლიმენტებიც მიეღოთ. ამასობაში რუსეთში მათ სიურპრიზი ელოდათ - სცენარმა სახელმწიფოსგან მიიღო ფინანსური მხარდაჭერა. 2002 წლის ოქტომბერში გადაღებებიც დაიწყეს.

რაც შეეხება ოქროს "წმინდა გიორგის" მფლობელს, მიგელ ერმოსოს, ის იმ რეჟისორთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც კინოში სხვა სფეროდან მოვიდნენ. მას იურიდიული განათლება აქვს მიღებული, კინოში მუშაობა თავიდან სარეკლამო რგოლების გადაღებით დაიწყო, 1974 წელს საკუთარი პროდიუსერული კომპანია დააარსა და 700-ზე მეტი სარეკლამო რგოლი და დოკუმენტური სურათი გადაიღო. 80-იან წლებში უკვე 8 ფილმი შექმნა ტელევიზიისთვის და ვიდეოგაქირავებისათვის. მისი 2003 წლის ფილმი "ღვთიური ცეცხლი" უთუოდ დააინტერესებს კინომოყვარულებს.

კინოს ვეტერანებზე - იაპონური კინოს კლასიკოს კანეტო სინდოსა და ცნობილ ფრანგ მსახიობ ფანი არდანზე არაფერს ვიტყვით. მათ ისედაც კარგად იცნობენ მთელ მსოფლიოში. სინდოსა და არდანის მოსკოვში სტუმრობა რუსეთის დედაქალაქის მკვიდრთათვის განსაკუთრებულ მოვლენად იქცა.

# მოგზაურობა ღამეში ლურჯი ფრინველის მოსაძებნად

### პატარა ბალერინების პრემიერა ოპერისა და ბალეტის თეატრში



მაკა მახარაძის პატარა ბალერინები

ვერა ნეფარიძე

გუშინ ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დარბაზი პატარა ბალერინების გულშემატკივრებმა გაავსეს. სცენაზე კი თავად ისინი, თბილისის პირველი კლასიკური გიმნაზიის მოსწავლეები თამაშობდნენ. უფრო შინაურულად მათ მაკა მახარაძის "პატარა ბალერინებს" ეძახიან.

პატარა ბალერინებმა წელს პირველი პრემიერა ითამაშეს. მორის მეტერლინკის ზღაპრის "ლურჯი ფრინველის" მიხედვით დადგმული ბალეტი მათ რეპერტუარში რიგით მეოთხე სპექტაკლია. "საერთოდ, ჯერ არ დადგმულა არც ერთი ბალეტი "ლურჯი ფრინველის" მიხედვით. ყოველ შემთხვევაში, მე არ ვიცი. ჩვენს თავზე გარკვეული გამბედაობა ავიღეთ, როდესაც გადავწყვიტეთ მისი განხორციელება. ჩემი აზრით, "ლურჯი ფრინველი" არაჩვეულებრივი ზღაპარია. მართალია, ცოტა ფილოსოფიურია და მითუმეტეს პატარა ბავშვების მეშვეობით ამის გადმოცემა ძალიან ძნელია, მაგრამ ზღაპრის ფორმა მივეცით და... რა იქნება, ვნახოთ", - გვითხრა პატარა მსახიობების პედაგოგმა მაკა მახარაძემ.

პატარა მოცეკვავეები რომ დადგმის სირთულით არ შეწუხებულან, ამაზე მეტყველებს სპექტაკლზე მუშაობის ხანგრძლივობა. "ლურჯი ფრინველის" მომზადება მათ ერთი თვის წინათ დაიწყეს და შედეგი უკვე სახეზეა. პატარა მსახიობები პრემიერას ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში დღესაც ითამაშებენ. და როგორც მაკა მახარაძე გვითხრა, სპექტაკლს ისინი 17 ნოემბერს წარმოადგენენ. ამჯერად მას კოტე მახარაძის დაბადების დღეს, ცნობილი მსახიობის ხსოვნას მიუძღვნიან. რაც შეეხება პრემიერის პირველ დღეს, შეიძლება ითქვას, რომ წარმოდგენამ გუშინ ანშლაგით ჩაიარა.

დარბაზში, ძირითადად, სასკოლო ასაკის ბავშვები და ნორჩი ბალერინების ყვავილებიანი გულშემატკივრები ჭარბობდნენ. თანატოლები განსაკუთრებული მონდომებით ელოდნენ დარბაზის ჩაბნელებას. და, სპექტაკლიც მცირედი დაგვიანებით დაიწყო... "ერთხელ, შობის წინა ღამეს, როდესაც ბავშვებს მშვიდად ეძინათ, სწორედ მაშინ დაიწყო ეს უცნაური ზღაპარი"... – იწყება ზღაპარი კუდიანი დედაბრის, ბავშვებისა თუ სხვადასხვა სულების მონაწილეობით; მოგზაურობა ღამეში ლურჯი ფრინველის მოსაძებნად.

სპექტაკლში სასწავლებლის ყველა მოსწავლე, 4-დან 16 წლამდე ბავშვები მონაწილეობენ. "ლურჯი ფრინველი" საკმაოდ ლამაზი სანახავია, რაც პატარა ბალერინების გარდა, ქორეოგრაფის თამაზ ვაშაკიძის, მხატვრების ანა კალატოზიშვილისა და ივანე ყიფშიძის დამსახურებაა. არაფერს ვამბობ სპექტაკლის მუსიკალურ გაფორმებაზე. სპექტაკლში გამოყენებულია ცნობილი კომპოზიტორების: მოცარტის, ვერდის, ბიზეს, სენ სანსისა თუ მასკანის ნაწარმოებები. განსაკუთრებით ჭარბობს როსინის მუსიკა.

"ლურჯი ფრინველი" ქორეოგრაფიული სასწავლებლის წინა სამი სპექტაკლისგან განსხვავებული წარმოდგენაა. თუ "მაკნატუნას", "კოპელიასა" და "მძინარე მზეთუნახავს" საფუძვლად ედო არსებული ბალეტები, "ლურჯი ფრინველის" შემთხვევაში საქმე ოდნავ სხვაგვარადაა. ვინაიდან, სპექტაკლის ავტორები არ იცნობენ ამ ზღაპრის სხვა საბალეტო ინტერპრეტაციას, მათ ბევრი რამის მოფიქრება თვითონ მოუწიათ. პირველ რიგში, ეს ეხება. ვინც გუშინდელ პრემიერას დაესწრო, დამეთანხმება, რომ წარმოდგენის შემოქმედებითი ჯგუფის არჩევანი მაყურებლის სიმპათიას აშკარად იმსახურებს.



## TV პროგრამა
2 ივლისი

### რუსთავი - 2
[illegible]

### პირველი არხი
[illegible]

### პირველი სტერეო
[illegible]

### მეორე არხი
[illegible]

### კავკასია
[illegible]

### იბერია
[illegible]

### მეცხრე არხი
[illegible]

### იმედი
[illegible]

### ევრიკა
[illegible]

### VII არხი
[illegible]

### ОРТ
**07.00** „Доброе утро!" **10.00, 13.00, 16.00, 19.00** Новости **10.15, 21.00 Сериал „Земля любви, земля надежды" 11.05 Сериал „Убийство на Монастырских прудах", 2 с. 12.05** „Большие родители". Б.Чирков **12.35** Дисней-клуб: „Чудеса на виражах" **13.15 Комедия „Старый стрелок" 15.00** Док.сериал „Дикие штучки" **15.25** „Пока все дома" **16.15** „Кумиры". В.Мулерман **16.55 Худ.фильм „Кукла" 18.00** „Большая стирка" **19.20 Сериал „Герой нашего племени" 19.55 Худ.фильм „За кулисами" 22.00, 00.30** Время **22.35 Худ.фильм „Дронго" 23.40** Док.фильм „Золото Александра Македонского" **01.00** „Сканер" **01.30** „Идолы". А.Бандерас **02.00 Комедия „Рапсодия Майами"**

### РТР
**06.45** „Доброе утро, Россия!" **09.45 Сериал „Пейзаж с убийством" 10.45 Сериал „Тени исчезают в полдень" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** Вести **12.20** „Короткое замыкание" **13.20 Детектив „Марш Турецкого".** „Лекарство для покойника", 1 с. **14.15, 17.45** „Экспертиза" **14.30** „Москва-Минск" **14.45** Вести - Москва **15.20** „Что хочет женщина" **16.10 Сериал „Московские окна" 17.15 Сериал „Простые истины" 18.20, 20.50** Вести. Дежурная часть **18.50, 02.05** „Дорожный патруль" **19.05** Вести - Спорт **19.20, 21.30** Местное время. Вести - Москва **19.50 Сериал „Комиссар Рекс" 21.50** „Спокойной ночи, малыши!" **21.55 Сериал „Пейзаж с убийством" 23.00 Детектив „Марш Турецкого".** „Лекарство для покойника", 2 с. **00.20 Комедия „Шуб-баба Люба!" 02.15** „Горячая десятка" **03.15 Сериал „Сеть" 04.05 Сериал „Дживс и Вустер"**

### НТВ
**07.00** Утро на НТВ **10.05 Сериал „Жил-был я...", 2 с. 11.00** „Сегодня утром" **11.25** Док. драма „Преступление и наказание" **12.00** „Кулинарный поединок. Как удивить свекровь" **13.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.20** „Сегодня" **13.30** „Страна Советов" **14.35 Сериал „Дальнобойщики" 15.45** „Криминал" **16.35** „Принцип „Домино". „Жить на пенсию и выжить" **18.30 Сериал „Скорая помощь 2" 19.25** „Чистосердечное признание" **20.35 Сериал „Улицы разбитых фонарей" 21.50 Сериал „Дальнобойщики" 23.00** „Страна и мир" **23.30** „Профессия-репортер". „Чужие письма" **00.10 Сериал „Улицы разбитых фонарей" 01.40** „Гордон" **02.40 Сериал „Доктор"**

# დილანი, ლენონი და ემინემი



ფილმი "8 მილი" ემინემის კიდევ უფრო დიდი პოპულარობის მიზეზი გახდა

ემინემი, ალბათ, ვერასდროს წარმოიდგენდა, რომ სიმღერის ტექსტების გამო ვინმე შეაქებდა. მას ხომ ქალთა ჯგუფები აბრალებდნენ, ქალთმოძულე ხარო, ჰომოსექსუალისტები ეხვეწებოდნენ – გაგვარკვიე, რა დაგიშავეთო, მკაცრი მშობლები კი იმუქრებოდნენ, ჩვენს შვილებს შენს სიმღერებს არასდროს მოვასმენინებთო. მაგრამ გუშინ გამოჩნდა თითოეულ ამ ჯგუფზე გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი ადამიანი – ირლანდიელი პოეტი და ნობელის პრემიის ლაურეატი შეიმუს ჰინი და მან ემინემს შემოქმედება მოუწონა.

ჰინიმ, რომელიც ოქსფორდის უნივერსიტეტში პოეზიის პროფესორიც გახლდათ, ემინემის შესახებ საუბარი თავად წამოიწყო. ჟურნალისტის კითხვას – იყო თუ არა თანამედროვე პოპკულტურაში ისეთი ფიგურა, რომელიც მსმენელში ტექსტებისადმი და პოეზიისადმი ინტერესს ისევე აღძრავდა, როგორც ამას 60-70-იან წლებში ბობ დილანი და ჯონ ლენონი აკეთებდნენ – პოეტმა უპასუხა: "აი, ის ბიჭი, ემინემი. მან, თითქოს, ელექტრულად დამუხტა მთელი თაობა. და ეს გააკეთა არა მხოლოდ თავისი გამომწვევი, მყვირალა იმიჯით, არამედ თავისი სიტყვიერი ენერგიითაც".

შეიძლება ითქვას, რომ ეს აღიარება ემინემისთვის ბევრად უფრო საპატიოა, ვიდრე ჟურნალ "ფორბსის" სტატისტიკა, რომელმაც ის პლანეტის მეორე ყველაზე გავლენიან ვარსკვლავად დაასახელა.

# მოჩვენებები მოდელებსაც აწუხებენ



კლაუდია შიფერი მოჩვენებების გამოჩენამდე

სულების განდევნის დიდოსტატს თავად კლაუდია შიფერმაც მიმართა: თურმე, მის საფოკლის სასახლეში, რომელიც ხუთ მილიონ გირვანქა სტერლინგად იყო შეძენილი, მოჩვენება ცხოვრობს.

მართალია, სანამ შეიძენდა, ბრიტანეთის მოჩვენებათა მოყვარულების კლუბმა მოდელი გააფრთხილა, მაგ სასახლეში ცუდადაა საქმეო, მაგრამ მაშინ კლაუდიამ ეს სიტყვები ყურად არ იღო – ან არ დაიჯერა, ან იფიქრა, მაგის ვის ეშინიაო... ახლა კი აღარ ეამა.

მოჩვენება როკვუდების გვარის წარმომადგენელი ახალგაზრდა ქალი, პენელოპა გახლავთ, ის მე-16 საუკუნის შემდეგ ამ სასახლეში ცხოვრობს. მის შვილს რაღაცა მოსვლია, რა – აღარავინ იცის. მაგრამ პენელოპას ვინ ჩივის. იმავე კლუბის წევრებმა ბრძანეს, სასახლეში ორი ნახატი დაწყევლილია და რამე რომ არ მოგივიდეთ, ხელი არ ახლოთო. მიდი ახლა და არკვიე, რომელი ტილოა დაწყევლილი...

### სამუშაო საათები





| | სამუშაო საათები (კვირის მიხედვით) | ხელფასიანი შვებულება (დღეების მიხედვით) |
|---|---|---|
| ჰონგ კონგი | 45.0 | 7-14 |
| ბრიტანეთი | 43.5 | 24.5 |
| აშშ | 40.0 | 9-20 |
| შვედეთი | 40.0 | 25.0 |
| გერმანია | 39.9 | 29.0 |
| ესპანეთი | 38.5 | 25.0 |
| საფრანგეთი | 38.3 | 25.0 |

Source: EIRO/various © GRAPHIC NEWS

# ცუდი აქცენტი

კინოს ექსპერტებმა "ოსკაროსანი" შონ კონერი ყველაზე ცუდი აქცენტის მქონე მსახიობად დაასახელეს. მათ მხედველობაში ჰქონდათ 1987 წელს გამოსული ფილმი "ხელშეუხებელნი", რომელშიც კონერი ირლანდიელი პოლიციელის როლს ასრულებდა. ექსპერტების თქმით, შოტლანდიელმა მსახიობმა ირლანდიური აქცენტის ბუნებრივად შეძენა ვერ მოახერხა. თუმცა, რა თქმა უნდა, თვითონ კონერი ამ "გამარჯვების" გამო არ ნერვიულობს. ამ ფილმმა ხომ მას თავის დროზე "ოსკარი" მოუტანა – საუკეთესო მეორეხარისხოვანი როლის შესრულებისთვის. თანაც, აქცენტი რა მოსატანია იმ შედეგთან, რომელსაც კონერიმ შარშან მიაღწია: მან დაამარცხა ივენ მაკგრეგორი და ჯუდ ლოუ და ბრიტანეთის ყველაზე სექსუალური მსახიობის ტიტული მოიპოვა.

კინოჟურნალი Empire-ი კი წერს: "რა აქცენტსაც არ უნდა შეეჭიდოს კონერი, ყველაფერი ერთნაირად გამოსდის. გინდა რუსი კაპიტანი იყოს ("წითელი ოქტომბრის ძიება"), გინდა ინგლისის მეფე ("პირველი რაინდი" და "რობინ ჰუდი"), მისი შოტლანდიური ბარიტონი მაყურებელს მუდამ უხეშად ხვდება ყურში". ცუდი აქცენტის მქონე "საუკეთესოთა" ათეულში დანარჩენი ადგილები ასე გადანაწილდა: 2. დიკ ვან დაიკი ("მერი პოპინსი"), 3. ბრედ პიტი ("შვიდი წელი ტიბეტში), 4. შარლტონ ჰესტონი (ეშმაკის შეხება"), 5. ჰითერ გრემი ("ჯოჯოხეთიდან"), 6. კეანუ რივზი ("დრაკულა"), 7. ჯულია რობეტრსი ("მერი რილი"), 8. ლორენს ოლივიე ("ჯაზის მომღერალი"), 9. პიტერ პოსტლუეიტი ("ჩვეულებრივი ეჭვმიტანილი"), 10. მერილ სტრიპი ("აფრიკის გარეთ").



REUTERS

შონ კონერი ჰეტა უილსონის კომპანიაში თავს მშვენივრად გრძნობს

# ფესტივალი გაიხსნა

კვირას, მიუნხენის 21-ე კინოფესტივალის გახსნის დღეს, მსახიობ ჯერალდინა ჩაპლინს კინემატოგრაფში გაწეული ღვაწლისთვის საპატიო ჯილდო გადასცეს. 1944 წელს, ამერიკის შეერთებულ შტატებში დაბადებულ ჯერალდინას დღემდე ასზე მეტ ფილმში აქვს მონაწილეობა მიღებული.

ჯერალდინა ჩარლი ჩაპლინის უფროსი ქალიშვილია, რომელიც პირველად რვა წლის ასაკში აღმოჩნდა კამერის წინ – მამამ ის "რამპის ჩირაღდნებში" გადაიღო.

პირველი წარმატება მსახიობს 1965 წელს გადაღებულმა "დოქტორ ჟივაგომ" მოუტანა, რომელშიც ის ომარ შარიფის პარტნიორი იყო და ტონიას როლს თამაშობდა. თავად მიუნხენში მას შარშანაც აღტაცებით შეხვდნენ, როცა ფესტივალზე პედრო ალმადოვარის "ელაპარაკე მას" იყო ნაჩვენები.

კინოფესტივალის დევიზი ასეთია - "გახელილი თვალებით ნანახი სიზმრები". 5 ივლისამდე 110 სურათი, 30 ქვეყნის კინოპროდუქცია იქნება წარმოდგენილი, მათ შორის პირველად – ბალკანეთის ქვეყნების კინემატოგრაფისტთა ნამუშევრები.

### სიცოცხლე ტკბილ მოხუცებულობამდე






## საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი (სდასუ)

### მრავალპროფილიანი ლიცეუმი
(სწავლების ხანგრძლივობა 2 წელი)

### და კოლეჯი
(სწავლების ხანგრძლივობა 3 წელი)

### თანამედროვე ევროპული სტანდარტების სასწავლებელია

ლიცეუმში გაძლიერებული პროგრამით შეისწავლება ინგლისური და გერმანული ენა, კომპიუტერი და სხვა დისციპლინები. ლიცეუმი უფლებამოსილია გასცეს საშუალო განათლების პროგრამის სერთიფიკატი (ატესტატი), რომელიც ასახავს მოსწავლის ინდივიდუალურ მიღწევებს. ლიცეუმის კურსდამთავრებული თავისუფალია არჩევანში, სწავლა განაგრძობს ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელში, თუმცა, თუ სდასუზე შეაჩერებს არჩევანს, მისთვის იარსებებს მნიშვნელოვანი შეღავათები.

### მრავალპროფილიან კოლეჯში სასწავლო პროცესი შემდეგი სპეციალობების მიხედვით მიმდინარეობს:

- ბიზნესი და მარკეტინგი.
- საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი. ანალიზი და კონტროლი.
- სოციალური უზრუნველყოფის სამართალი და ორგანიზაცია.
- უცხო ენები დაწყებით კლასებში.
- ორთოპედიული სტომატოლოგია.
- მედდის საქმე.

ლიცეუმსა და კოლეჯში მოსწავლეთა მიღება ხდება შერჩევა-გასაუბრების საშუალებით. ლიცეუმის წარჩინებული კურსდამთავრებულები, სანიმუშო ყოფაქცევისა და მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე, შემოქმედებითი უნარით დაჯილდოვებული ახალგაზრდები დაჯილდოვდებიან დავით აღმაშენებლის სახელობის მედლით და უგამოცდოდ ჩაირიცხებიან უნივერსიტეტში.

თბილისი: ვაკის რაიონი, ილია ჭავჭავაძის გამზ.25
ტელ: 25-36-77; 98-94-45; 25-39-19.

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-24
20-00-24







# წამალი "სალხინო"

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდსასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთწვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.
წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის
ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.